# დროშა

№ 10 ოქტომბერი 1963

ეროვნული ბიბლიოთეკა









ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალგაზრდა მშენებლები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 10 (147) ოქტომბერი, 1963 წ.

გამოცემის XIII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტი-
კური და სალიტერატურო-სამხატვრო
ჟურნალი

## აგურით კი არა, ბლოკებით

ვის არ გაუგონია ნაძალადევი, წინათ თბილისის გარეუბანი. ახლა გარეუბანს ვეღარ დაუძახებთ, არავინ დაგიჯერებთ. მოსახლეობას, დიდ საწარმოებს აქედან შორს, ავჭალა-გლდანამდე გაუწევიათ. ნაძალადევი მახლობელ გორაკებსაც გადავლებია თავს, თბილისის ზღვას ზედ მიჰკვრია.

„თბილმშენის“ რკინა-ბეტონის პირველი ქარხანა ამ სამრეწველო უბნის შუაგულშია. ისინი, ვინც ბოლო ხუთიოდე წლის მანძილზე კარგად აშენებულ ბინებში ჩაესახლნენ, მოწიწებით ახსენებენ ამ ქარხანას, დიდი ხნის კი არ გეგონოთ — ექვსი თუ შვი-

# ოსტატობით დაჯილდოებულნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის ჩხეიძე

ფოტო თ. არჩვაძისა

— კიდევ იანგარიშე, იქნებ მეტი შეგვიძლია?





ფილები მზადაა მშენებლობაზე წასაღებად.

დი წლის არის. მუშები, მოსამსახურეები და ინჟინრებიც სულ ახალგაზრდები არიან. მათ შორის ჭაღარაშერთულს იშვიათად ნახავთ.

### შავქოჩორა

ქარხანა ამზადებს (ზოგი იტყვის, შტამპავსო) კედლის ბლოკებს, სართულთა შორის გადასახურავ ფილებს, ზღუდრებს, სავენტილაციო და საკვამლე მილბლოკებს. საყალიბო საამქროს ცვლის ინჟინერია გურამ არჩვაძე. მის თვალს არაფერი გამოეპარება. ყალიბის გასწორების და ბეტონის ჩასხმის ხმაურზე გურამი ადვილად ხვდება როგორ მიდის საქმე. ის შუა ტანის შავქოჩორა ვაჟკაცია; აქ ინჟინრად დანიშვნამდე სხვა პროფესიების გამოცდილებაც აქვს. მისი თაოსნობით ქარხანამ შემოიღო სართულთაშორის გადასახური ფილების წინასწარი გამოცდა. მას შემდეგ საამქროდან ბოში, უსწორმასწორო, ხუსტი, გაუძლისი ფილა აღარ გაუტანიათ. როცა თავის ნახელავში ვისმე ეჭვი შეეპარება, მაშინვე გურამს ეძახის დამეხმარეო. ისიც უარს არავის ეუბნება, სიხარულით ეხმარება ყველას.

### კისკისა გოგოები

რკინა-ბეტონის ნაკეთობები მეტისმეტად მძიმეა. არც ისე ადვილია მათი ერთი საამქროდან მეორეში გადატანა. ძნელია მათი მშენებლობის ადგილზე გასაგზავნად ჩატვირთვაც.

ამიტომ არის, რომ ქარხნის ეზო და საამქროები სავსეა ხიდური და ვერტიკალური ამწეებით. მათი საშუალებით ხდება ამ მძიმე ტვირთის აწევა და ადგილის გადანაცვლება. ხიდური ამწეები ზემოდან დასცქერიან სამუშაოებსა და ადამიანებს. ამწეს გამოჩენილი მძღოლები არიან ვერა ივანოვა, ალა ანდრეიჩუკი, ლიუდმილა ხრაპოვა. ქალიშვილებს ეხერხებათ თავიანთი საქმე; მარიამ ტრეგუბოვა მათ შორის ყველაზე უფრო დახელოვნებულია. უფროსიც არის მათზე, ამწეებზე დიდი ხანია მუშაობს და ორი შვილიც ჰყავს. მაგრამ არ გეგონოთ კისკისი და მხიარულება მარიამს გაუთხოვარ გოგოებზე ნაკლებ ეხერხებოდეს.

ერთი იკითხეთ, რატომ მაინცდამაინც უმთავრესად ახალგაზრდა ქალიშვილები დაუყენებიათ მძღოლებად? ამაზე ამწეების მექანიკოსი გურამ არონიშიძე ხუმრობით მოგიგებთ:

— რა გაეწყობა, თვითონ ეხალისებათ!.

— განა მარტო ეგ მიზეზია?

— ჩვენც აგრე გვირჩევნია, — ეღიმება არონიშიძეს. — რკინა-ბეტონის ბლოკების კეთება და ყალიბებიდან მიღება შოკოლადის ფილების დაშტამპვა არ გეგონოთ. იღლები კაცი. ამ დროს, უეცრად ხიდურმა ამწემ გადაგიქროლა თავზე. შენც აიხედავ. ხედავ, მშვენიერი გოგონას თვალებმა შემოგანათეს ზემოდან, თითქოს ვარსკვლავებიაო.

— გოგოების თვალთვალმა თვალის ჩინი კი არ დაგივსოს! — ახელებენ მას.

— არსად გამიგონია მათ შეხედვას კაცი დაეშავებიოს.

— ეგეთი ბალნიანი ენა გაქვს და ცოლი კი არა გყავს. ბიჭო, იქნება უბინაობა გიშლის ხელს? — ეკითხებიან.

— ბინა მაქვს. ჩვენი ბლოკებისაგან აგებულ სახლში მიჭირავს ორი ოთახი, მისი მამიდა-დეიდებით (ამას სამზარეულოს და სააბაზანოს ეძახიან აქ ხუმრობით) — და დასძენს: — ყველაფერი მექნება!

— ჰი, ჰი-ჰი — ეცინებათ ქალებს. — გაუმარჯოს ენაწყლიან, მხიარულ, გამრჯე ბიჭებს — უჩურჩულებენ ერთმანეთს.

### საარმატუროში

ბლოკებს შიგნით ჩატანებული აქვთ მავთულის ბადეები და ხშირად მაჯის სიმსხო რკინის ხლართები. ამას ეძახიან არმატურას. სულ მცირე ხნის წინათ იგი ხელით მზადდებოდა. რკინისმკვნეტელა გაზებით შეიარაღებული ბევრი მუშა უნდებოდა მას. ამას წინათ ინჟინერმა კოტე ქადეიშვილმა საამქროში ელექტროშემდუღებელი დაზგები გამართა. მალე არმატურის მომზადება, ბლანდვის ნაცვლად სწრაფად შედუღებაზე გადაიყვანეს. ახლა ვეებერთელა შენობაში, სადაც პატარა სოფელი მისი ეზო-კარმიდამო-კალოებით თამამად ჩაეტევა, ხუთიოდე კაცი ჩანს და არც ერთ მათგანს რკინისმკვნეტელა გაზი ხელში არ უჭირავს. საამქროში გულის საამო და თვალის სასეირო სანახაობაა. მოდის მხურვალე, თეთრი, გავარვარებული ნაკვერჩხლების თოვა. საამქროს ახლებურად მოწყობა ქადეიშვილს კარგად გამოუვიდა. ეს აშკარაა. ახლა ხუთი კაცი ხუთასის საქმეს ერევა.

შესვენება დამთავრდა....



### ნანა

ინსტიტუტის კედლებიდან კომკავშირელი ქალი ნანა ჯიკაევა პირდაპირ აქ მოვიდა. იმ დღიდან გეგმავს შრომას, ხელფასს, აწესებს გამომუშავების ნორმებს. ნანას ქარხნის კოლექტივის შინაარსიანი ცხოვრება მოსწონს და უყვარს. გულის გადაშლაც ეხერხება. მაშინ უნდა მოუსმინო მის დინჯ სიტყვას:

— აქ, შენს თვალწინ, პატარა ბიჭუნა რაღაც ერთ წელიწადში ხელობასაც იძენს და მაღალ ზნეობასაც ითვისებს. აი თუნდაც იაკო ქვათაძე. პირტიტველა ბიჭი მოვიდა. რა შეეძლო? ბურთს თუ გაჰკრავდა ფეხს სხარტად. უფროსებმა არ იცოდნენ, სად, რა სამუშაოზე დაეყენებიათ საქმეში ხელგაურჩეველი ყმაწვილი. აბა ერთი ახლა ნახეთ! ჯერ ოცდაერთი წლისაც არ გამხდარა და მოწინავე მუშებს შორის იხსენება, ხელფასიც მათი თანაბარი აქვს, მაღალთანრიგოსანია ყველაფერში. კომკავშირშიც აქ შევიდა და კაცურ ცხოვრებასაც დაეწაფა. ამისთანა შემთხვევები ბევრია. ქარხნის კოლექტივში არ შეიძლება შრომა არ ისწავლო, დისციპლინას არ შეეჩვიო. ამას ხომ ზნეობრივი ზრდაც მოსდევს თან. ხედავ შენ თვალწინ ადამიანები როგორ ისწრაფვიან ახალი ტექნიკის ათვისებისა, დაოჯახებისა და დარბაისელი ადამიანის შრომა-ყოფაცხოვრებისაკენ. და შენც მათი ხილვით, მათთან ხშირი ურთიერთობით სიამის განცდა გეუფლება. ხუმრობა არ არის იგრძნო, რომ სრულიად უკვალიფიკაციო ახალგაზრდა კაცის დაოსტატებასა და დავაჟკაცებაში თუნდაც პატარა წილი გიძევს.

ამას ნანა თავისი ტკბილი ქართულით გეუბნებათ.

— მართალი ხართ, ნანა! — ეუბნებით მისი დინჯი და ჭკვიანური საუბრით კმაყოფილი.



— კიდევ ერთი ხელი და მერე საქმეს მივხედოთ.

## კომკავშირის კომიტეტის მდივანი

ქარხანას ვრცელი ეზო აქვს. აქ შემოდიან ცემენტით, ტუფით, პემზით, ცარცოვანი ლოდებით, რიყითა და სილით დატვირთული მატარებლები. საამქროს, სადაც ეს ნედლეული იყრის თავს და სადაც ორმოცამდე კაცი მუშაობს, სახურავი არ აქვს. მას ხელმძღვანელობს ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ინჟინერი რევაზ თავართქილაძე. მეტად რთული სამუშაოა და ინჟინერიც მუდამ თავს დასტრიალებს აქაურობას. ყველა სხვა საამქრო ამ საამქროზეა დამოკიდებული.

— რთული საქმეა? კიდევ უკეთესი! — ამბობს თავართქილაძე. — ასეთი საქმის გამო ხულ დაძაბულ ფიქრსა და მოქმედებაში ხარ.

ეს ხომ ხასიათის თავისებურებაზე ლაპარაკობს. იქნება ამიტომაც ახალგაზრდა ინჟინერს განგებ შემობარი სიტყვა და ხშირად გალიმება არ ეხერხება.

— ჩამაბარეთ საამქრო? — უთქვამს მას არა ერთხელ. — მომთხოვეთ, რაც მოსათხოვია. მოდა, მეც ყველამ ზუსტად უნდა შემისრულოს დანაპირები.

რევაზს ერთხელაც არ შეუფერხებია ქარხნის მუშაობა, სხვების მიზეზით კი ხშირად უფერხდება წესრიგი. დირექციამ ვერ იქნა და ვერ მოათავა საამქროს გზების მოწყობა. თავართქილაძე გულს არ იტეხს.

— თუ კარგად ვიქენი, ამასაც გავაკეთებინებ დირექციას. შეხედეთ რა ამბავია! — მიგვითითებს ის მანქანის გავლის დროს ამდგარ მტვრის ნამქერზე და ოღროჩოღროებზე.

## რა პროფესიის კაცია?

თავართქილაძის თანატოლი ინჟინერი ზურაბ რთველაძე საშენი სტანდარტების მცოდნეა. მისი ხელიდან გამოდის ბლოკები, რითაც კედლები ამყავთ სულ რამდენიმე საათში. მაშ რთველაძე კალატოზი ყოფილა. დიახ, არის და არც არის. წერაქვი, ქაფჩა, ქვა და აგური არ უჭირავს ხელში და ამიტომ კალატოზი არ არის.

— საკედლე ბლოკებს ხომ ამზადებს!

— მომითმინეთ, მე გეტყვით ვინც არის რთველაძე. — გვეუბნება ნანა ჯიკაევა. — ჩვენს ქარხანაში რამდენიმე წლის წინათ მოვიდა. პატარა ბიჭი იყო. ხელში გაზი მისცეს, არმატურას ბლანდავდა. პირველი სახლის ბლოკებში, რომელიც თბილისში აშენდა, რთველაძის ნახელავი არმატურაა ჩატანებული. ქარხანაში მუშაობის დროს დაამთავრა საშუალო სკოლა და პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ბლოკების დახელოვნებული სპეციალისტია. ახლა მითხარით რა დავარქვათ მის პროფესიას. — კითხულობს ნანა და თვითონვე მიუგებს: — ჰო, მოდით ინჟინერ-კალატოზი უწოდოთ, განა შესაფერი სახელი არ იქნება?

## რაჭველი

მუხრან ქართველიშვილი ნაქერალას მთის გადაღმა დაბადებულა, რიონის პირას. რაჭველები სხვებიც ბევრნი არიან აქ. მუხრანმა თავიდანვე ეს ხელობა — შემდუღებლობა აირჩია.

— ჩემს წინაპრებში ითლი ცხოვრებით არავის უცხოვრია. ყველა ხელოსანი იყო ან ხისა, ან რკინისა, ან ქვითკირისა, — ეუბნებოდა ის ნათესავებს, — ამ გზას ვერც მე ვუღალატებ.

ახლა მუხრანი საარმატურო საამქროში მუშაობს მთავარ შემდუღებლად. მის ბრიგადაში თერთმეტი კაცია.

ამას წინათ ახალი ტექნიკის ათვისებისას კარგად დაეხმარა იგი კოტე ქადეიშვილს. საამქროში სისუფთავე და წესრიგია. გამოჩენილი ოსტატი ლევან კირაკოსიანიც იქ, მუხრანთან ერთად მუშაობს. როცა არმატურის ჩონჩხებს ხიდური ამწეებით მძიმე რული გოგოები მაღლა აიტაცებენ და ჰაერში გააქანებენ, მაშინ ამბობენ:

— ემე, მოდის მუხრანის კარკასები!

მუხრანიც სწავლობს დაუსწრებლად მოსკოვის ერთ ტექნიკურ ინსტიტუტში. ქარხნის მშრომელებს კარგად ახსოვთ დიდი ლენინის ანდერძი — იმათ იციან, რომ კომუნიზმის აშენება მხოლოდ ღრმად და ყოველმხრივ განათლებულ ადამიანებს შეუძლიათ.

## მამა-პაპათაგან თბილისელი

—ფართო მხარ-ბეჭიანი, წითური, თავზე ოქროსფერი ხუჭუჭით. დინჯი, იშვიათად ტკბილმოქართულე. წედან შემხვდა ეზოში, მითხარით რა გვარია ის ყმაწვილი?

— ეგ ხომ ოთარ ტიტუნაშვილია! — მითხრეს მაშინვე და კიდეც გაიხედეს მისკენ. ოთარი ყველას გულში უზის, უყვართ და მერე როგორ! ეგებ ხამო საუბრის გამო? ეგებ სიმარჯვისათვის? დიახ, ეს სწორედ ასეა. ოთარი საარმატუროში ბრიგადირად მუშაობს. აქ ყველამ იცის, რომ მამა-პაპათაგან თბილისელია. საიდან მოსულა მისი წინაპარი თბილისში, ტიტუნაშვილი ვერ გეტყვით. როცა ქარხანაში რაიმე უცნაურობა მოხდება, ოთარს მაშინ ეძახიან... და ისიც მოვარდება. გაუგებარს და უცნაურს სწრაფად საცნაურად აქცევს. დაუზარლად დამხმარე გული ხომ თბილისელი კაცის თვისებაა. ამ კაცსაც ეს თაფლი აცხია, ეს მადლი დაჰყოლია.

## ვისია ეს სახლი

ახლა ორიოდე სიტყვით მას მინდა მივმართო, ვისაც ამ წუთში ეს ჟურნალი ხელთ უპყრავს და ამ ნარკვევსა კითხულობს: მე არ ვიცი თქვენ უკვე მიიღეთ ბინა, თუ ახლა ელოდებით. მაგრამ ერთი კი კარგად ვიცი და მინდა გახაროთ — ეს ქალიშვილები და ჭაბუკები, ვისზედაც ზემოთ ვლაპარაკობდი— კულდაწყვეტილს არავის დატოვებენ. ამ ქარხნებშია იმ წყაროს სათავე, რასაც ახალი ბინის მიღების სიხარულს ეძახის დიდი და პატარა.

და ისიც უნდა გითხრათ, რომ ნომერ პირველი ქარხნისხებური საწარმო ახლა ჩვენს ქალაქში ერთეული არ არის; ისინი აგებენ და აშვენებენ ჩვენი ლამაზი დედაქალაქის ნათელ ქუჩებს, რომლებითაც, პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, კომუნიზმი შემოდის ჩვენს ცხოვრებაში.

და ამ დიადი, ნათელი მომავლის შენებაში ჩვენი შესანიშნავი კომკავშირული ახალგაზრდობა — აღზრდილი ლენინური პარტიის მიერ — ყველგან მოწინავეთა რიგებში დგას. თავისი ნათელი გულით, ახალგაზრდული მგზნებარებითა და გატაცებით იღვწის იგი სამშობლოს საკეთილდღეოდ.



ისინი ააგებენ სახლს, რომელშიაც შენ იცხოვრებ



# ეს მარტო ინჟინრის და მელიორატორის საქმე როდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ უფრო და უფრო იფარება ბაღ-ვენახებითა და ბაღჩა-ბაღებით საქართველოს ზეგნები და ხრიოკები, რქაწითელის ნაყოფით ჩახუნძლული მწკრივები სულ ზევით და ზევით იწევენ ზღვის დონიდან, იწევენ იქით, სადაც ოდესღაც უთუოდ ხარობდა ეს მადლიანი მცენარე, მერე კი, საუკუნეთა მანძილზე, ქვეყნის ძნელბედობისას ამოთხარა და მოსპო მტერმა.

ჩვენი მიწა და წყალი თავისუფლად იძლევა ფართობების გაზრდის საშუალებას. იქ, სადაც წყალი არ კმარა, სარწყავი სისტემები უვსებენ მას უბეს. სამგორი და ალაზანი, თეზი-ოკამი და ვანათი, ტაშისკარი და მუხრანი, საქუსლია-მაღლაკი და გვიმტიბი, სალთვისი და დოეს-გრაკალი, ტირიფონი და შულავერის არხი, თელეთი და ხრამი — აი, სარწყავ სისტემათა უსრული ნუსხა. ისინი 347 ათას ჰექტარ ვენახსა და ჩაის, ბაღსა და სიმინდს, თამბაქოსა და გერანს, სიმინდსა და ჯეჯილს რწყავენ. უკვე უახლოეს წლებში სარწყავმა ფართობმა საქართველოში 400 ათას ჰექტარს უნდა მიაღწიოს.

ლაღად მოედინება წყალი მოუპირკეთებელ და მოპირკეთებულ არხებში, მოდის და მოჩუხჩუხებს იგი განმანაწილებლებში. მოდის და გზას უკეტავს ცხელ ხორშაკსა და ქარაშოტს. აღარ ეხუთება სული იმერეთიდან გადმოსახლებულ გლეხს სართიჭალასა და გამარჯვებაში. აღარ გაურბის თვალი სიონელ მთიულს უკან, სიონისა და ჭორომისაკენ. დამკვიდრდა სიცოცხლე ველზე. გაჩნდა მწვანე. მიწამ სული მოითქვა. თანაბრად ფშვინავს და ფუვდება სამგორისა და ალაზნის მიწა. დედის ძუძუსავით შეერგო ოკამსა და თეზს ქსნის ცინცხალი. ერთი-ორად იმატა ბარაქამ. გარჯამაც იმატა, რა თქმა უნდა. იქ, სადაც მარტო ფერება და მოვლა უნდა ვაზს, შედარებით იოლია მოსავლის მიღება, მაგრამ სარწყავ ფართობზე წყლის დროულად და წესიერად მიგდება მცენარის მოვლა-პატრონობის საქმის ნახევარია.

ქართველი გლეხკაცისათვის რწყვის საქმე ახალი ამბავი არ არის. მაგრამ სარწყავი ფართობების ასე სწრაფად ზრდასთან დაკავშირებით მეტად საშურ საკითხად დგება წყლის წესიერად განაწილება და მისი მოვლა. მოუვლელ წყალს, ზედმეტ წყალს შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი მოგვიტანოს. საკმარისია ერთ ჰექტარ ფართობზე ზედაპირიდან წყალმა მილიმეტრის მეათედი სისქის ფენა წაიღოს, რომ ეს უკვე 10 ტონა იქნება ჰექტარზე და ზედაპირზე ხომ ნიადაგის საუკეთესო, მეტად ნაყოფიერი ფენაა დაგროვილი.

სარწყავი სისტემების დაგეგმარება და აგება, მაგისტრალური და განმანაწილებელი არხების, სარწყავი მილსადენების რაციონალურად განაწილება, ხელოვნური ნაგებობების — აკვედუკების, დიუკერების, სწრაფმდენებისა და წყალვარდნილეის მოწყობა—ეს წმინდა საინჟინრო საქმეა და რესპუბლიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ჩვენი სპეციალისტები ისეართმევენ თავს, რომ მთელ საბჭოთა კავშირსა და მის გარეთაც ფართოდ არიან ცნობილნი. მაგრამ, როცა საქმე



სარწყავი მიწების ათვისებაზე დგება, აქ უკვე მარტო ინჟინერ-მელიორატორი უძლურია, მას მრწყველთა და კულტურულ მიწათმოქმედების მუშაკთა დიდი არმია სჭირდება. ხომ ცნობილია რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა მეტად მრავალდარგოვანი მეურნეობაა. აქაური კლიმატი საშუალებას იძლევა ერთ რაიონში ხარობდეს ვაზი და ხეხილი, ჩაი და ციტრუსი, სიმინდი და სოია, თამბაქო და გერანი. ამ სხვადასხვა კულტურას კი ნიადაგის სხვადასხვანაირი დამუშავება, ნიადაგის ტენის ანუ სარწყავი წყლის სხვადასხვა რაოდენობა სჭირდება. წყლის მიწოდებაც სხვადასხვანაირად მოუხდება. ვენახს, მაგალითად, კვლებში რწყვა უყვარს. განდაგან გაჟონილი წყალი პირდაპირ ფესვებს ელამუნება. საშემოდგომო ხორბალი ზოლებში მორწყვას არჩევს, განსაკუთრებით მსუბუქ ნიადაგებზე. ჩაის კი ხელოვნური დაწვიმება ურჩევნია. ჰაერსაც აგრილებს და აორთქლებასაც ამცირებს ფოთლის ზედაპირიდან.

ისმება კითხვა — როგორ მოვახერხოთ ჩვენ მთაგორიან სარწყავ მიწებზე ასე მოზომილად, ასე კანონზომიერად მივაწოდოთ წყალი ნიადაგს და ამით ვამრავლოთ მოსავალიც და ერის სიმდიდრეც. ეს მეტად დიდ ენერგიას მოითხოვს. ეს მარტო ინჟინრის და მელიორატორის საქმე როდია. ეს დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა. პატარა შეცდომა ამ საქმეში გამოუსწორებელ ზიანს მოიტანს. რამდენიმე სანტიმეტრი სისქის ნიადაგის ბუნებრივ პირობებში შექმნას ათეული და ასეული წლები სჭირდება, მისი ჩამორეცხვა კი რამდენიმე წლის საქმეა. საკმარისია ითქვას, რომ თუ სარწყავ კვალში 0.6 ლიტრ-წამ წყალს გავუშვებთ, იქ სადაც ნიადაგის ზედაპირის სიმაღლეთა სხვაობა ყოველ ას მეტრზე 2 მეტრია, ეს კვლებიდან ყოველ ჰექტარზე წელიწადში 67,4 ტონა საუკეთესო ნიადაგს გამოიტანს, გამორეცხავს. ეს, არცთუ ისე იშვიათად, ჩვენ უკვე გვხვდება სამგორისა და თეზი-ოკამის, სალთვისისა და ტირიფონის სარწყავ მიწებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ იქ სადაც ნიადაგის სისქე პატარაა, რაღაც 5-6 წელიწადში სახნავ-სათესი ფენა საგრძნობლად შემცირდება და ჩვენ მიწას წყალი წაიღებს, ჩვენივე ხელით მიგდებული წყალი!

ჯერ კიდევ ბევრ მეურნეს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ბევრ ხელმძღვანელს ჰგონია, რომ მთავარია სარწყავი წყლის ადგილზე მიყვანა. ეს აუცილებელია, მაგრამ მთავარი ახლა სხვა არის. მთავარია წყლის წესიერად გამოყენება. აი, მაგალითად, სულ ერთი წლის წინათ დაიწყო თელეთის სარწყავი სისტემის მშენებლობა. შედგა პროექტი. მშენებლებმა გაშალეს ფრონტი — სოღანლუღის ბოლოზე, მტკვრის მარჯვენა მხარეს ვერცხლისფერი მილსადენის ოთხი ზოლი აჰყვა ციცაბო აღმართს. გორაკის თავში, გავაკებაზე — ქვემო თელეთში გაიშალა არხების ქსელი. ნახევრად წრიულ რკინა-ბეტონის ქამარს ირტყამს თელეთის ზეგანი. ერთდროულად იწყობა მაგისტრალური არხი და განმანაწილებლები. გამწვანების ტრესტიც მიჰყვება მათ ტემპებს: ირგვება ხეები, ითხრება ორმოები, თითქოს ეძახიან მშენებლებს: „აბა ჩქარა, არ მოგვაწყუროთო“. ჯერჯერობით მხოლოდ ერთხელ მოირწყა ქვემო თელეთის მიწები ამ წყლით და უკვე საზრუნავი გაუჩნდათ ამ მეურნეობის ხელმძღვანელებს: „დაგვეხრამა მინდვრები, წყალმა წაიღო მიწა, შეგვიცვალეთ დროებითი არხები მილებით, გვასწავლეთ წყალის განაწილება, ეგებ ავტომატური განმანაწილებლები იშოვება სადმეო“. ეს მოხდა ერთი არხიდან უმნიშვნელო ფართობის მორწყვისას. ახლა კი ერთდროულად იგება კიდევ ექვსი არხი, მოირწყვება რამდენიმე ათასი ჰექტარი მიწა. მაშინ რაღა ქნან მეურნეებმა, სად იშოვნონ ამდენი მრწყველი, როგორ მოუარონ დროებით არხებს და გამომყვან კვლებს! აი, ასეთია მდგომარეობა და არა მარტო აქ. სარწყავი ფართობების ექს-



თელეთის არტერიები.

პლოტაციაში შესვლის ტემპი ჯერ კიდევ ვერ ეთანხმება მორწყვის საქმის ავტომატიზაციასა და მექანიზაციის ტემპს. ყოველწლიურად დიდდება სარწყავი ფართობები, რწყვაზე დაბანდებული მუშახელის რაოდენობა კი თითქმის იგივე რჩება.

ამიტომ სჭირდება ამ საქმეს სერიოზული ყურადღება. პირველ რიგში საჭიროა დამპროექტებელმა ინჟინრებმა პროექტის შედგენისას კიდევ უკეთ გაითვალისწინონ ჩვენი სარწყავი ობიექტის თავისებურებანი: დიდი ქანობები, მცირე სისქის ნიადაგები, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოთხოვნილება წყალზე. საერთოდ მიღებული მორწყვის ნორმები და წესები ჩვენ მთაგორიან ადგილებში არ გამოდგება. თუ, მაგალითად, 1,5-2 ლიტრ-წამი წყალი კვალში წარბსაც არ შეუხრის რუსეთის მცირე ქანობიან დიდი სისქის ნიადაგებს, სამაგიეროდ მთლიანად გადარეცხავს და ქვიშა-ქვაზე დაიყვანს ნიადაგს სამგორსა და თელეთში. ამიტომ დამპროექტებლებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ საბჭოთა კავშირის მთაგორიანი რესპუბლიკების — ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, სომხეთის და სხვა მოწინავე მრწყველთა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გამოცდილებანი. ამის მიხედვით უნდა დაპროექტდეს შიგასამეურნეო წვრილი სარწყავი ქსელი. ზოგჯერ ცალკეულ მეურნეობებში ცალკე ხდება საჭირო სარწყავი ქსელის დაპროექტება და აგება, როგორც მაგალითად ეს გახდა აუცილებელი სამგორის, ვარკეთილის, ჯანდარის, ლილოს და სხვა საბჭოთა მეურნეობებში.

არხების მშენებლობის პროცესშივე სასურველია მომზადდეს მექანიზატორები და მრწყველები; მექანიზატორები — ნიადაგის ზედაპირის მოსწორება-მოშანდაკების, დროებითი სარწყავი ქსელის დაჭრისა და სარწყავი მექანიზმების შესასწავლად, მრწყველები კი მორწყვის რეჟიმისა და ტექნიკისათვის. მათ მომზადებას არ შეიძლება ჰქონდეს კამპანიური ხასიათი, ეს სისტემატურად უნდა სწარმოებდეს. ცალკე რამდენიმე კაცის მრწყველად მომზადებამ შედეგი არ მოგვცა. ხდება ისე, რომ მრწყველი რწყვის პერიოდში სხვა საქმეზეა დაბანდებული; ამიტომ,ჩვენი აზრით მორწყვის ტექნიკა და რეჟიმი მიწათმოქმედების ყველა მუშაკმა უნდა იცოდეს. უფრო მეტიც—მორწყვის ტექნიკა უნდა შევიდეს სარწყავი რაიონების საშუალო სკოლების შრომის პროგრამაში. დაე. მომავალმა მერგოლურებმა და აგრონომებმა ამთავითვე იცოდნენ წყალის ყადრი.

შეიძლება გვკითხონ — რა მოხდა, რაშია საქმე? გლეხი ქართლში ხომ ყოველთვის რწყავდა, რწყვაც კარგი იცოდა და წყალის ეკონომიაცო.

საქმე იმაშია, რომ სულ სხვაა ახლა მორწყვის მასშტაბები. კოლმეურნე ახლაც ხარისხოვნად რწყავს ერთსა თუ ნახევარ ჰექტარ ფართობს, მაგრამ როცა მას სარწყავად სეზონში 100 და 150 ჰექტარი აქვს, მას უკვე მარტო ბარითა და თოხით ამ ფართობის დროულად და ხარისხიანად მორწყვა არ შეუძლია. მან ან უნდა მაღალხარისხოვნად რწყას და დღეში 0,5 ჰექტარზე მეტს ვერ მორწყავს, ან ერთბაშად მიშვებით, უნდა გადაატაროს წყალი მასზე. პირველ შემთხვევაში ორასი დღე და მეტი დასჭირდებოდა ზემოხსენებული ფართობის მორწყვას, მაშინ როდისღა გაითოხნოს, ან როდის მოუწევს მეორე მორწყვა ამ ფართობის იმ ნაწილს, საიდანაც რწყვა დაიწყო? ხომ გადახმა ყველაფერი? ამიტომ არის საჭირო წყლის განაწილების ავტომატიზაცია, ამიტომ უნდა ვასწავლოთ მრწყველებს მუშაობა ახალი ინვენტარით, ახალი საშუალებებით. ასევე საჭიროა მოწესრიგდეს მათი შრომის ანაზღაურებაც. ზოგან ერთი ჰექტარის მორწყვაზე ერთ შრომადღეს უწერენ, ზოგან ორს, ზოგან ნახევარს. კახეთში გასულ წელს ასეთ საოცარ ამბავს წავაწყდით: მევენახეობის ერთ საბჭოთა მეურნეობაში 1 ჰექტარი ვენახის მორწყვისათვის მუშას 1,8 მანეთი ეძლეოდა, ხოლო 20 კილომეტრს იქით, მეორე საბჭოთა მეურნეობაში სანაწვერალო სიმინდის მოსარწყავად 1 ჰექტარზე 7.0 მანეთს უხდიდა დირექცია. მრწყველის დაინტერესება საჭიროა, მხოლოდ რაღაც საერთო საზომი უნდა არსებობდეს. ამაზეა დამოკიდებული რწყვის ხარისხი და ჩვენი მიწების ბედი.

ვფიქრობთ, ჩვენი მიწისა და ნიადაგების დაცვა საჭირო საქმეა და მას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ჩვენს მწერლებსა და ჟურნალისტებს: სოფლის თემებზე დაწერილ წიგნებში ეს საკითხი მსჯელობის საგანი ჯერაც არ გამხდარა.

ამ საქმეს კი წიგნიც უნდა და პლაკატიც, კინოც და ტელეხედვაც. მარტო ინჟინრები და მელიორატორები აქ ვერაფერს გახდებიან.

ვერა ბუაჩიძე

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# ვისაც როგორ მოსწონს

სილამაზეზე ამქვეყნად ყველას თავისებური წარმოდგენა აქვს; მაქსიმ გორკი ამბობდა, რომ არაბისათვის არ არსებობს უფრო ლამაზი პეიზაჟი, ვიდრე უდაბნო, ხოლო ინდოელისათვის განგის ჭალების შესადარი არაფერი არ არის ქვეყნად. ასევე მეტნაკლებად განსხვავებულია წარმოდგენა ადამიანის სილამაზეზე.

ასე, მაგალითად, თოვლივით თეთრი და ქათქათა კბილები ხომ სილამაზის ნიშანია; მაგრამ თურმე არც ეს არის საყოველთაოდ აღიარებული. კუნძულ ბორნეოზე ცხოვრობს ტომი, რომელთაც დუსუნებს ეძახიან. იქაურმა გასათხოვარმა ქალიშვილმა საქმროს თავი რომ მოაწონოს, კბილები მას აუცილებლად შავი უნდა ჰქონდეს. კბილების გაშავება წმინდა ადათად ითვლება და მისი „ტექნოლოგიის“ საიდუმლოს არც ერთ უცხოელს არ უზიარებენ. მიუხედავად ამისა, ევროპელმა ეთნოგრაფმა ეტაალმა შეძლო თვალყური ედევნებინა ამ პროცედურისათვის.

სპეციალურ ქვასანაყში ქალებმა ფხვნილად აქციეს ტროპიკული მცენარის კვაკას ფოთლები, რომლებსაც მცირე რაოდენობით შეურიეს ნახშირი. შემდეგ ეს ნარევი სქლად წაისვეს კბილებზე. იმისათვის, რომ საღებავი კბილებს არ მოშორებოდა, ზედ ბანანის ფოთოლი დაიფარეს. ქალიშვილებს ორი დღე საჭმელი არ უჭამიათ, მაგრამ რა გაეწყობა, სილამაზის გულისთვის რას არ მოითმენს ადამიანი!

ორი დღის შემდეგ ამ ქალიშვილების კბილები ისე ელავდნენ, როგორც საკონცერტო როიალის შავი კლავიშები...

გონდურასის, ნიკარაგუასა და ბოლივიის მიდამოებში ცხოვრობენ უძველესი ტომები, რომელთა ქალები სახეზე ისვამენ ერთგვარ მანათობელ ნივთიერებას — „ურუკუს“, ანდა წითელ საღებავს. კაცები კი ცხვირზე და ლოყებზე კუპრს ისვამენ. ინდონეზიელი ტომის დაიაკოს ქალები ზედა კბილებს იხვრეტენ და შიგ სადაფებს იყრიან.

ხართუმში ინგლისელმა სწავლულმა დარტლეტმა ნახა, თუ როგორ ზელავდნენ ნაჭრილობევს ნაცრისა და დანაყული ბალახის ნარევით. ასეთი საღებავით შეფერადებული ნაჭრილობევი კარგად მოჩანს შორიდან; იაპონიაში სხეულზე ნემსებით ამოიკაწრავენ ხოლმე ციტატებს კლასიკოსების ნაწარმოებებიდან, ნაწყვეტებს საყვარელი ლექსებიდან, ყვავილებისა და ფრინველების გამოსახულებებს.

ერთი სიტყვით, რანაირ მოდას არ წააწყდებით ამქვეყნად, ჩრდილო და სამხრეთ პოლუსებს შორის! სამაჯურები, მძივები, ბეჭდები და საყურეები ყველგანაა ცნობილი, მაგრამ ზოგან ამ სამკაულებისათვის სპილენძის ფარებიც კი მიუმატებიათ; ასეა ეს, მაგალითად, ცენტრალურ აფრიკაში. ბევრგან სამკაულებად იხმარება გარეული ღორების ეშვები, ნიჟარები, „სამოთხის ჩიტების“ ბოლოები, თუთიყუშების ქოჩრები და ლამურების კბილებიც კი... რას იზამთ, ადამიანებს სურთ ლამაზად გამოიყურებოდნენ!



ამას წინათ პოლონეთის რადიომ მოულოდნელად შეწყვიტა თავისი გადაცემა და ეთერში გაისმა დიქტორის მღელვარე ხმა:

— ყურადღება! საფრთხეშია ორი ახალგაზრდის სიცოცხლე, რომლებიც მღრღნელების საწინააღმდეგო შხამით მოიწამლნენ. ახალგაზრდების გადასარჩენად საჭიროა წამალი „რამი“. ვისაც ეს წამალი მოეპოვება, ვთხოვთ სასწრაფოდ დაუკავშირდნენ სამედიცინო აკადემიის მეორე კლინიკას, შემდეგი მისამართით: კრაკოვი, კოპერნიკის ქუჩა, 15.

ამ ცნობას ორი დღის განმავლობაში გადასცემდნენ ეთერში. კატოვიცის რადიოსადგურის ჟურნალისტები დაუკავშირდნენ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების რადიოსადგურებს და სთხოვეს მათაც გადაეცათ ეს ცნობა.

საქმის ვითარება ასეთი იყო: სამედიცინო აკადემიის სასწრაფო დახმარების კლინიკაში კოშიციდან მოიყვანეს მძიმედ მოწამლული ორი ძმა — ტადეუშ და ზიგმუნტ გუიბუები. მორიგე ექიმმა ყოველგვარი ზომები მიიღო ახალგაზრდების გადასარჩენად, მაგრამ მათი მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. კონსილიუმის შემდეგ ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ავადმყოფების შველა მხოლოდ პოლონეთში ნაკლებად ცნობილ წამალს — „რამს“ შეეძლო.



სად უნდა ეშოვნათ ეს წამალი?

ტელეფონების ზარი აწკრიალდა ქვეყნის ყველა სამკურნალო დაწესებულებებსა და აფთიაქებში, მაგრამ ყოველგვარი ცდა ამაო გამოდგა. მაშინ ექიმებმა გადაწყვიტეს დახმარება ეთხოვათ ხალხისათვის. მას შემდეგ, რაც რადიომ ეთერში გადასცა ცნობა, კლინიკაში ყოველი მხრიდან დაიწყეს წამლების გამოგზავნა. შემოწმებამ ნათელყო, რომ ამ წამლებიდან არც ერთი არ იყო ის ძვირფასი სითხე, რომელსაც ექიმები დაეძებდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ლიუბლინიდან მოვიდა სასიხარულო ცნობა: „ვიშოვეთ ერთი ამპულა „რამი!“.

ლიუბლინში დაუყოვნებლივ გაფრინდა თვითმფრინავი, რომელმაც კრაკოვში ფასდაუდებელი ამპულა ჩამოიტანა. რამდენიმე ამპულა მიღებული იქნა პოლონეთის ერთ-ერთი ფარმაკოლოგიური ლაბორატორიიდან. მაგრამ ახალგაზრდების გადასარჩენად კიდევ ხუთი ამპულა იყო საჭირო.

გადიოდა საათები. ექიმები გააფთრებით იბრძოდნენ ორი ადამიანის გადასარჩენად. კატოვიციდან და კრაკოვიდან მთელი ღამე გრძელდებოდა ტელეფონით საუბარი მეზობელი ქვეყნების რადიოსადგურებთან.

და აი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მოდის ახალი სასიხარულო ცნობა:

— ვიშოვეთ წამალი!

ღამის სამი საათია. შენეფელდის აეროდრომიდან მიწას წყდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის თვითმფრინავი. რამდენიმე ხნის შემდეგ ამპულები კრაკოველი ექიმების ხელშია. ძმები გუიბუების სიცოცხლე უკვე გადარჩენილია!

მეორე დღეს ექიმებმა ნება დართეს ჟურნალისტებს გასაუბრებოდნენ გამოჯანმრთელებულ ბიჭებს. აი რას მოუყვნენ ისინი:

— ეს ამბავი ნაშუადღევს შეგვემთხვა. ფორანის დაზეთვის შემდეგ ხელების დაბანვა განვიზრახეთ, მაგრამ ახლომახლო წყალი არ იყო. სარდაფში ვიპოვეთ ქილა, რომელშიც რაღაც სითხე ესხა. ამ სითხით დავიბანეთ ხელები, ზიგმუნტმა იგი სახეზეც შეისხა. ერთი საათის შემდეგ ცუდად გავხდით: თავი აგვტკივდა, დაგვეწყო გულისრევა. მეორე დღეს კლინიკაში მიგვიყვანეს, დანარჩენი კი თქვენც კარგად იცით...

ეს ფაქტი პირველი შემთხვევა როდია, როცა კეთილი ნების ადამიანები მტკიცე რაზმად ერთიანდებიან ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეთა სიცოცხლის გადასარჩენად.

ე. ეგოროვი

# ქართული ფილმი

## გუშინ და დღეს

ბიბლიოთეკა

Ხელოვნების გზა მარტო ვაკეზე როდი გადის. ცხოვრება მრავალფეროვანია, სავალად რთული. შეგხვდება ძნელი აღმართი, მაგრამ ბევრჯერ არც დაღმართია იოლად ჩასავლელი. ხელოვანი არც პირველს უნდა შეუშინდეს და არც მეორეს; ცხოვრების მხატვრულად ასახვის რთულსა და მძიმე მისახვევ-მოსახვევებში იგი დაჯერებულად უნდა გაჰყვეს აზრსა და გრძნობას, გუმანსა და გემოვნებას, თუ სურს, რომ სწორ გზაზე გამოვიდეს.

ასეთი სწორი გზა ერთხელ გატკეპნილზე როდი გადის. იგი იქაც მოიძებნება, სადაც ფეხი არავის დაუდგამს და იქაც, სადაც მთელ თაობებს უვლიათ. ამაშიც არის ხელოვნების, მხატვრული შემოქმედების თავისებურება. თვითეული ხელოვანი საკუთრივ ირჩევს ცხოვრების ასახსნელად და გარდასაქმნელად მარჯვედ მისადგომ კვალს, მაგრამ არც წინაპართა ნაკვალევს უნდა აუქციოს გვერდი. კარგი ტრადიციისაგან პირვეულად გვერდზე გადახვევა, თავის არიდება მას დააბნევს და გზას დაუკარგავს. სწორი გზა კი ჩვენი ცხოვრების ცოდნაა, მისი სწორად დანახვაა, კარგი ტრადიციის ათვისებაა, და ის, ვინც მის მიღმა ეძებს ფართო შარაგზას, უეჭველად დაიბნევა.

ასე დაემართა კინოსტუდია „ქართულ ფილმს", რომელიც აგერ მესამე წელია ძალზე სუსტად მუშაობს, უამრავ ძალღონეს ხარჯავს, აუარებელ დოვლათს ფანტავს, მაგრამ წარმატებებს ვერ აღწევს.

რატომ დაემართა ეს ჩვენს კინოსტუდიას?

იმიტომ, რომ „ქართული ფილმის" ხელმძღვანელობამ სტუდიის კარგი ტრადიციების მიღმა დაიწყო „ნოვატორული" ძიება და ძველს მოწყვეტილმა, ახალსაც ვერ მიაგნო. ექსპერიმენტულობა მან თვითმიზნად აქცია და კინოწარმოება იმგვარ ლაბორატორიად გახადა, სადაც ცდებს საალალბედოდ აყენებდნენ.

რა ჰქონდა წარსულში და რა უნდა ჰქონოდა აწმყოში კინოსტუდია „ქართულ ფილმს"?

ბევრი რამ დიდად სასახელო. წელიწადი ისე არ გავიდოდა, რომ შვიდი-რვა საინტერესო კინოფილმი არ გამოშვებულიყო ეკრანზე, მათგან სამი-ოთხი მთელი მსოფლიოს მოწონებას იმსახურებდა. საქმე ისე მიდიოდა, რომ კიდევ უფრო უნდა ემრავლა ყველას მიერ მოწონებულ ქართულ ფილმებს, შინ და გარეთ პრემირებულ კინოსურათებს.

რა გააჩნია ახლა კინოსტუდია „ქართულ ფილმს"? სამი წელიწადი ისე დაილია, რომ მაყურებელმა სამი ხეირიანი სურათიც ვერ ნახა. წარმოებას გადაცემული, და ბევრი გამოსაშვებად გამზადებული ფილმი მხატვრულად მდარე და იდეურად უღლეური აღმოჩნდა.

ამგვარად, კინოსტუდიის დირექციამ ქართული კინოხელოვნების კარგი ტრადიციების უგულვებელყოფით დაიწყო „ახალი" გზების ძებნა და ამგვარ „ძიებით" სხვების მიერ უკვე ნაპოვნი გზებიც კინაღამ დაკარგა; სტუდიის ასეთ სუსტ მუშაობაზე ცოტა ლაპარაკი როდი იყო თავის დროზე, მაგრამ ამას ყურადღება არ მიაქციეს. ამას ის მოჰყვა, რომ წარმოებიდან მოიხსნა „სამნი ზღვის პირას", „ვარსკვლავთცვენა", თუ აღარას ვიტყვით იმაზე, რომ გამოშვებული სამიოდე სხვა ფილმი დიდად ნაკლოვანი იყო. დაუმატეთ ამას ისიც, რომ წარმოებიდან ამოსაღები გახდა სცენარები, რომლებზედაც უკვე ხარჯები იყო გაწეული და რომლებიც სტუდიაში თითქოს „სრულყოფილ" ნაწარმოებებად მიაჩნდათ.

რატომ შეიქნა ასეთი არასახარბიელო მდგომარეობა? იქნებ იმიტომ, რომ კინოსტუდიის ხელმძღვანელებს მეგობართა პროფესიული რჩევა აკლდათ? არა. რჩევაც ბევრი იყო და მოთხოვნაც, მაგრამ კინოსტუდიის დირექციამ თავი განზე დაიჭირა, კეთილისმყოფელთა დარიგება აინუნში არ ჩააგდო; ჩვენ გვახსოვს მრავალი საჯარო გამოსვლა, როცა დროულად გააკრიტიკეს კინოსტუდიის არა ერთი სცენარი, მათ შორის „ვარსკვლავთცვენაც".

კინოსტუდიის მესვეურები კი „ვარსკვლავთცვენას" თავგამოდებით იცავდნენ. სალ, ობიექტურ საზოგადოებრივ აზრთან გამართული ასეთი პოლემიკა სახელმწიფოს მათ რამდენიმე ათეულ ათას მანეთად დაუჯდეს. ცოტა კამათი როდი მოანდომეს სხვა ასეთსავე უპერსპექტივო სცენარების მიღება-არმიღებასაც. საბოლოო ჯამში, უთაურობის წყალობით, სტუდიამ მატერიალური ზარალი განიცადა, ხალხი კი ახალი, კარგი ქართული ფილმების მონატრული გახადა.

კინოსტუდიის პრაქტიკაში მრავალმა შეცდომამ იჩინა თავი, ავიღოთ თუნდაც ახალგაზრდა რეჟისორებთან მუშაობის პრაქტიკა. მართალია, ძველადაც იჩენდა თავს ახალგაზრდა კინორეჟისორების შემოქმედებითი ზრდის ხელისშემშლელი მიზეზები, როცა ახალგაზრდა რეჟისორს გზას არ აძლევდნენ, ფილმის დადგმას არ ანდობდნენ; ასეთ ვითარებაში ახალგაზრდა რეჟისორი შემოქმედებითად იფიტებოდა; დიახ, მეტად თუ ნაკლებად ასეთი ბედი უწვია კინოსტუდიის ახალგაზრდა რეჟისორთა ამჯერად საშუალო თაობის იმ ნაწილს, რომელმაც მთელი თავისი შესაძლებლობა ვერ გამოამჟღავნა თავისი შემოქმედებითი სიჭაბუკის ყველაზე საუკეთესო წლებში. მათ მხოლოდ მეორე რეჟისორობა ეწერათ ბედად, ან უფროსი თაობის რეჟისორთა ხელქვეითების მდგომარეობაში რჩებოდნენ. ასე იყო რამდენიმე წლის წინათ, რამაც საკმარისი ზიანი მოუტანა ქართულ კინორეჟისურას, ჩვენი მშობლიური კინოხელოვნების განვითარებას.

მაგრამ ახლაც იჩინა თავი ახალგაზრდა რეჟისორების შემოქმედებისადმი არასწორი მიდგომის ნიშნებმა, რადგან ბრმად გაჰყვნენ საეჭვო სიბრძნეს — „ბავშვი წყალში გადააგდე და ცურვას ისწავლისო". ეს შესაძლოა გამართლებულიც იყოს, თუ წყალში ჩაგდებულს შორიახლოს მიჰყვები, გაამხნევებ, რჩევას მისცემ და ნაპირისკენ გეზს გააკვლევინებ, მაგრამ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ასეთ გაბედულ ექსპერიმენტს, თუ ზღვის უნახავს, შუა ზღვაში უპატრონოდ მიატოვებ. რა ფასი აქვს ახალგაზრდა კინორეჟისორების ისეთ წამოწევას, როცა დიდ დადგმაზე აქეზებ, მაგრამ ბედისანაბარად სტოვებ, ავალებ და არ ამოწმებ, არ ეხმარები. სამწუხაროდ, ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბევრი ახალგაზრდა რეჟისორი, რომლებსაც უმტკიცებდნენ წარმოებისათვის გადასაცემ სცენარებს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სცენარები მათ თვითონ მოსწონდათ, მაგრამ არ მოსწონდა არც სასცენარო განყოფილებას, არც სამხატვრო საბჭოს და, რაც პარადოქსულია, ზოგჯერ, არც თვითონ სტუდიის დირექციას. საქმისადმი ასეთი მიდგომის შედეგად ბევრი სცენარი მანკიერი გამოდგა და ზოგიერთმა ახალგაზრდა რეჟისორმა შემოქმედებითი მარცხი განიცადა.

კიდევ რაში გამოიხატებოდა უთაური მუშაობა? იმაში, რომ რეჟისორ-დამდგმელები დირექციის მიერ დაგეგმილი ფილმის გადაღების ყოველგვარ ვადებს არღვევდნენ და ადმინისტრაცია ამას თვალდახუჭული უყურებდა. სამაგიეროდ, ორნაწილიან მოკლემეტრაჟიან სურათებს ათნაწილიან სრულმეტრაჟიან ფილმებად წელავდნენ და მარტო საფინანსო ორგანოებს კი არა, მაყურებელსაც უკმაყოფილოს სტოვებდნენ. ამას ემატებოდა ისიც, რომ ერთხელ დამტკიცებულ სცენარს, გადაღების პროცესში, დაუსრულებლად სცვლიდნენ და „ასწორებდნენ". ასეთი მცდარი პრაქტიკის შედეგად „პალიასტომის ტბის" გადაღება ერთის მაგიერ სამ წელიწადს გაგრძელდა, „გზები და გზაჯვარედინების" დაუსრულებელი გადაღება ახლაც გრძელდება, „თეთრ ქალიშვილს" 73 ზედმეტი დღე მოუნდა, „ზღვის ბილიკს" — 191, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს" — 322, „ალავერდობას" — 361 დღე, ყველას ერთად კი იმდენი, რამდენიც ხუთი ახალი ფილმის გამოშვებას დასჭირდებოდა.

ეს კი სახუმარო ამბავი როდია. კინოსტუდიის საქმიანობა, შემოქმედებასთან ერთად, წარმოებაც არის და, ბუნებრივია, თვითეული ფილმი თუ ერთი წლის მაგიერ ორ წელიწადს გაჭიანურდა, საწარმოო ხარჯებიც ერთი-ორად გაიზრდება, სტუდია ვადებს ვერ დაიცავს და ქრონიკულ შემოქმედებით კრიზისს თავს ვერ დააღწევს, ყოველივე ამას ისიც აღრმავებდა, რომ ერთსა და იმავე მსახიობს ერთდროულად ორ ფილმში ათამაშებდნენ, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ერთ-ერთ რომელიმე გადამღებ ჯგუფს ხანგრძლივი გაცდენა მოუხდებოდა და ფინანსიურ დავალიანებას ვერ ასცდებოდა.

სტუდიაში ეს იცოდნენ, მაგრამ ყველა თვალს ხუჭავდა. ასევე ფორმალურად მიუდგნენ ქართველ მწერალთა ერთ ნაწილთან ხელშეკრულებების დადებას სცენარების დასაწერად. საქმე ერთი მხრივ კარგად შეასრულეს, — მწერლები მოიწვიეს, ხელშეკრულება გაუფორმეს, მაგრამ მათთან შემოქმედებით კონტაქტზე და მუშაობაზე ხელი აიღეს. სტუდიამ ფორმალურად მოიხადა ვალი, ვითომ მიიზიდა მწერლები, მაგრამ შემოქმედებითი კავშირი აქ არ იყო. სამაგიეროდ ფართოდ გაუღო კარი ისეთ არაპროფესიონალებს, რომელნიც საამისოდ ჯერ მომზადებულნი არ იყვნენ. მათი უსუსური სცენარები სასცენარო განყოფილებამაც დაიწუნა და სამხატვრო საბჭომაც. მაგრამ რა ფასი ჰქონდა ასეთ დაწუნებას, თუ ყოვლად მიუღებელ, ყველას მიერ დაწუნებულ ლიტერატურულ სუროგატებს დირექცია მაინც წარმოებას გადასცემდა.

ეს იყო გუშინ. დღეს ასე ველარ იქნება, რადგან ძალზე აშკარა გახდა კინოსტუდიის ყოფილი დირექციის არასწორი მიდგომა საკითხისადმი. ახალმა დირექციამ ცუდი მემკვიდრეობა მიიღო, და ამიტომ სწორედ ახლა არის საჭირო მთელი ძალების დაძაბვა. საჭიროა სტუდიის სასცენარო განყოფილების მუშაობის გაძლიერება. იმისათვის, რომ ყოველ წელს 8-9 ფილმი გამოვიდეს, საჭიროა სასცენარო განყოფილებამ ხუთჯერ მეტი სცენარი დაამზადოს. მათგან უნდა შევარჩიოთ სრულყოფილი ნაწარმოებები, რომლებიც უპასუხებენ დღევანდელობის მოთხოვნას, რეჟისორის ესთეტიკურ მიდრეკილებას და სტუდიის ტექნიკური ბაზის რაციონალურად მომარჯვებას, როცა მაქსიმალურად გამოყენებული იქნება ზამთრისა და ზაფხულის საგადასაღებო შესაძლებლობა. ამიტომ ამთავითვე დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა უნდა გაიშალოს, პირველ ყოვლისა, სტუდიის სასცენარო განყოფილებაში, სადაც არა ერთი და ორი ძლიერი პროფესიონალი მუშაობს. სამწუხაროდ, დღესაც სასცენარო განყოფილების მუშაკებისათვის არ არის შექმნილი მინიმალური პირობები დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის გასაშლელად. შეუძლებელია ერთ ოთახში 10 რედაქტორის დატოვება, ავტორების მიღება, მათთან გულისხმიერი საუბარი, მომავალი ფილმის პერსონაჟებისა და სიტუაციების აზრობრივი-ხატოვანი წარმოსახვა ისე, რომ ერთმა ცხრას ხელი არ შეუშალოს და ცხრა რედაქტორთან მისულმა ცხრა ავტორმა ის ერთი წყვილი არ გამოთიშოს.

ამიერიდან ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ რეჟისორს პორთფელში ორი სცენარი ჰქონდეს. გაათავებს ერთზე მუშაობას, მეორეს მოჰკიდებს ხელს. სასცენარო განყოფილებას თაროზე უნდა ედოს დირექციის მიერ მოწონებული და დამტკიცებული ახალი სცენარი წარმოებისათვის გადასაცემად, ისევე როგორც ამას ახერხებენ საგამომცემლო ორგანოები, რომლებიც დასაბეჭდად უფრო მეტს ამზადებენ, ვიდრე სტამბა ერევა.

ამის მიღწევა ადვილი არ არის. ამიტომ სწორია სტუდიის ახალი დირექციისა და კინემატოგრაფიის კომიტეტის თაოსნობა, რათა მიიზიდონ სცენარების შესაქმნელად მწერლები, ჟურნალისტები, ინტელიგენციის ყველა ფენის წარმომადგენლები, რომლებთანაც შემოქმედებითი და ორგანიზაციული კონტაქტის შედეგად შესაძლებელი გახდება სცენარების მარაგის შექმნა.

აქამდე თბილისის კინოსტუდია კარგი ტრადიციების მიღმა იდგა. ახლა ეს გზა დაგმობილია. ყველა პირობაა შექმნილი საქმის მოსაგვარებლად. პარტია და მთავრობა ამჯერადაც ყოველმხრივ მზრუნველობასა და დახმარებას უწევენ ჩვენს შემოქმედებით მუშაკებს, სიტყვა და საქმე ახლა სტუდიის ახალ მესვეურებზე და და მათს შემოქმედებით კოლექტივზეა.

ხალხს მოსწყინდა სამი წლის დაუსრულებელი ლაპარაკი სუსტსა და მდარე ფილმებზე. ხალხს სწყურიან მაღალი კომუნისტური იდეურობით გამსჭვალული, მაღალმხატვრული ქართული კინოფილმები, რომლებიც მოწონებით აალაპარაკებენ მრავალმილიონიან მაყურებელს.

ოთარ ეგაძე




# საიათნოვას უკვდავება

სიყვარულის ენაზე

მიმდინარე წლის ოქტომბერში ამიერკავკასიის ხალხებმა, მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად, მთელ მოწინავე კაცობრიობასთან ერთად, იდღესასწაულეს მეთვრამეტე საუკუნის უბრწყინვალესი მგოსნის საიათნოვას დაბადების ორასორმოცდაათი წლის იუბილე. საიათნოვას სახელი — სიმბოლოა ხალხთა განუყრელი მეგობრობისა. იგი ეკუთვნის ამიერკავკასიის სამივე ერს, იგი ერთნაირი გატაცებით წერდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

თავის ერთ ლექსში ის ამბობდა:

სიყვარულის ენაზე ლაპარაკი თუ
გინდა,
საიათნოვამ იცის სიტყვა ქებული.

ამ სიყვარულის ენაზე იწერებოდა მისი მშვენიერი ლექსები, სამივე ენაზე მისი ლექსი ერთნაირად ხმიერი, უშუალო, წრფელი და ალალი იყო იმიტომ, რომ მას საფუძვლად ხალხთა სიყვარული ედო; ისიც გავიხსენოთ, რომ მგოსანი თავის სომხურ ლექსებს ქართული ასოებით წერდა, ხოლო აზერბაიჯანულ ლექსებს — სომხური ასოებით. და მისივე სტილით რომ ვთქვათ, მისი ლექსები, როგორც ყვავილები, ერთნაირად ლაღად ჰყვაოდნენ სამივე ბაღჩაში — ქართულში, სომხურში და აზერბაიჯანულში.

როგორც ყველა დიდი შემოქმედი, საიათნოვა, მარად ცოცხალი და უკვდავია. ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული მის თანამედროვეებსაც და მომდევნო თაობებსაც. როცა გამოჩენილ რუს პოეტს — ვალერი ბრიუსოვს პირველად გააცნეს საიათნოვას ლექსები, ის აღტაცებაში მოვიდა; ვ. ბრიუსოვი წერდა: „საიათნოვა იყო ის მომღერალი, რომელმაც აშუღური პოეზია თვალუწვდენელ მწვერვალზე აიყვანა; თავისი გენიის ძალით სახალხო მომღერლის ხელობა მან აქცია ჭეშმარიტი პოეტის მაღალ შთაგონებად". შემდეგ ბრიუსოვი აღნიშნავს, რომ საიათნოვა არ იყო უბრალო მომღერალი, არამედ ბრძენი მგოსანი იყო და მისი სიმღერა ამღიდრებდა ხალხის სულს, შთააგონებდა მას ძმობის მაღალ იდეალებს, განუმტკიცებდა სამშობლოსადმი სიყვარულს, სიკეთისა და სილამაზისადმი ტრფიალის უწმინდეს გრძნობებს.

მეოცე საუკუნის ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა მწერლებმა და მკვლევარებმა ფასდაუდებელი ამაგი დასდეს საიათნოვას პოეტური მემკვიდრეობის შესწავლასა და პოპულარიზაციას; მართალია, ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით მისი ბიოგრაფიიდან, მაგრამ რაც მთავარია, ჩვენს ხელთ არის მისი უკვდავი ლექსები, რომლებიც ხშირად ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებენ და ბევრ რამეს გვეუბნებიან როგორც ეპოქის, ისე თვითონ პოეტის შესახებ. ამას ემატება გადმოცემანი და იმდროინდელ პირთა ჩანაწერები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან აღვადგინოთ მთავარი ეტაპები მისი ცხოვრებისა.

ცოტა რამ მგოსნის ვინაობაზე

არუთინა საიათნოვა, როგორც უკვე დადგენილია, დაიბადა 1712 წელს, თბილისში, სომეხი ხელოსნის ოჯახში. ერთ აზერბაიჯანულ ლექსში საიათნოვას ზუსტად მითითებული აქვს თავისი სადაურობის ამბავი: „ანამ ჰავლაბარლუ, ათამ ჰალაბალუ", ე. ი. „დედაჩემი ავლაბრელია, მამა კი ალაბელიო", ნათქვამია მასში.

ალაბის ან ჰალაბის სახელით მაშინ ქ. ალეპოს გულისხმობდნენ. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ეს ცნობები სრულიად ნდობის ღირსია.

საიათნოვას ლექსიდანვე ვგებულობთ, რომ ის თავდაპირველად ხელობით ფეიქარი ყოფილა. ცამეტი წლისა მიუბარებიათ ოსტატისათვის და ერთ წელიწადში ბრწყინვალედ დაუუფლებია საქმეს. ამრიგად, პოეტი ხელოსანთა წრეში აღზრდილა, ხალხის წიაღში აღზრდილა და ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი შემოქმედებისათვის. საიათნოვა თავის თავს „ხალხის ნოქარს" უწოდებდა და თავის სიმღერებშიც ხალხის მისწრაფებებს გამოხატავდა. სულ მალე მისმა უჩვეულო ჰანგმა მოხიბლა და დაატყვევა ყველა, ვინც თუნდაც ერთხელ მოუსმინა მას; ჭაბუკი პოეტისა და მუსიკოსის სახელი მთელ ქვეყანას მოედო. მალე ის მეფე ერეკლე მეორის კარის მგოსანი გახდა; ერთ ლექსში ის ამაყად ამბობს:

საქართველოს მეფის საზანდარი
ვარ,
საიათნოვას — არუთინას იტყვიან.

საიათნოვამ თვითონაც კარგად იცოდა, რომ მის სიტყვას ხალხზე ზემოქმედების იშვიათი ძალა ჰქონდა. ამიტომ ამბობდა:

ნურვინ იტყვით, ეს ყმაწვილი ვინა
ვარ,
ანა-ბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ,
საიათნოვა მქვიან, არუთინა ვარ,
სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი
დაიწყოს.

თავის თავს პოეტი ხალხის ნოქარს, ხალხის მსახურს უწოდებდა და ეს ასეც იყო — მის ლექსში უბრალო ადამიანები პოულობდნენ მალამოს თავიანთი ტკივილებისა და სევდით დაწყლულებული გულის განსაკურნებლად. სანთელივით ენთო მისი ლექსი და პოეტი ამას თვითონაც აღნიშნავდა:

სანთელი ვარ, პირის ორთქლით
საქრათა,
სიტყვა გითხრა, რომ გადიქცე
შაქრათა.

რას ნიშნავს მგოსნის ფსევდონიმი?

დღემდე ჯერ კიდევ ზუსტად არ არის დადგენილი თუ რას ნიშნავს პოეტის ფსევდონიმი — საიათნოვა. ოვანეს თუმანიანი ფიქრობდა, რომ ეს ნიშნავს „სიმღერათა მეფეს" ან „მუსიკის მეფეს" (ინდურ ენაზე, რომელიც ძლიერ გავრცელებული იყო მთელ წინა აზიაში). იყო ცდები სხვაგვარადაც აეხსნათ ეს სახელწოდება. ჩვენი აზრით, პირველი განმარტება თუმანიანისა — „სიმღერათა მეფე" შეიძლება ყველაზე უფრო სწორი იყოს.

საიათნოვას სიმღერებში ხშირად არის ნახსენები ფირდოუსის, ჯამის, ფიზულის, ნავოის და აღმოსავლური პოეზიის სხვა კორიფეთა გმირების სახელები. ეს ფაქტი თვალნათლივ მოწმობს, რომ პოეტი დიდად განათლებული კაცი იყო და კარგად იცნობდა აღმოსავლურ ლიტერატურასა და აღმოსავლურ ენებს.

მაგრამ ის უბრალოდ როდი მისდევდა აღმოსავლური პოეზიის ტრადიციას — პოეტი თვითონ იყო შესანიშნავი ნოვატორი და სამივე ენაზე მისი ლექსი ჟღერდა მუდამ ახლებურად; მას გატკეპნილი ბილიკები არ უყვარდა, და ამიტომ დღესაც ახლებურად ჟღერს მისი სტრიქონები — მიმართული სამშობლოსადმი, თუ სატრფოსადმი:

ჰინდის ყალამქარს დავეძებ
ზარუ-ზარბაბ-ზარისათვის,
უძილოდ ღამე ვათიე
ვით ვარსკვლავმა მთვარისათვის.

გარდაცვალების თარიღი

საიათნოვას გარდაცვალების თარიღი დღემდე ზუსტად არ არის დადგენილი. აქაც წლების მანძილზე ბევრი სადავო და საეჭვო მოსაზრება გამოითქვა; ასე, მაგალითად, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი თავის მონოგრაფიაში მეფე გიორგი მეთორმეტის შესახებ აღნიშნავდა, რომ „გამოჩენილი მოლექსე, ჰაზრთა მკვეთრთა მქონი" საიათნოვა, რომლის „თქმათა დღესცა იგავად იტყვიან ქართველნი" „მოკვდა 1801 წელსა" (ავტორი აქ ეყრდნობოდა თავისი მამის — ქართველ მეფეთა კარის მოძღვრის ეგნატეს ნათქვამს).

სხვათა შორის, როგორც ხალხური გადმოცემის, ისე მწიგნობრული წყაროების მიხედვით, საიათნოვა მოჰკლეს თბილისში, წმინდა გიორგის ხაყდრის ზღურბლზე, სპარსეთის შაჰის — ალა-მაჰმად-ხანის ურდოების შემოსევის დროს. ოვანეს თუმანიანმა ამ ადგილას 1914 წელს ააგებინა ძეგლი საიათნოვას სახელის უკვდავსაყოფად.

ყველაზე ადრე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფართოდ გავრცელებულ გადმოცემას, ცნობები იმაზე, თუ სად, როგორ და რა ვითარებაში მოჰკლეს საიათნოვა — შეკრიბა და გამოაქვეყნა დიდი აშუღის ბიოგრაფიის პირველმა მკვლევარმა — ექიმმა იური ახვერდოვმა, რომელმაც 1852 წელს, მოსკოვში გამოსცა საიათნოვას სომხური ლექსების კრებული და სათანადო წინასიტყვაობაც დაურთო მას.

იური ახვერდოვი თბილისის ახლოს მდებარე სოფელ თელეთიდან იყო. 1818 წელს დაბადებულს, თავის სიჭაბუკის წლებში შესაძლებლობა ჰქონდა ბევრი რამ გაეგო საიათნოვას ბედზე თავისი მამისაგან, რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული კაცი ყოფილა (ჰქონია პრაპორშჩიკის ჩინი); ამას გარდა, იმავე წლებში, მას შეეძლო საამისოდ საჭირო ცნობები შეეკრიბა თბილისის იმ მცხოვრებთა შორის, რომელნიც 1795 წლის საშინელი ტრაგედიის პირადი მომსწრენი იყვნენ. ახვერდოვი აღნიშნავს კიდეც, რომ ყველა ცნობა მან ამ ადამიანებისაგან ჩაიწერა.

ამრიგად, ჩვენ საფუძველი გვაქვს ახვერდოვის ცნობებს მეტი ნდობით მოვეპყრათ.

ახვერდოვის ცნობებს მთელი თავისი დეტალებით ადასტურებს გენერალი ს. ქიშმიშევი თავის წიგნში „ნადირ-შაჰის ლაშქრობანი", სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი თბილისის აღებას სპარსეთის ჯარების მიერ 1795 წელს.

უაღრესად ავტორიტეტული წყარო — „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია" აღნიშნავს, რომ „საიათნოვა მხეცურად მოჰკლეს ალა-მაჰმად-ხანის ჯარისკაცებმა თბილისის აღების დროს" (ტ. 38, გვ. 171).

ამრიგად, ვერსია დიდი მგოსნის ბუნებრივი სიკვდილის შესახებ არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს, იგი განგმირული დაეცა საყვარელი თბილისის დასაცავად.

შესანიშნავად ამბობს მის უკვდავებაზე გამოჩენილი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე:

შენ იტირებ, არ მოკვდები,
შენ იმღერებ დღე ათასი,
ქუჩებშია ჩირაღდანი,
აბრეშუმის ფიანდაზი.
სიმღერებიც არ იქნება,
თუ არ ცრემლის შარბათითა,
ცხრა კუბოში რომ იძინო,
გასძლებ ლექსის მკავებადითა.

და მართლაც, საიათნოვას სიტყვა მუდამ გასძლებს, მუდამ იცოცხლებს და მუდამ მახარობელი იქნება ხალხთა განუყრელი ძმობისა და მეგობრობისა.

**ივანე ენიკოლოფოვი**



მეთვრამეტე საუკუნის თბილისი.



გიორგი შავგულიძე საიათნოვას როლში (ლ. გოთუას „მეფე ერეკლე").



საიათნოვა. სურათი ჰ. რუხკიანისა.

# ქილო მუხამბაზისა

გრიგოლ ორბელიანს განსაკუთრებული ნაზი და წრფელი სიყვარულით უყვარდა ძველი თბილისი—ხელოსნებისა და მეთევზეების უბნები; მას ხიბლავდა უბრალო, მდაბიოთა წრიდან გამოსული ადამიანების ალალი, ვაჟკაცური გული, მათი ტემპერამენტი და სიცოცხლისმოყვარეობა. ყოველივე ამან განაპირობა გრ. ორბელიანის განსაკუთრებული სიყვარული საიათნოვას პოეზიისადმი; ქართველმა პოეტმა საკმაო ხარკი გადაუხადა მუხამბაზურ პოეზიას და თუმცა ეს არ იყო მისი მთავარი გზა, მაინც აქაც მან ბრწყინვალე შედევრები დაგვიტოვა. მისი ამ ციკლის ლექსებიდან უნდა აღვნიშნოთ „მუხამბაზი" („სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით"), „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები", „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ" და განსაკუთრებით „სავათნავას მიბაძვა".

„მუშა ბოქულაძეში" ავტორი ათქმევინებს თავის გმირს:

ბაღით მესმის ჭიანურის, ლხინის
ხმა,
სავათნავას გულდამწველი ჰანგები.

გრ. ორბელიანის ამ ციკლის ლექსებს ილია ჭავჭავაძემ მაღალი შეფასება მისცა. ილია წერდა:

„აბა, აილეთ ურითმო ლექსები გრ. ორბელიანისა, თუნდა ბოლოდროინდელი „ონიკაშვილის დარდები", აბა, ყურადღებით წაიკითხეთ რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშია! თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქესანი თბილისის ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორთაჭალის ბაღები. აბა ნახეთ ის ქართველი პაჭარნი, ნაბადწამოსხმული, ლოთურად ჩითმერდინით ყელზე, როგორ გულმოდგინედ შეჰყურებს თავის საყვარლის ფანჯრებს. ვინც კი დაუშლის, აღრინდება და ეუბნება: „მოდი ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე". რამდენი ნამდვილობა და ჭეშმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარდებში, კვნესაში და ნატვრაში!"

საიათნოვას ლექსი გრ. ორბელიანმა დაღესტანში, შამილთან ომის დროსაც გაიხსენა. ბურთუნაის სიმაგრის აღების გამო დიმიტრი ჯორჯაძისადმი მოწერილ წერილში გრ. ორბელიანი აღნიშნავს:

„ახლა მტერი ისვრის შორიდან და უფრო ილანძღება, და ამასთან ერთად ჰსთოვს, ჰქრის და დგას ღამესავით ბნელი ნისლი. ვჰკვირობ და ვჰკვირობ ჩვენი სალდათების ესოდენ მხნეობასა, ესოდენს შრომასა და ესოდენ მოთმინებასა; მართლად ამათ ქებას „საწერელი ზღვა უნდა". (გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, აკ. გაწერელიას რედაქციით, გვ. 231.)

პოეტს აქ დაუმოწმებია ტაეპი საიათნოვას ლექსიდან „მტკვარო ამღვრეულო":

შენსა ქებას საწერელი ზღვა უნდა,
შენს შემხედვარს თავში რალა ჭკვა
უნდა.
განა საყვარელი სხვადასხვა უნდა?
სულ ქვეყანას შენი ნახვა მოუნდა,
გამოდი ღრუბლიდან, მზევ ნაზიანო!

გრ. ორბელიანს, როგორც ჩანს, ასევე გატაცებით ჰყვარებია ვაგიფი — გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი, საიათნოვას თანამედროვე და, შეიძლება, ახლო მეგობარიც. ვაგიფმა შესანიშნავი ლექსები უძღვნა თბილისს, ერეკლეს ძეს—ლეონ ბატონიშვილს და გატაცებით უმღერა ქართველი ქალის სილამაზეს. ამ ლექსებში ჩანს საქართველოზე შეყვარებული პოეტი, რომელიც ცოცხლად გვიყენებს თვალწინ მეთვრამეტე საუკუნის მთელ ვითარებას.

სწორედ ამ ვაგიფის შესახებ 1856 წელს გრ. ორბელიანი დაღესტნიდან წერს ყაფლან ორბელიანს:

„ყარაბაღელი მირზა ჰუსეფი ჩემთან არის: ვაწერინებ სპარსეთის ისტორიასა, მეტადრე განვრცელებით ნადირშაჰიდან აქამომდის.... მალე მოგართმევ ფეშქაშად მთლად ვალეფის ლექსებსა, აქ დაბეჭდილსა ამ მირზა ჰუსეფისაგან" (გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II).

ვაგიფის ეს შესანიშნავი ლექსები უკვე ჩვენს დროში თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა პოეტმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ სათაურით „ლექსები საქართველოზე".

**რ. ჭელიძე.**



საიათნოვა. სურათი ს. მაისაშვილისა



ნაირა გოგატაძე და ნუნუ ვასაძე ჩაის კრეფის წინ.

# [illegible]

ყველა ახალგაზრდა ადამიანს — ჭაბუკსა თუ ქალიშვილს თავისი სანუკვარი ოცნება აქვს, რომელსაც სიყრმიდანვე ელოლიავება; ეს არის ოცნება იმაზე, თუ ვინ რა უნდა გამოვიდეს, ცხოვრების რომელი გზა აირჩიოს. ჯერ ისევ სკოლის მერხებზე ელანდებათ პატარებს როგორ წაიყვანენ მომავალში საოკეანო ხომალდებს აბობოქრებულ ტალღებზე, როგორ გადალახავენ მთებს, რომ დღემდე აღმოუჩენელი მადანი იპოვნონ, ან როგორ გაიყვანენ ახალ გზებს მანამდე მიუვალ ადგილებში, როგორ აიჭრებიან ვარსკვლავეთში, რომ სამყაროს ახალი საიდუმლოებები ამოხსნან...

ჰქონდა თავისი ოცნება პატარა ნუნუსაც: მას უნდოდა აეშენებინა სახლები, რომლებიც ყველაზე ლამაზი იქნებოდა... ჩამოვიდოდნენ უცხო სტუმრები მის სოფელში, მერიაში და თვალს ვერ მოსწყვეტდნენ ამ ნაგებობებს. მარტო თავის მერიას კი არა, მთელ საქართველოს ამკობდა პატარა გოგონა ოცნებაში თავისივე ხელით აშენებული სახლებით.

ეს იყო ნუნუს ოცნება, მშენებლის პროფესიაზე ოცნებობდა გოგონა.

ახლა კი ნუნუ ვასაძე სახელგანთქმული მეჩაიე გახლავთ. როგორ მოხდა ეს?

ერთმა უბრალო ამბავმა სულ სხვა გეზი მისცა მის ოცნებას...

გურიიდან საკმაოდ მოშორებით, გარეკახეთში, სოფელ საგარეჯოში ცხოვრობდა ნუნუს ტოლი გოგონა ვარდო ღრეული. და, ცხადია, იმასაც თავისი ოცნება ჰქონდა. ფეხი რომ აიდგა და ცნობა მიეცა, იმის მერე იცოდა ვარდომ რა იყო ეს დალოცვილი ვაზი, ჭეჭილის შრიალიც უყვარდა და მოღაღანე სიმინდსაც შეჰხაროდა, ყვითლად დახუნძლულ ატმებსაც და ტოტებდამძიმებული ვაშლისა თუ მსხლის ხეებსაც, შემოდგომაზე, ნაყოფის სიმძიმისაგან, წელში რომ მოიხრებიან ხოლმე. ყველაფერი ეს თავიდანვე ნაცნობი და საყვარელი გარემო იყო. მაგრამ როცა მასწავლებელმა პირველკლასელებს უთხრა — ჩაის ფოთოლსაც ბუჩქები ისხამენო, ბავშვებს ეს გაუკვირდათ და იმ დღიდან აღეძრა ვარდოს ინტერესი ამ უცნაური მცენარისადმი...

მიდიოდნენ წლები, გოგონა კლასიდან კლასში გადადიოდა, ახლა მან უკვე ყველაფერი კარგად იცოდა, მეჩაიეთა პორტრეტები თუ ჩაის თვალგადაუწვდენელი პლანტაციები გაზეთებშიც ენახა, კინოშიც, ისიც იცოდა, რომ საქვეყნოდ ჰქუხდა ამ მეჩაიეთა სახელი, რომ მათ იცნობდნენ და მადლობას უთვლიდნენ უზარმაზარი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, ყველაფერი იცოდა, მაგრამ სურვილი ჰქონდა თვითონ მოეკიდა ხელი ამ ბუჩქისათვის, ახლოდან ენახა იგი. ივრის პირებზე კი მას აბა როგორ ნახავდა.

და აი, ერთ დღეს, სოფელ მერიის ახალგაზრდებმა არცთუ ისე მთლად ჩვეულებრივი წერილი მიიღეს — უცნობი კახელი ქალიშვილი იწერებოდა — მინდა გაგეცნოთ თქვენ, მეჩაიეებს, მინდა გავეცნო თქვენს სასახელო შრომას და ამიტომ ნება მომეცით სტუმრად გეწვიოთო.

სტუმართმოყვარე მერიელებმა მაშინვე უპასუხეს — მობრძანდით, გელითო.

ორიოდე კვირის შემდეგ ვარდო მერიაში იყო. მთელი სოფელი შეეგება ქალიშვილს. მერიელი გოგონები ვარდოს დასავით დასტრიალებდნენ თავზე. თავისუფალ დღეს გამონახავდნენ თუ არა, ხან ძველი ძეგლების დასათვალიერებლად მიჰყავდათ, ხან რაიონის ცენტრს ესტუმრებოდნენ და ხანაც მეზობელ სოფლებში აწყობდნენ ექსკურსიებს.

სიცოცხლით სავსე, მხიარული ქალიშვილი მალე შეიყვარეს სოფელში. მერე კოლმეურნეებმა წერილი მისწერეს ვარდოს მშობლებს: ნურაფრის დარდი ნუ გექნებათ, თქვენს ქალიშვილს ჯერჯერობით შინ ვერ გამოვუშვებთ, ვარდომ ჩვენთან ერთად უნდა იზეიმოს საქართველოს მეჩაიეების გამარჯვებაო.

ვარდომ მალე გაიწაფა ხელი ჩაის კრეფაში. რამდენიმე დღის შემდეგ გამგეობამ პატარა ნაკვეთიც კი გამოუყო მას.

განუყრელი მეგობრები — ნაირა გოგატაძე, ვარდო ღრეული და ნუნუ ვასაძე ყოველ დილით ერთად მიეშურებოდნენ ჭახვათის უბანში გაშენებულ ჩაის პლანტაციებისაკენ. მუშაობაში გართული ნუნუ მალი-მალ გახედავდა პლანტაციაში მოფუსფუსე ვარდოს. გაოცებას ველარ მალავდა ნუნუ, როდესაც ხედავდა როგორ მონდომებითა და თავდადებით შრომობდა ახალბედა მეჩაიე.

ვარდოს ამბავმა ყველაზე მეტად ნუნუ ჩააფიქრა. ის მიხვდა, რომ მეჩაიეს პროფესია მშენებლისაზე ნაკლებ საამაყო როდი ყოფილა! აგერ საიდან სად ჩამოვიდა ეს ქალიშვილი, რომ ჩვენ ვენახეთ, ჩვენი შრომა ენახა, თვითონაც როგორ გაიტაცა ამ საქმემ, როგორ კარგად წაგვეხმარა ხელი.

როცა საქართველოს მეჩაიეებმა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოლოცვა და მაღალი შეფასება დაიმსახურეს, ნუნუმ კარგად იცოდა, რომ მასაც ულოცავდნენ, მარჯვენას და შრომას უქებდნენ.



და რა უნდა იყოს იმაზე საამაყო ადამიანისათვის, როცა იცის, რომ თავისი შრომით მთელი რესპუბლიკის სახელსა და გამარჯვებებს უყრის საფუძველს...

* * *

პირველ გამარჯვებას ნუნუ ვასაძემ 1961 წელს მიაღწია. მთელი სოფელი გაოცებული დარჩა, როცა ახალგაზრდა მეჩაიემ გეგმით გათვალისწინებული ათას ხუთასი კილოგრამის ნაცვლად სამი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მოკრეფა შეძლო.

პირველმა წარმატებამ ფრთები შეასხა ნუნუს. მომდევნო წელს მან გეგმით გათვალისწინებული ორი ტონა ჩაის ნაცვლად ოთხი ტონა ხარისხოვანი ნედლეული ჩააბარა სახელმწიფოს.

მერე ის იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დაიბარა ნუნუ და პირდაპირ უთხრა:

— ახალგაზრდული რგოლის მეთაურად უნდა დაგნიშნოთ!

ნუნუ გაოცდა. დიდხანს ვერ ახერხებდა ხმის ამოღებას.

— ვერ შევძლებ, — ჩაილაპარაკა ბოლოს მან,— ჩემი ტოლი მეჩაიეები ყურს არ დამიგდებენ...

დიდხანს უარობდა ნუნუ, მაგრამ თავმჯდომარეს მაინც ვერ გადაათქმევინა სიტყვა.

— რა ვქნა, გამგეობამ ასე გადაწყვიტა, ხვალვე ჩაიბარე რგოლი! — უთხრა თავმჯდომარემ.

ახალგაზრდულმა რგოლმა მთელს კოლმეურნეობაში ისახელა თავი. ჩაის კრეფასთან ერთად ახალგაზრდები სხვა ათასგვარი საქმის გაკეთებას ასწრებენ. ხიდის შეკეთება დასჭირდება კოლმეურნეობას და პირველ რიგში ვასაძის რგოლის წევრები მიაშურებენ სამუშაოს. ახალი პლანტაციებისათვის დაჭაობებული მიწების ამოშრობა დაიწყება და მოწინავეთა შორის ისევ რგოლის წევრები არიან პირველები...

მთავარი საზრუნავი რგოლის წევრებისათვის მაინც ჩაის კრეფაა. და ახალგაზრდები ძალღონეს არ ზოგავენ, რათა სასახელო წარმატებებით შეხვდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობას.

* * *

ყოველ დილით, ვიდრე მზე ამოიწვერება, ნუნუ ვასაძის რგოლის წევრები უკვე პლანტაციაში არიან გასული.

მიმღები ფარდულისაკენ ხან ნანული დოლიძე და მაგული მოისწრაფიშვილი მიეშურებიან ჩაის ფოთლით სავსე კალათებით, გამობრუნდებიან ისინი და ახლა ნაირა გოგატაძე, ნაზი მარგალიტაძე და ნანული გობრონიძე მიარბენინებენ კალათებს...

რგოლის მეთაური ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდით დატრიალებს ნაკვეთში. წელს მან ვალდებულება აიღო ხუთი ტონა ჩაის ნედლეული ჩააბაროს სახელმწიფოს. ამიტომაც არის, რომ ყოველ დილით ყველაზე ადრე მიეშურება ჭახვათისაკენ და ყველაზე გვიან სტოვებს თავის პლანტაციას.

სულ მალე საქართველოს მეჩაიეები ზეიმით აღნიშნავენ თავიანთ ახალ გამარჯვებას. ამ ზეიმს სიამაყით გაინაწილებს ნუნუ ვასაძეც, სხვებთან ერთად იზეიმებს ნუნუ და თავის ახალ წარმატებას სიხარულით აცნობებს საგარეჯოელ მეგობარს ვარდო ღრეულს. რომელიც მოუთმენლად ელოდება მის ბარათებს...

ალ. სანადირაძე

ჭიშკართან.

ფოტო თ. არჩვაძისა

# ბიონიკა



მეცნიერებისათვის დიდი ხანია ცნობილია ცხოველების განსაცვიფრებელი მგრძნობიარება ბგერების, სინათლის, სუნისა და ტემპერატურის ცვალებადობის მიმართ; ახლა კი სწავლულებმა ისიც შეამჩნიეს რომ ზოგიერთ ფრინველს, თევზსა და მწერს აქვს საოცარი უნარი — აღიქვას და გაიგონოს ძლივს შესამჩნევი სიგნალები.

ადამიანი დაკვირვებულად შეუდგა ცოცხალი ბუნებისაგან სწავლას. ასე წარმოიშვა მეცნიერების ახალი დარგი — ბიონიკა.

აი ფართოდ ცნობილი ორი მაგალითი: ჩხრიალა გველს თვალებსა და ნესტოებს შორის, ღრმულში მოთავსებული აქვს ორგანო, რომელიც მეტად მგრძნობიარეა ინფრაწითელი სხივებისადმი. ამ გველს შეუძლია შეიგრძნოს ტემპერატურის სხვაობა ერთი მეათასედი გრადუსით. ამ ორგანოს მეოხებით ჩხრიალა გველი სიბნელეში მსხვერპლს ადვილად პოულობს — გრძნობს უცხო სხეულის სითბოს. ზოგიერთ თევზს კი იმდენად განვითარებული ყნოსვა აქვს, რომ ერ. ლიტრ წყალში შეუძლია აღმოაჩინოს გრამის ასი მემილიარდედი სურნელოვანი ნივთიერება.

სხვათა შორის, ამერიკელები ახლა ცდილობენ შექმნან ხელსაწყო, რომელსაც ასეთივე მგრძნობიარება ექნება და რომელიც წყალქვეშა ნავებს აღმოაჩენს სუნის მიხედვით.

ქვემოთ მოგვყავს რამდენიმე მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს, თუ კიდევ რამდენი სამუშაო აქვთ მეცნიერებს — ლაპარაკია რადიოელექტრონიკაზე.

ბაყაყის თვალსა და ტვინს შეუძლია უგულვებელყოს და არ დაინახოს არავითარი გარეშე საგანი, რაც მისთვის გამოუსადეგარი იქნება მწერის დასაჭერად ან მტრისაგან გაქცევისათვის. ზღვის ცხოველის—შიმშერის თვალს შეუძლია გააძლიეროს კონტრასტულობა სათვალთვალო ობიექტსა და მის ფონს შორის. ელექტრული ხელსაწყო, დამზადებული ბაყაყისა და შიმშერის თვალის მუშაობის პრინციპის მიხედვით, შეძლებს ობიექტის მკაფიო ასახვას რადიოლოკატური სადგურის ეკრანზე მაშინაც კი, როცა ამის სათანადო პირობები არ იქნება.

იმ ჩრჩილის სასმენი ორგანო, რომლითაც ღამურები იკვებებიან, აღიქვამს ბგერის ტალღას 10-დან 100 კილოჰერცამდე სიხშირის დიაპაზონზე. ამის წყალობით, ჩრჩილი ღამურას 30 მეტრ მანძილზე გრძნობს. ჩრჩილის „ყურები" იმდენად მგრძნობიარეა, რომ ცდების დროს მათ იყენებდნენ როგორც მიკროფონს, რომელიც ღამურების მიერ გამოგზავნილ სიგნალებს იღებს.

ბიონიკებს მეტად აინტერესებთ ღამურების მიერ ულტრაბგერითი რხევების გამოცემის უნარი. მაგალითად, ტროპიკული ღამურები წყლის ზედაპირიდან 7-8 სმ სიმაღლეზე გადაფრენის დროს ამ ბგერებით წყალქვეშ აღმოაჩენენ ხოლმე თევზებს. ასეთი ლოკაციის პრინციპი იმის საშუალებას მოგვცემს, რომ შევიმუშაოთ წყალქვეშა ნავების აღმოჩენის უფრო ეფექტური ჰიდროლოკატური საშუალებები.

საკვების მოპოვებისათვის ჰიდროლოკაციით დელფინებიც სარგებლობენ. ისინი თევზების ადგილსამყოფელს 3 კილომეტრის მანძილზე იგებენ. სპეციალურ აუზში ჩატარებულმა გამოცდამ მეცნიერებს დაანახვა, რომ დელფინი ყოველ 15 წამში გზავნის „საკონტროლო" ჰიდროაკუსტიკურ იმპულსს. თუ ირგვლივ არაფერია და მის სმენამდე ექო არ აღწევს, დელფინი ჩვეულებრივ პაუზას აკეთებს. მაგრამ თუ ექომ მის ყურამდე მოაღწია, იმპულსების გზავნა მკვეთრად ხშირდება და დელფინი გამალებით იწყებს მსხვერპლის ძებნას.

დელფინების გარდა რადიოლოკაციით სარგებლობენ მაისის ხოჭოებიც და ღამის პეპლებიც. რადიოლოკაცია მამალ პეპლებს ეხმარება დედალი პეპლების მოძებნაში 10 კილომეტრის მანძილზე.

ყველაზე შეუსწავლელი და საოცარი მაინც ზღვის კუს უცნაური ნავიგაციაა. კუ ზღვაში რამდენიმე ათას კილომეტრზე მიცურავს და მხოლოდ სამ წელიწადში ერთხელ კვერცხის დასადებად ბრუნდება ზუსტად იმ ადგილზე, რომელიც მან ადრე დატოვა.

ბიონიკამ მხოლოდ ახლა აიდგა ფეხი. რა საოცრებების მოწმენი გავხდებით შემდეგში? ყოველ შემთხვევისათვის, შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ მეცნიერება ქმნის ახალ სისტემებს, რომლებიც ფლობენ ისეთ განსაცვიფრებელ უნარს, რაც ამჟამად მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმებისათვის არის მისაწვდომი.



აქატი, როგორც ძვირფასი მინერალი, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო ცნობილი. ეგვიპტეში, ბაბილონსა და ასურეთში მისგან ამზადებდნენ მძივებს, ძველს რომში—ქანდაკებებს, ბეჭდებს, გემმებსა და სხვა სამკაულებს. ლენინგრადის ახლოს, ქალაქ პუშკინში ეკატერინეს სასახლის რამდენიმე ოთახი აქატითაა მოპირკეთებული. ერმიტაჟში კი დაცულია აქატისაგან დამზადებული მაგიდა, მანიაკები, ბეჭდები, ქანდაკებები და მრავალი სხვა ნივთი. XVII-XVIII საუკუნეებში აქატს იყენებდნენ დანაჩანგლის ტარებად, ხმლების ვადებისათვის და სხვ.

პლინიუსის ცნობით, ამ მინერალმა სახელწოდება მიიღო სიცილიის მდინარე ახატესიდან, სადაც უძველეს დროიდან წარმოებდა აქატის მოპოვება. ძველ ქართულ წყაროებში ეს მინერალი სხვადასხვაგვარად მოიხსენება: „აქატად", „აქატედ", „აკატად" და „აგატად".

აქატის შესახებ მდიდარ მასალას გვაძლევს არქეოლოგია. როგორც ჩანს, საქართველოში აქატს ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან იცნობდნენ: იგი ამკობს თრიალეთში ნაპოვნ ბრინჯაოს ხანის ოქროს კულონს, მისგან არის გაკეთებული ალგეთზე, აქამენიდური ეპოქის სამარხში ნაპოვნი მძივები. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი აქატისაგან დამზადებული ნივთები ანტიკური დროის საქართველოში — მცხეთის სამარხებში. ამ ნივთებიდან მრავალი გაკეთებულია ადგილობრივი აქატისაგან. ძველ მცხეთაში არსებობდა ქვის საჭრელი სახელოსნოები, სადაც შემოტანილ ძვირფას ქვებთან ერთად შესაძლებელია ადგილობრივ მოპოვებულ ქვებსაც ამუშავებდნენ.

მცხეთის გარდა აქატი ნაპოვნია საქართველოს სხვა კუთხეებშიც: თბილისში, რუსთავში, წალკაში, ზემო ავჭალაში. სამთავროში აღმოჩენილი ადრეული ფეოდალური ხანის არქეოლოგიურ მასალებში გვხვდება აქატით შემკული ქინძისთავები, რომლის მსგავსნიც მხოლოდ საქართველოში მზადდებოდა, გვხვდება წიგნებიც, რომელთა ყდები აქატითაა შემკული.

ამჟამად აქატისაგან მზადდება ფილთაქვა-როდინი ქიმიურ-ანალიტიკური სამუშაოებისათვის, პრიზმები, ბალიშები და საყრდენები ანალიტიკური სასწორებისათვის, ელექტროსაზომი ხელსაწყოების დეტალები.

საქართველოს აქატის საბადოები ყველაზე დიდია საბჭოთა კავშირში. მათგან გამოირჩევა ახალციხის საბადო, სადაც მთელ რიგ ადგილებში (წრიოხი, გურკელი, შავი კლდე, გიორგი-წმინდა, საქონდრია, აგარა და სხვ.) გვხვდება წითელი, ლურჯი, ყავისფერი, ღია ნაცრისფერი მაღალი ტექნიკური თვისებების აქატი.

ამ მინერალის მოპოვებას აწარმოებს ახალციხის აქატ-დიატომატის მაღაროთა სამმართველო, მის გადამუშავებას კი — თბილისის ქარხანა „აქატი". უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რაც საბჭოთა კავშირისა და ევროპის მრეწველობას — საათისა და ზუსტი მანქანათმშენებლობის საწარმოებს საქართველო აწვდის აქატს. ოთხი ათასი წლის წინათ დამზადებული თრიალეთის ოქროს კულონი და ერმიტაჟში დაცული მაგიდა მჭერმეტყველურად ლაპარაკობენ ახალციხის აქატის შესანიშნავ ღირსებებზე.

ვ. ზუხბაია,

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალი ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალეკო შენგელია

მე იმ პირველი კაცის გზას ვკოცნი, —
რომ უკვდავი ვარ, და ვარ მრავალი,
რვაასიათას ნოემბრის ოცში
დაბადებულთა შთამომავალი!

მე დავიბადე. სხვაც დაიბადა,
ამ თვის ცხრამეტში, ან ოცდაერთში,
და, ერთნაირად გვწამს, რაც გვიყვარდა,
ჩვენს სიცოცხლეში ნაირნაირში.

მე იმ პირველი კაცის ხმა მესმის,
რვაასიათას წლის წინ რომ გაჩნდა,
ვარ მისი სიტყვა, ვარ მისი ლექსი,
მისი სისხლი ვარ, — სუნთქვა და განცდა!

და, თქვენც მოსულებს სხვა თვით და რიცხვით,
მრავალ სიცოცხლის შთამომავალებს,
იმ წინაპართა სისხლი გავალებთ,
უფრთხილდეთ სახელს, უფრთხოდეთ
სირცხვილს!

ადამიანი! მიდის და მოდის,
როგორც დღეები და როგორც წლები, —
მშობელს ღამის რომ ჩაიმწყვდევს ლოდი,
მის განთიადში შენ გათენდები!

ასე ყოფილა: უანგარონი, —
წინაკაცები ჩვენთვის წასულან,
ძველთაძველია ესე კანონი,
ბუნების ხელით ბეჭედდასმული;

ბევრმა ხორშაკმა და ცეცხლის წვიმამ,
დაწვა, დაბუგა მამების მკერდი.
ახლა, რომ ულვთოდ მიწაში სძინავთ,
ნამდვილად ჩვენთვის იწამეს ღმერთი.

და, არ იქნება არც არასოდეს,
მიწის წერტილი, მიწის კუნჭული,
რომ წინაპართა შუქი არ კრთოდეს.
რომ არ გვესმოდეს მათი ჩურჩული.

და, ისევ მიხმობს პირველი კაცი,
ტოტებგაშლილი, ალმდგარი მუხად.
მე მისი განსჯა ჩამესმის მკაცრი,
და, მასთან ერთად, ვშფოთავ და ვწუხვარ.

მე დავიბადე, თქვენც დაიბადეთ,
ან უფრო ადრე, ან უფრო გვიან,
რომ დაიბადოს, უნდა გიყვარდეს,
რადგან სიყვარულს სიცოცხლე ჰქვია!

უსიყვარულოდ არ დაწყებულა,
ადამიანის გულის ფრთხიალი,
ეს გვახსენებს და გვავალდებულებს,
რომ სიცოცხლეს ჰქმნის ადამიანი.

მე მიყვარს ბავშვი, — და ვგმობ ატომებს,
მე მიყვარს მწვანე, — და ვაქრობ ხანძარს,
მე სიყვარულის დიდ ლაშქარს დავძრავ
და მისი ძალა არსად დამტოვებს!

ჩემს მოლულუნე აკვნებს დავიცავ,
რომ ხვალის კაცთან ავშორდე სირცხვილს,
დაფერფლილ ძვლებით მოფენილ მიწას,
ადამიანთა არ უნდა სისხლი!

მე მიყვარს მიწა, ცოცხალი მიწა,
შუქი რომ მისცა ჩემს დაბადებას,
და პირველკაცის დიდ აჩრდილს ვფიცავ,
ეს სიყვარული არ გათავდება!



## ჩემი ნოემბრის დღე

ვარ საფეხური ფეხდაუდგმელი,
დაუსრულებელ სიცოცხლის გზაზე,
სიხარულიც ვარ, სევდაც უთქმელი,
მიწა ვარ, კაცურ განცდებით სავსე!

მე წინა კაცთა მოვყევ ოცნებებს,
რვაასიათას წელს რომ იმგზავრეს,
და, დათქმულს ჩემთვის, ჩემს ოც ნოემბერს,
გზის გაგრძელება მათი მიბრძანეს!



## მთის ფიქრები

ნისლი ფიქრია მთებისა...
ვაჟა

სადღაც ნისლებში გაისმა ჩქამი,
გაიხმაურა მზის სხივმა იქნებ.
მე შევყოვნდები ამ მთაზე წამით,
და ნისლთან ერთად დავიწყებ ფიქრებს!

გავყურებ ყაზბეგს, — სამზეო კვარცხლბეკს,
ყალიონივით ნისლს რომ აბოლებს.
ეს მთები ახლა ვაჟას მაგონებს,
და, მეც ფიქრივით ვაბოლებ „ყაზბეგს".

მზემ შუქი ჩაჰკრა ღამის ბუნაგებს,
ნისლები ცაში გაკრთნენ ღრუბლებად.
ვხედავ, ვაჟა დგას მთის ტრიბუნაზე
და საქართველოს ესაუბრება!

## რიწა



გალაკტიონს

ცხრა გზას რომ გაივლი,
ცხრა კარს რომ გაივლი,
წინ გაგიშუქდება
ტბა, როგორც ყვავილი.

ეს ტბა კი არ არის, —
ეს ტბების დედაა!
მთა ცას ეკოცნება
და ტბა მთის ზედაა.

ჰაი, და ცხრა მთაა,
ცხრა-ცხრა სართულია.
ქვემოთ, ცას ჩაჰყურებ,
თან ცა გახურია!

ეს ცის ნაჭერია,
მზეს აქ დარჩენია,
სულ გასარკულია
და გაზაფხულია!

ირგვლივ რომ ნაძვია,
ბინდ-ბუნდი აცვია,
და, ფიჭვნარია და —
ზედაც ტბას მიადგა.

აქ ბევრი ფერია,
დუმილიც ბევრია,
ღიმილიც ბევრია, —
აქ ყველაფერია!

ეს მიწის თვალია,
უკვდავი წყალია.
ვსვამ და მიხარია,
ვსვამ და მიხარია!



მთამსვლელთა ბანაკი



ზღვის ხახვი

# [illegible]



სვანეთის პეიზაჟი



სასწორთან



სიტკბო



წყლის სიმღერა



კალმახი



კორძები



ბუქსირი



მ ზ ე ზ ე



# მეწისქვილენი

**ლადო მრელაშვილი**

მოთხრობა

**მხატვარი დ. ხახუტაშვილი**

მოხუცი არხის პირას ავიდა და ღარების თავთან შედგა. წყალი იპარებოდა საკეტებში და დაქანებულს ბორბლების ფრთებზე გაჰქონდა ჩხრიალი. არ უყვარდა ბერიკაცს მათი მჭიდროდ დაგმანვა. ვერ იტანდა სიჩუმეს, როდესაც წისქვილი წყალგარდა იყო.

უწადინოდ გახედა ბერღარაზე მიშვებულ ფშას. ზედ მიდგმული უზარმაზარი ფაცრის ბოლოში კაპუეტი გარიყულიყო. თევზი წყრთის სიგრძე იქნებოდა. პირით ჩქერისკენ შებრუნებული ზანტად იქნევდა ცისფერ ბოლოს და ხარბადა ნთქავდა ნაჩქეფს.

გაუკვირდა მეწისქვილეს: ფშა წმინდა იყო, თევზები კი არცთუ მთლად სულელები. რამ გადმოიყვანა ფაცერზე დღისით?

კრუსუნით ჩამოჯდა ღარების თავფიცარზე. მძიმედ გაიხადა წინდა-ქალამანი და შარვლის ტოტები აიკარწახა.

წყალი ცივი იყო, ძალიან ცივი. მიწის გულიდან ამოხეთქილი ხევების ჩარდახქვეშ მზედაუკრავად მოდიოდა წისქვილამდე. ნელა ადგამდა მანეულზე რევმატიზმით გათანგულ ფეხებს. მკვიდრ ბოძებზე შემდგარი ფაცერი სულ არა გრძნობდა ჩია ბერიკაცის სიმძიმეს.

დიდხანს იბრძოდა კაპუეტი. მერე, როდესაც ლაყუჩები დაუჭირეს, მინებდა სიკვდილს და სისველიდან სიმშრალეში გადაინაცვლა.

„თევზი მომრავლდა, ნადირი მომრავლდა, ბიჭები კი...“ — მოხუცმა ჩამავალ მზეს გახედა და მერე ყური წაუგდო კავკასიონს გადაღმიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტად მომავალ ყრუ გრუხუნს.

მცირე ხნის შემდეგ წისქვილში შევიდა. ერთადერთ პატარა ოთახში ბუხარი გააჩაღა. თევზი მოხარშა და მცირე ლასტზე ამოიღო. საიდანღაც მჭახე კნავილით მოვარდა ბებერი კატა. მოხუცმა დაუცაცხანა და ციცაც მარტო შიგნეულს დასჯერდა. ბერიკაცმა თევზს გაცივება აცალა და მერე თახჩიდან ხმიადის ნატეხი გამოიღო. ესღა შემორჩა ვეებერთელა ხმიადიდან. დღესა და ხვალ უნდა ჰყოფნოდა. იქნებ ზეგისთვისაც გადაერჩინა ცოტაოდენი. ახალ სახმიადე მინდს ვინ იცის როდის შეაგროვებდა. მისწვდა ხელადას და თიხის ჯამში წყალი დაისხა.

უცებ მოტეხილი ლუკმა ხელში შეაცივდა. წამოდგა, ლუკმა ნატეხს დაადო და ისევ თახჩაში შეინახა. ჯამი აიღო, წყალი სოხანეს მოასხურა, ხოლო თევზიანი ლასტი კავ-კრამიტსა და კედელს შუა შეჩურთა.

ღამით, ის იყო წასთვლიმა, რომ კარზე კაკუნი გაიგონა.

ბერიკაცს გაეხარდა, როგორც იყო გამოჩნდა მესაფქვე. წამოდგა, ოთახიდან გამოვიდა და კარს ურდული გააძრო.

მთვარის შუქზე დედაკაცის ლანდი შენიშნა. კარი ფართოდ გააღო და შიგნით შეიწვია.

ლანდმა გაუბედავად გადააბიჯა ზღურბლს.

ბერიკაცმა ნაცარში გახვეული ნაკვერჩხლები გაჩხრიკა, ზედ ჩინჩხვარი დააყარა და მერე სტუმარს კუნძი მიუწია ჩამოსაჯდომად.

დედაკაცი ახალგაზრდა იყო, სანდომიანი, დაღლილი სახე და დიდი, ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. მესაფქვეს არ ჰგავდა. იღლიაში ძველი, აქა-იქ ტკეჩაცლილი კალათა ეჭირა და შიგ მინდვრის ყვავილები ეწყო.

ქალმა რაღაცა თქვა.

ბერიკაცმა ვერ გაიგო.

მაშინ სტუმარმა კალათა ძირს დადგა და კუნძზე ჩამოჯდა.

დიდხანს ისხდნენ ჩუმად. მერე მოხუცმა იკითხა:

— საით გივლია?

ქალმა ვერ გაიგო.

მაშინ ბერიკაცი ადგა და ბუხარს შეშა კიდევ წაუმატა.

ქალმა უკან დაიწია, — ოთახში ისედაც ცხელოდა.

კიდევ დიდხანს ისხდნენ ჩუმად.

მასპინძელი ხედავდა, როგორ ჩხრეკდა ოთახს ძირის ძირობამდე სტუმრის გატანჯული მზერა. მიხვდა ყველაფერს. წამოდგა, გარედან ძირხვენის დიდი ფოთლები შემოიტანა და სამფეხა სკამზე დაფინა. თახჩიდან ხმიადი კვლავ გადმოიღო.

ქალს ჩაცვენილი თვალები აენთო. სწრაფად ჭამდა ხმელ პურს, გულმოდგინედ წუწნიდა თევზის ხერხემალს. მხოლოდ ერთხელ აიხედა ზევით მადლიერი თვალით და ყბა გაუქვავდა: მასპინძლის ხარბი და დაჟინებული მზერა სუფრას მიჰკვდომოდა.

ქალი უხერხულად შეიშმუშნა. ხელში შერჩენილი პურის ნატეხი ფოთლებზე მძიმე-მძიმედ დადო და გარინდდა.

ბერიკაცი უხერხულად წამოდგა. ხელადა აიღო და გარეთ გავიდა. როდესაც შემობრუნდა, ქალი ისევ ისე დახვდა გარინდებული. ჯამზე დაასხა ცივი წყალი და იქვე დაუდგა.

— ღვინოზე უკაცრავათა ვარ. დალიე, მადას მოგცემს.

ქალმა წყალი დალია, პურს კი თითი აღარ დააკარა.

ბერიკაცმა ერთხანს უცადა, მერე ვახშმის ნარჩენი წამოკრიფა და შეინახა.

ერთხელ კიდევ სცადა გამოლაპარაკება.

ქალმა ალვანი ახსენა.

მოხუცი მიუხვდა და თავი გაიქნია.

— გზა აგრევია, შვილო! — ძველ ტახტზე ფარდაგის ნაგლეჯი გაასწორა. ანიშნა იქ დაწოლილიყო. თვითონ კი ნაკვერჩხლები ისევ ნაცარში წაფლა, გარეთ გამოვიდა და ფიცრებისაგან შეკრულ სკამლოგინზე მიიყუჟა.

გათენებისას კარის ჭრიალი გაიგონა. სტუმარი წასვლას აპირებდა.

ხვნეშით წამოჯდა, ქალს წუხანდელი ვახშმის ნარჩენი შეუხვია ძირხვენის ფოთლებში და ძალით ჩასჩარა ხელში.

ქალი ერთხანს შეყოვნდა, მერე ჩუმი ქვითინით მოეხვია ბერიკაცს და მკერდზე მიეხუტა.

მოხუცმა ანუგეშა, თავადაც ცერით ამოიწმინდა თვალზე მომდგარი ცრემლი. შემდეგ ასიოდე ნაბიჯზე ჩამომდინარე ხევში გაიყვანა, გზაზე დააყენა და ანიშნა საით წასულიყო.

შუადღისას ნამდვილი მესაფქვე ეწვია. ლიტრანახევარი სიმინდი ტილოს ძველ პარკში ჩაეყარა დედაბერს. საჩქაროდ გამოართვა საფქვავი და კასრში ჩაცალა. ნახევარფუთიანი იყო საწყაო. ყოველ თავმობმულ კასრზე თითო ჯამს იღებდა მინდად. არ მოუბა კასრს თავი სიმინდმა, არცთუ ბევრი დააკლდა. იდგა მოხუცი და ყოყმანობდა. მერე კასრზე თვალმიციებულ დედაბერს შეხედა და ნელა, უნდილად დადო ძირს მომარჯვებული სამინდე ჯამი.

დოინჯშემომდგარი დიდხანს უგდებდა ყურს ბორბლის ფრთებზე შემსკდარი წყლის ხვივილსა და ქვის ყბებში მოქცეული საფქვავის კვნესა-შმაშურს.

ალათას საფარებელი აჰხადა, ფქვილის ცხელ ნაკადს პეშვი შეუშვირა და თითებში სიამოვნებით გასრისა.

—აბა, ნახე, ნათლიდედ, ხომ არ გინდა კიდევ დავაწმინდაო? — დედაკაცმა ყური ახლოს მიუტანა, მერე დინჯად აივსო მუჭა და ისევ ძირს ჩააბნია.

— რა ვიცი, ნათლიმამ, ამაზე წმინდა რაღა იქნება!

რაღაც დუნე და უღიმღამო იგრძნობოდა დედაბრის მოძრაობაში.

— ნახევარ საათში მზად იქნება.

გარეთ გავიდნენ და ვეება ლაფნის ჩრდილში დასხდნენ.

— ბიჭისგან თუ მოგდის ქაღალდი?

— მესამე თვეა არა ისმის-რა.

— ვისა სცალიან ახლა საწერად? ჩემი ბიჭებიც ძალიან გაზარმაცდნენ. ერთმა დეკემბრის შემდეგ სულ დამივიწყა.

დედაბერი სდუმდა. ცალ ყურზე თავშლის ბოლო აეწივნა და უსმენდა როგორ ზანზარებდნენ დროდადრო მთები ზავთიანი გრუხუნისაგან.

— ვაი ჩვენი ბრალი, ამას რას მოვესწარი!

— რაზე ამბობ ნათლიდედ?

დედაბერმა არა უპასუხა-რა, ისევ უხმოდ გაჰხედა აგრძვინებულ მთებს.

— გული არ გაიტეხო, ვერ გამთალწევენ. მახსოვს შენი ბიჭი, კარგი ვაჟკაცი იყო. არც ჩემები იყვნენ ნაკლებები. დარიალთან არ მოუშვებენ.

— ეჰ, ნათლიმამ, რაღა არ მოუშვებენ, აბა, ყური დაუგდე.

ბერიკაცი სიცილისაგან ახიხინდა.

— გზა გაჰყავთ თუშეთში, დინამიტებს აფეთქებენ ჩვენები, არ გაგიგია?

— აქამდე ვერ მორჩნენ გზის გაყვანას? მესამე თვეა ეგრე გუგუნებს აქაურობა.

— ორი წელია, ორმა სოფელმა ორკილომეტრიანი გზა ვერ გაიყვანეთ ვაკეზე და იმ კლდე-ღრეში გიკვირს რომ გაუჭირდეთ? სტუმარი მყავდა წუხელ რუსეთიდან. ბევრი ვილაპარაკეთ. მითხრა, ძალიან ცუდად არი იმათი საქმე, დიდი, დიდი ორ-სამ თვეს კიდევ გაგვიმაგრდნენო. სამუშაოდ ჩამოსულა საქართველოში. ალვანში მივასწავლე. მდიდრები არიან თუშები. საჭმელიც ბლომად აქვთ და სასმელიც. ფულსაც იშოვის...

დედაბერი მალე წავიდა.

ისევ მიყუჩდა წისქვილი. ისევ ჩამოწვა აუტანელი სიჩუმე ალაზნის ჭალაზე.

როგორც კი კარგად გადაიწვერა შუადღე, წისქვილს შვილიშვილი მოადგა.

— რა დაგატანტალებს ამ მზის გულზე ბიჭო? — გაეხარდა ბერიკაცს. მისწვდა და სასწრაფოდ მოხსნა მხრიდან სანადირო ჩანთა. — ეგ რაღა არი? გარმონი? რა ყველგან დაათრევ კარგი დამკვრელივით?

— უნდა ვისწავლო.

— როგორც გეტყობა, დიდხანს აპირებ აქ დარჩენას.

— დიდხანს ვაპირებ.

— სახლში რამე ხომ არ იხიმანე და გამოგაპანღურეს?

— არაფერი.

— მერე, სკოლა?

— სწავლა დაგვიმთავრდა და საზაფხულოდ დაგვითხოვეს.

მოხუცმა ორი მჭადპურა, მოხარშული ქათამი, ექვსიოდე ნიორი ამოალაგა ჩანთიდან და უეცრად სუსხიანად მობრუნდა.

— დარჩი, თუ გადახვედი ბიჭო?

— ნუ გეშინიან, გადავედი, პაპავ.

— არა მჯერა. თავი ეშმაკებითა გაქვს გატენილი. რაკი ამ სიშორეზე ვარ სოფლიდან გადმოხვეწილი, გგონია არა ვიცი-რა შენი ნიშნებისა?

— არა, ერთი ორიანის მეტი აღარა მაქვს. იმასაც შემოდგომაზე მივაძაღლებ.

— ძალიან კი ჩააბარებ თუ მიადექ და მარტო გარმონი აჭყმუტუნე.

— მა რა უნდა ვქნა ამ მივარდნილ ჭალაში? ამოდენა გზაზე მოვდივარ და წინ ერთი გადაყრუებული ბებრის მეტი არავინ შემხვედრია.

ისეთი გაშმაგებით ჭამდა ბერიკაცი, რომ შვილიშვილის მიწვევა დაავიწყდა. მაგრამ ბიჭს ხვეწნა არ დასჭირვებია. ქათამს თეძოიანად აახლიჩა ბარკალი და გაუსვა კბილი.

პაპამ წარბი შეიკრა.

— შენ ბებრების უდიერად ხსენება ნუ იცი, ბიჭო!

ბიჭმა ყური მოიყრუა.

— დედაჩემმა დამაბარა, ამ საღამოთივე ამოვიდეს შინო.

— რა მინდაო?

— რა ვიცი. ორი თვის გეგმა არ შეგისრულებია კოლექტივში და ბუღალტერს დაუბარებიხარ კანტორაში.

— ბოგირი მინდოდა შემეკეთებინა ჭალაში ფშის ტოტზე. ეს ერთი თვეა ალავერდელები ამ ხევიდან უვლიან აქ მოსასვლელად.

— შენ დარდი ნუ გაქვს, მე შევაკეთებ.

სკამლოგინზე მოიკალათა. დიდხანს აწვალებდა გარმონს. მერე საჩონგურე გამოიტანა და ჩორკნა დაუწყო.

მთელ დღეს არ გადაუღია წვიმას. არცთუ ძეხორციელი გამოჩენილა საიდანმე.

საღამოთი მჭადპურისა და ქათმის ნარჩენი ჭამა და ოთახში ტახტზე მიეგდო. ფეხებიდან ზევით აცოცდა სიცივე და დიდხანს არ დააძინა.

დილით კვლავ სიცივემ გამოაღვიძა.

წვიმას გადაეღო. ახლა ჭალაზე და კლდის პირებზე სქელი ნისლი იწვა ყურს ეუცხოვა უჩვეულო ხვივილი.

პატარა ბოგირი გაიარა, ხევს გახედა და გაოცდა: კიდემდე გავსილიყო რიყე ატრიალა და თითის დადება ადგილი უპოვა წვეროში ნესტდაუკრავი.

უწადინოდ მივიდა გაგიჟებულ ქვასთან მოძებნა რკინის ნატეხი, ისევ დააჭირა და მუგუზალი მიუმარჯვა.

მუგუზლის წვერი ყვითლად აკიაფდა.

შეშფოთებულმა ბიჭმა ხელი უშვა რკინის ნალევს და ობლად მოხვედრილ ნაპერწკალს დაუწყო სულის ბერვა.

ნელა, მაგრამ დაჟინებით უტევდა ოქროსფერი გიშრისფერს.

ალათიდან ისე ჩამოვიდა იატაკზე, რომ ბერვა არ შეუწყვეტია.

ნახევარი საათის შემდეგ ბუხარში ხრჩოლავდნენ სველი მუგუზლები. უფრო გვიან კი ხვავად მოტანილ ხმელ გაჭიმა. სიფრთხილით აფათურდნენ გამოუცდელი თითები ბევრი ხმარებით გაცვეთილ კლავიშებზე. რაღაც გამოუვიდა „მენახშირისა" თუ რომელიღაც თუშური სიმღერის მსგავსი.

არ მოეწონა ქვევით, სკამლოგინზე ყოფნა. გადასწყვიტა ლაფანზე ასულიყო.

ლაფანს ფრთლები შეშრობოდა, მაგრამ ტანი ისევ სველი ჰქონდა.

სიფრთხილით, მაგრამ კატასავით მორჯულ მიცოცავდა ზედ.

დიდი წვალების ფასად კენწეროზე შეარჩია მოხერხებული ადგილი და ჩამოჯდა.

ბიჭმა ხევისკენ შეიქცია პირი, ზურ-



— ღმერთი არ გაგიწყრეს და ფეხი არ გადგა იქით. ჭყანტობში ჩაიფლები და შიგ ჩაიხრჩვები.

დიდხანს და უსიტყვოდ ჭამდა მოხუცი. მერე შვილიშვილს მიჰხედა და საჭმლის ნარჩენი ისევ სუფთა ტილოში შეახვია.

— ეს ხვალ საღამომდე გეყოფა. მანამდე კი ვინმე გამოჩნდება და საფქვავს მოიტანს.

გაჭიანურებით ემზადებოდა წასასვლელად ბერიკაცი. როგორც იყო, ბოლოს გადაიკიდა მხარზე ხზოს ტყავის გუდა და აილო ჯოხი.

— აბა, მე მივდივარ. ყოჩაღად იყავი. საჩონგურე მოგიჭერი. ძველი ხვიმირის უკან აყუდია. ნელ-ნელა აკეთე და გაერთობი. დილ-დილით ფაცერი ნახე, შეიძლება თევზი იყოს. გუშინ კი წვივის სისქე კაპუეტი დავიჭირე. მოვხარშე და შეგინახე, შენ გელოდებოდი, ერთადა ვჭამთ-მეთქი.

— მერე სად არი?

— შაიჭამა.

— წაგძლია მაინც სულმა?

— წამძლია. — გამოტყდა მოხუცი. — აბა, ჭკვიანად იყავი, ალაზანში ბევრი არ იბანაო, წისქვილს თავი დიდხანს არ დაანებო.

მოხუცმა ზევით აიხედა.

— დღეს იგრე ცხელოდა, რომ წვიმა მოვა. თუ არ ავჩქარდი, იქნება გზაშიაც მომისწროს.

ბიჭი იდგა და მანამ გასცქეროდა მიმავალს, სანამ ხევს გაღმა ტყიანს არ შეერეოდა.

ღამით საშინელმა ჭექამ გამოაღვიძა წისქვილში დარჩენილი. ელვის შუქზე ვიწრო სარკმლიდან მოჩანდა ბებერი წნორის ქარზე გაწოლილი კენწერო. მრუმე, დაუთვლელი სიმები გაბმულიყვნენ ცასა და მყარს შორის. წვიმის, სინესტისა და რატომღაც აფშრუკული ნაცრის სუნი იდგა ოთახში. ბიჭს გაეხარდა: კარგა ხანს თავისუფლად ამოისუნთქავდა ნაგვალევი მიწა.

როგორც იყო, გათენებისას წაეძინა.

როდესაც გაიღვიძა, ისევ წვიმდა.

ბიჭს ასეთი თავსხმა ჯერ არ ენახა.

კარი გაალო და გარეთ გამოვიდა. წყალი შემოვარდნილიყო დერეფანში და გუბეებად იდგა. ხევი ადიდებულიყო და აზავთებულ ალაზანს ებრძოდა. ბიჭმა თავზე ტომარა წაიფარა და არხზე აირბინა. ფშას მომატებოდა. ბერლარა მოეპირთავეებინა და ფაცერი ბოლომდე გაევსო. ზედმეტი იყო თევზის დაჭერაზე ლაპარაკი. გამობრუნდა და გარეთ, წყალში ათქვეფილი ყვითელი თიხით. თავაწყვეტილი მოგელავდა მთელ კალაპოტზე და ცოფმორეული ისეთი ძალით დასჯახებოდა ალაზანს, რომ აბობოქრებული ბუმბერაზი გვერდზე შეებრუნებინა.

გამობრუნდა და არხზე ავიდა. ფშას ფაცერი გაეგლიჯნა. ერთ ადგილას არხი განგრეულიყო და წყალი ჩქაფანით დასტაკებოდა ნაპირზე აყრილ მურყნებს.

ფეხები ძლივს ჩამოიტანა დერეფნამდე. ახლა სამ დღეს მაინც არ ჩამოჯდებოდა ხევი და ამაზე ადრე ვერც ერთი მესაფქვე ვერ გაბედავდა წისქვილში მოსვლას: სამი მხრიდან ალვარებული მდინარეები ერტყა, მეოთხე მხრიდან ჭყანტზე გამავალი უბოგირო ფშის ტოტი.

როცა ოთახში დაბრუნდა, გულ-მუცელში ცეცხლი ენთო. სიცივე კი, გამთოშავი სიცივე, ძვლების ტვინამდის ატანდა.

ხელახლა მოჩხრიკა იქაურობა. ასანთის ნამწვიც კი არსად მოჩანდა. განჯინის თავზე ჟანგისაგან შეჭმული მტკავლიანი რკინის ნაჭერი იპოვა მხოლოდ. სიხარულით ჩაბღუჯა და მერე მთელი წისქვილი გადაანგრია. ვერც აბედს მიაგნო და ვერც კაჟის ნატეხს. იდგა ყურებჩამოყრილი და დაღვრემილი უცქეროდა ცარიელ ალათას.

უეცრად თავში ბედნიერმა აზრმა გაურბინა. გავარდა გარეთ და მარჯვენა ღარი აუშვა. მაღლიდან გადადენილი წყალი ახლა ოთხ ფიცარშუა გაქანდა თავპირის მტვრევით.

როდესაც წისქვილში დაბრუნდა, ქვა დამთხვეულივით ტრიალებდა და ზედ სარეკელა შეშლილივით ცეკვავდა.

ბიჭმა ტანსათბურს გაცვეთილი სარჩულიდან ბამბა გამოაგლიჯა, ალათასთან ჩაცუცქდა და ბზრიალა ქვას რკინის ნატეხი გეზად დააჭირა.

ახრიალდა რკინა და ყვითელი ნაპერწკლები ბღუჯა-ბღუჯა გაყარა.

დიდხანს უმარჯვა მეწისქვილემ ბამბა, მაგრამ მთლად შეიტრუსა და არ მოეკიდა.

გულაღრენილმა გვერდზე ისროლა რკინა და ოთახში შებრუნდა.

აქ დიდხანს იდგა და გამწარებული მისჩერებოდა მასავით მდუმარე, გამჭვარტლულ ბუხარს.

მერე დაიხარა და ერთხელ კიდევ მოჩხრიკა წვიმისაგან გაქვავებული ნაცარი. ხელში მოხვდა წნორის მოზრდილი მუგუზალი. აილო, შეატრიალ-შემოტოტებზე უკვე იფურჩქნებოდა წითელი ყვავილი.

როდესაც სახსრები გაუთბა, შიმშილმა კვლავ შემოუტია, ამჯერად უფრო გააფთრებით. მაინც გაახსენდა, ღარი რომ მიშვებული დატოვა.

აირბინა, ჩაკეტა და მერე ქვასთან მიირბინა, რათა ისევ დაბლა დაეშვა.

თითქოს პირველად ახლა შეამჩნიაო ქვის გარშემო მოდებული ხრილი.

— გაუმარჯოოოს! — ჩავარდნილი ხმით ჩაიხრიალა და ქვის ასაღებ დომკრატს ეცა.

დიდი წვალების შემდეგ ერთ ციდაზე ააცილა ქვა ქვას და მერე გვერდზე გაიტანა ზედა.

ერთმანეთში არეულიყო ხორბლის, სიმინდის, ქერისა და ჭვავის ნაფქვავი. ამ ფერად ნაზავს რუხად შერეოდა ქვის მონაკოდი.

სასწრაფოდ შეაგროვა ხრილი. გასაცრელად შეიტანა ოთახში და წყლიანი ქვაბი ჩამოკიდა საკიდელზე.

ღომი ძალიან მალე გაკეთდა. ასე სწრაფად არც მოელოდა. გაცივება არ დაუცდია. ენით ალავლავებდა ცხელ ლუკმას, აქეთ-იქით ახლიდა ყბებსა და მერე ერთბაშად ყლაპავდა ბრმა ჭუკივით.

როდესაც იკმარა და, თავის თქმისა არ იყოს, „ჯანზე მოვიდა", კატა მოძებნა.

ბებერი პეწენიკა ხვადი წისქვილში არ ჩანდა.

მაინც სიფრთხილეს თავი არ ასტკიოდა: ქვაბს ყურში ჯოხი გაუყარა და კავებქვეშ, იმ ადგილას დაჰკიდა, სადაც მისი პაპა თევზის გასაშრელ ლასტს ინახავდა. ორ დღეს მაინც უნდა ჰყოფნოდა იგი.

გარეთ უკვე სხვანაირი იერით გამოვიდა. ნისლი აკრეფილიყო და მზე ანათებდა. სველ მიწას ოხშივარი გასდგომოდა. ვეება ლაფანს მსხვილი წვეთები სცვივოდა ფოთლებიდან.

ამაყად გაიარ-გამოიარა ეზოში. მოძებნა თოხი, პატარა რუ გათხარა და დერეფანში დაგუბებულ წყალს სადინარი მისცა. შემდეგ წალდი აილო და ფშისაგან გაგლეჯილი არხის შესაკეთებლად წავიდა.

დიდხანს იწვალა. მხოლოდ ნახევრად შესძლო განაზრახის შესრულება.

ბოლოს იხტიბარი არ გაიტეხა: როცა ცოტა კიდევ დაიკლებს წყალი, მაშინ მოვათავებ დანარჩენსო.

ახლა უკვე კარგ გუნებაზე ჩანდა.

გარმონი გამოიტანა ოთახიდან და გით ლაფანს მჭიდროდ აეკრა და მხრიდან გარმონი მოიხსნა.

პირველად თითქოს უწადინოდ და გაუბედავად დაცოცავდნენ მოუქნელი თითები წვრილ კლავიშებზე, მერე თანდათან გათამამდნენ და გამართეს ჯირითი ალმა-დალმა. ბანებს ვერ უწყობდა მოტივს ბიჭი, მაგრამ იმითიც დიდი კმაყოფილი იყო, რაც გამოდიოდა.

საათ-ნახევრის განმავლობაში თითქმის ყველა სიმღერა მოათავა, რომელიც კი გაეგონა. ბოლოს, იმ დროისათვის ხალხში ყველაზე მეტად გავრცელებულ „დედას ჰყავდა ერთი შვილი"-ზე გადავიდა და მერე ფეხიც აღარ მოუცვლია იქიდან.

უეცრად ხევს გაღმა ცხენოსანი გამოჩნდა. ყანის პირს მოჰყვებოდა მინდორ-მინდორ. ცხენს აჩქარებდა. კლდის თავზე შედგა. ერთხანს უცქირა გაცოფებულ ხევს და მერე ჩასასვლელისაკენ წამოვიდა.

ბიჭმა გაოცებისაგან დაკვრა შეაჩერა.

— მხედარი წისქვილში მოდიოდა.

მალე რიყეში გამოჩნდა ცხენოსანი. ხევის პირს მოადგა და კვლავ შეჩერდა. ეტყობოდა ადგილს არჩევდა შიგ გასასვლელად.

ცხენი თეთრი იყო, პატარა და გამხდარი.

ბიჭმა უმალვე იცნო რაშიცა და მისი მხედარიც. ეს იყო ბებერი მეველე, რომელიც თავის მერანზე წლინახევრით უფროსი თუ იქნებოდა. ბერიკაცი მუდამ გულკეთილად ილიმებოდა, როდესაც ეტყოდნენ: ცოტათიღა უნდა გახმობა შენს ცხენს და მერე წისქვილზე ისე დაიფქვება, ქატოსაც არ გაიკეთებსო. მეველეს უყვარდა განუყრელი მეგობარი და რატომღაც „ჩონგურას" ეძახდა.

მხედარმა ფონი შეარჩია და ქუსლი ჰკრა.

ცხენი ადგილიდან არ დაძრულა.

ბერიკაცი ჩამოხტა, ალვირით ჩაუძღვა შიგ.

ცხენმა კისერი დაძგიბა, ოთხივე ფეხი გაიდგა და ამაზედაც უარი თქვა.

ახლა კი გაბრაზდა მეველე. იქვე გამორიყული ჭიგოს ნატეხი აილო და ტყავგადაკრულ ძვლებზე დაუშინა.

როდესაც კარგად შეახურა, ისევ ზედ აზობლდა.

ცხენმა გაუბედავად, მაგრამ გოჯ-გოჯობით იწყო წყალში ჩასვლა.

სანამ წყალი მუცელზე დაარტყამდა, მანამდე კარგად მიდიოდა ცხენი. ხოლო, როცა შუა მდინარებას მიაღწია, ერთბაშად ჩაეშვა შიგ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მეველემ ალვირი მოქაჩა, სცადა ზევით შეებრუნებინა, მაგრამ საბრალო პირუტყვს სადა ჰქონდა იმდენი ძალა, აღმა გაეჭრა წყალი.

ტალღებმა ჯერ ააბარბაცეს, მერე თქარუნით გადაუარეს გავაზე, შემდეგ შუაში მოიგდეს და ბოლოს მოიტაცეს კიდეც. დიდხანს მხნეობდა ბერიკაცი, დიდხანს ცდილობდა ზედ დამაგრებას, მაგრამ ტალღებმა ერთი ძლიერი ხელის მოსმით გადაწმინდეს ცხენის ზურგი და მოხერხებულ პატრონს ძუალა შეუტოვეს ხელში.

ბიჭს ხელები შესცივებოდა გარმონის კიდეებზე, პირი გაშრობოდა, გაწვდილი კისერი გაშეშებოდა და თვალებად ქცეული გასცქეროდა მდინარისა და კაცის ორთაბრძოლას. ერთი-ორჯერ კინაღამ კივილი აღმოხდა, როდესაც მალლაფესვებაჩონჩხილმა ხემ და ქაფქაფა ტალღებზე მოსრიალე ძელმა სულ მცირე მანძილზე ჩაუარეს განწირულს.

მთელი საუკუნე ებრძოდა წყალს ბერიკაცი.

მთელი საუკუნე ეჭირა ბიჭს გაწვდილი კისერი.

მთელი საუკუნე სდუმდა გარმონი და მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, როდესაც ბებერმა, გამოცდილმა ცხენმა ერთხელ კიდევ ივაჟკაცა.

როდესაც წისქვილის ეზოში შემოვიდნენ; ფეხზე ძლივს იდგნენ ცხენიცა და მისი პატრონიც.

მეველემ მიიხედ-მოიხედა და წისქვილში შევიდა. იქ დიდხანს არ გაჩერებულა, უკანვე გამოვიდა და ისევ მიიხედ-მოიხედა. სახეზე დაღლილობასთან ერთად განცვიფრებაც ემჩნეოდა. მერე ღარების თავზე ავიდა და წისქვილის უკან მიიმალა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გამოჩნდა. ახლა უკვე შემცბარი სახით. დიდხანს იდგა ეზოში გაოგნებული.

— ვინა ხართ, სადა ხართ, კაცო! — ძლივს ამოიხრიალა ბერიკაცმა.

გარმონის ხმა შეწყდა. სამაგიეროდ სადღაც ვიღაცამ გულიანად გადაიკისკისა.

ბერიკაცი ეზოს სიღრმეში გავიდა და კრამიტებზე აიხედა. იქ ორიოდე აგურისაგან შეკრული ბუხრის გამჭვარტლული მილი მოჩანდა მხოლოდ.

ერთხელ კიდევ მოისმა საიდანღაც კისკისი.

— აქა ვარ, პაპავ, ახლავე ჩამოვალ.

უკანასკნელად დაიჭუჭყუნა გარმონმა და მიყუჩდა.

ცოტა ხნის შემდეგ გაოგნებული ბერიკაცის თვალწინ ლაფნის ქვედა ტოტიდან პირდაპირ მიწაზე ჩამოხტა მეგარმონე.

სკამლოგინზე დასხდნენ ორნი

— ხალხი სადღა არი?

— ვინ ხალხი?

— ხალხი, მეთევზეები.

— ვინ, მეთევზეები.

— მოქეიფეები.

— რომელი მოქეიფეები.

— რომლებიც ქეიფობდნენ.

— როდის, სად ქეიფობდნენ?

— აქა, გარმონზე რომ ქეიფობდნენ.

ბიჭმა შეუმჩნევლად ხელი მოჰკიდა მაჯაზე. მაჯა ყინულივით ცივი იყო.

— მზეზე დაჯექი, სანამ არ გაშრები.

— კარგი, მიდი, სკამი გამოიტანე.

ბიჭმა ორი კუნძი გამოიტანა.

— მართლა სად არიან?

— ვინ კაცო?

— მოქეიფენი.

— რის მოქეიფენი, რა მოქეიფენი, სად იყვნენ მოქეიფენი.

— მაშ გარმონს ვინ უკრავდა?

— მე ვუკრავდი.

— შენა?

— ჰო, რას გიკვირს.

— სად უკრავდი?

— ლაფანზე ვიყავ, კენწეროში. აგე, სადა ჰკიდია გარმონი.

ბერიკაცმა გაიხედა. როგორც კი ფოთლებში, ხის ქვედა ტოტზე დაკიდებულ საკრავს მოჰკრა თვალი, მაშინვე დაძაბული სახე მოერღვა, თვალებში განუზომელი ნაღველი ჩაუდგა, მთელი ნაკვთები საოცარმა გულგრილობამ შეიპყრო. მომაკვდინებელმა დაღლილობამ კინაღამ სკამიდან გადმოაგდო. ბიჭს მთელი ქვეყნის სამდურავით შეხედა და ძლივს ჩაიხიხინა:

— რას მერჩოდი, რაზე დამღუპავდი, შე კაი კაცო!

მეწისქვილე დანანებით უცქერდა ყვითელი შლამით შეღებილ წარბებსა და წვერ-ულვაშს. მიხვდა ბერიკაცის სტუმრობის მიზეზს და წისქვილში შევიდა, ღომის ქვაბი გამოიტანა.

გახარებულმა მეველემ ქვაბი ლაჯებში ჩაიდგა. დიდხანს და გამალებით მუშაობდა.

როდესაც კოვზი ქვაბის ძირზე აფხაკუნდა, ბერიკაცმა თავი აიღო და მასპინძელს უზომო მადლობით ახედა.

ბიჭს გაეცინა.

— არა, რომელი ბაში-აჩუკი შენ იყავი, იმ აღვარებულ წყალში რომ შეხვედი?

მოხუცსაც გაეღიმა.

— შენ ეგა თქვი და!





# ამას ეწოდება სიმამაცე

ტალღები გამეტებით ეხეთქებოდნენ მანქანებს. ბინდდებოდა. მდინარე სულ უფრო შმაგდებოდა; ადამიანები გამალებით მუშაობდნენ. ქარმა იმძლავრა, აზვირთებულმა წყალმა მანქანა გადააბრუნა. ხეობაში ყვირილი გაისმა. შოფრებიცა და მგზავრებიც დაიბნენ. მაგრამ ნაპირიდან ქალის შეძახილმა გონს მოიყვანა ისინი.

— აქ ნავია, ნავი ჩაუშვით წყალში!

ორი გადარჩენილი კაცი მეორე დღეს მთელს სოფელში დაეძებდა თავიანთ მხსნელს.

— ნინოს დღეს ველარ ნახავთ, ვათენების ხანს მეზობელ სოფელში წავიდა! — უთხრეს მათ სოფლელებმა, — ეგ პირველი შემთხვევა როდია, ჩვენმა ექიმმა თქვენს გარდა ბევრი ადამიანი გამოსტაცა სიკვდილს.

მართლაც, ვინ მოთვლის თავისი სიმტკიცითა და გამბედაობით რამდენჯერ ისახელა თავი ექიმმა ნინო კვირიკაშვილმა, რამდენ გაჭირვებულ ადამიანს გაუწოდა დახმარების ხელი!

ერთხელ, საზღვრისპირა მთებში მიკარგულ სოფელში ეპიდემიამ იფეთქა. ზამთარი იდგა. სოფლისაკენ მიმავალი გზა ციცაბო ფერდობებზე გადიოდა, სადაც მალ-მალე ზვავდებოდა თოვლი.

— ღამე სიარული შეუძლებელია, დილამდე უნდა მოიცადოთ! — გააფრთხილეს ახალგაზრდა ექიმი.

— ხალხი მელოდება... უფლება არ მაქვს გასაჭირში მივატოვო ისინი!..

ახალგაზრდა ექიმს გამოცდილი მეგზური გააყოლეს, რომელმაც ხელისგულივით იცოდა ყველა ხევი და ბილიკი.

მთაზე გაათრებულმა ქარიშხალმა შეუტია მგზავრებს. თოვლს უკვე ჩაეხერგა გზები. მუხლამდე თოვლში ჩაფლული ცხენები ძლივსღა იძროდნენ ადგილიდან.

გამყოლმა რამდენჯერმე სთხოვა ექიმს, ვიდრე გვიან არ არის, სჯობს უკან დავბრუნდეთო, მაგრამ ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი გაისმოდა:

— ავადმყოფები მელოდებიან!..

თენდებოდა, როცა ძალაგამოლეულმა ექიმმა სოფელს მიაღწია და მაშინვე დაიკაპიწა ხელები.

...თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტი ნინო კვირიკაშვილი საზღვრისპირა რაიონში გაგზავნეს სამუშაოდ.

წლების მანძილზე დადიოდა ნინო პიტალო მთებზე შეფენილ ბილიკებზე. მძიმე, ჯარისკაცული ჩექმებით მტკიცედ მიაბიჯებდა ქარსა და წვიმაში, მიდიოდა და ყველა ავადმყოფთან ხალისი და იმედი მიჰქონდა.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში ნინო კვირიკაშვილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა. სარდლობის დავალებით იგი რამდენჯერმე ჩაფრინდა მტრის მიერ ალყაშემორტყმულ ქალაქებში, თან ახლდა ნოვოროსიისკიდან მტრის ცეცხლქვეშ მომავალ ეშელონებს, ფრონტის ხაზიდან გამოჰყავდა დაჭრილები, ჩვეული თავგამოდებით იბრძოდა მათთვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად...

სამამულო ომიდან ნინო კვირიკაშვილი სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკის ჩინით დაბრუნდა. პატრიოტი ქალი კვლავ მტკიცედ დადგა ჩვენი სახელოვანი მესაზღვრეების ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე. და აი, ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად იგი პარაშუტით ეშვება მთის მიუდგომელ მწვერვალებზე, ცხენით გადადის ადიდებულ მთის მდინარეში, რომელმაც ხიდი დაანგრია... ისევ მძიმე, ჯარისკაცული ჩექმებით მიაბიჯებს მესაზღვრე ქალი ქარსა და წვიმაში, მიდის და ყველგან ხალისი და იმედი მიაქვს თან.

ნინო კვირიკაშვილი ამჟამად თბილისის პირველ საქალაქო კლინიკურ საავადმყოფოში მუშაობს, კვლავ ჩვეული გატაცებით ემსახურება თავის კეთილშობილურ საქმეს.

...უკან დარჩა ახალგაზრდობის წლები, თმაში ვერცხლისფერმა იელვა, მაგრამ გული კვლავ ახალგაზრდული შემორჩა ნინოს.

— ახ, რატომ ახლა ოცი წლისა არა ვარ, — სინანულით თქვა მან და უძირო ვარსკვლავეთისაკენ გაიხედა, — რა სიხარულით გავფრინდებოდი მეც იქით...

და ისეთი ჭაბუკური ცეცხლი ენთო მის თვალებში, რომ ჩვენ მივხვდით — ამ მამაცი სულის ადამიანს ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაკრთობს.

გ. კენჭოშვილი

# ფიქრები ესთეტიკის ისტორიაზე




საქართველოს (ს)ამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა 1962 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა პირველი ტომი ესთეტიკის ისტორიის მის მიერ დაგეგმილი ხუთტომეულისა. გამოცემა უდავოდ მისასალმებელია, რადგან ავსებს იმ ნაკლს, რომელიც ამგვარი ისტორიულ-დოკუმენტური გამოცემების უქონლობის გამო ემჩნეოდა წინათ ჩვენი მეცნიერების ზოგიერთ დარგს. გამოცემის მეთოდი ისტორიულია, რომლის ნიადაგზე წარმოდგენილია ნაკვეთები (ფრაგმენტები) ამა თუ იმ ესთეტიკური ნააზრევისა, რის გასაერთიანებლად და გასაგებად მათ წამძღვარებული აქვს სათანადო შესავალი, გარდა ზოგადი შესავლისა, რომელიც გათვალისწინებულია მთელი ტომისათვის და რომელიც ეხება პერიოდს უძველესი დროიდან აღორძინების ეპოქის ესთეტიკამდე.

ასეთი მიდგომა დიალექტიკური მეთოდის კონკრეტული მიყენებაა ისეთი დარგისათვის, როგორიცაა ესთეტიკა, რომელიც თავის ჩასახვა-განვითარებაში, გამოავლენს თავის მეცნიერულ ამოცანასა და შინაარსს. აქ ამოსავალ წერტილად, როგორც მ. ოვსიანნიკოვი ზოგად შესავალში აღნიშნავს, აღებულია ფრ. ენგელსის მოსაზრება, რომ „ბერძნული ფილოსოფიის მრავალსახოვან ფორმებში უკვე მოიპოვება, ჩანასახისა და წარმოქმნის პროცესში, თითქმის ყველა შემდგომი ტიპები მსოფლმხედველობისა“ (კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. 20. გვ. 360).

შესავლის ავტორი დასძენს: „ენგელსის მიერ ძველი ბერძნული ფილოსოფიის შესახებ ნათქვამი შეეხება აგრეთვე ადრინდელ ბერძენთა ესთეტიკას“ (ესთეტიკის ისტორია, ტ. I, გვ. 14).

ამრიგად, „ესთეტიკის ისტორიის“ პირველი ტომი მკვიდრ დიალექტიკურ მეცნიერული მეთოდის ნიადაგზე დგას. ზოგადი შესავლის გარდა, ყოველ ცალკე ნაწილს — ადრინდელი საბერძნეთიდან აღორძინებამდე სპეციალური შესავლები აქვს, რასაც ერთვის გამორჩენილ და ეპოქისათვის დამახასიათებელ ესთეტიკურ იდეათა ამსახველი თხზულებების შესატყვისი ადგილები.

ყოველი შესავალი — როგორც ზოგადი, ისე ცალკე მონაკვეთებისა — საკმაო ცოდნითაა დაწერილი და ნიმუშების გაგებისა და მათი ისტორიულ-მსოფლმხედველობითი ადგილის გარკვევისათვის ფართო პერსპექტივებს იძლევა.

ცხადია, რომ ასეთი დიდი მასშტაბით შედგენილ სამეცნიერო ნაშრომს არ შეიძლება რაიმე ნაკლი არ ჰქონდეს, მით უმეტეს, რომ ასეთი ხასიათის ნაშრომი თითქმის პირველ ცდას, პირველ წამოწყებას წარმოადგენს. ნაშრომის მიზანდასახულობისა და მასალის მიხედვით ასეთ შემთხვევაში რაიმე ნაკლი ან, მეტი თუ ნაკლები შეცდომა მოსალოდნელია ორი მიმართულებით: პირველი შეიძლება ეხებოდეს მიმომხილველ შესავალთა სისრულეს— არის თუ არა მათში გათვალისწინებული ყველა ასე თუ ისე ღირსშესანიშნავი მოვლენა ესთეტიკურ აზროვნების ისტორიაში, როგორც წიგნის თემის დაკონკრეტებაშია აღნიშნული.

ახლა გადავხედოთ „ესთეტიკის ისტორიის“ პირველ ტომს — ხომ არ არის მასში გამოტოვებული რაიმე მომენტები, ესთეტიკური ნააზრევის მაგალითები, რომელთაც შეიძლებოდა მნიშვნელობა მისცემოდათ ესთეტიკურ იდეათა განვითარებისათვის — ამ შემთხვევაში ადრინდელ ბერძენთა ესთეტიკური ნააზრევიდან დაწყებული, ვიდრე აღორძინების (რენესანსის) ესთეტიკამდე.

მეორე მოსალოდნელი ნაკლი შეიძლება შეგვხვდეს მასალის შერჩევისას. „ესთეტიკის ისტორიის“ მასალა ქრესტომათიული წესითაა შერჩეული და, ცხადია, მასალა, აღებული ამა თუ იმ ესთეტიკური ძეგლიდან, საუკეთესო და ყველაზე დამახასიათებელი უნდა იყოს.

არის კიდევ ერთი მომენტი: „ესთეტიკის ისტორია“ იწყება ძალიან ადრე — ძველი ანუ ადრინდელი ბერძნებიდან. წიგნის ზოგად შესავალში აღნიშნულია რომ „ანტიკურ მოაზროვნეებმა... შეიმუშავეს უმნიშვნელოვანესი ესთეტიკური ცნებები და ტერმინები. ასეთი ცნებებია მიბაძვა, შთაგონება, მშვენიერება, ტრაგიკული, კომიკური, ზომა, ჰარმონია, იდეალი და მრავალი სხვა... ისინი შემდეგში განმტკიცდნენ ესთეტიკურ და ხელოვნებისმცოდნეობის ლიტერატურაში“ (დას. ნაშრომი, გვ. 14).

მართებულია ამ განცხადების დასკვნა, მაგრამ დასახელებული ტერმინები და ცნებები იმ თავითვე არც ესთეტიკასა და არც ესთეტიკურ მოძღვრებას არ წარმოადგენდნენ. ისინი იყვნენ მხოლოდ მასალა მოგვიანო დროში ესთეტიკის შემუშავებისათვის და, ცხადია, როცა ეს მოხდა, ადრინდელი ტერმინები და ცნებები გამოყენებულ იქნა თავის ადგილზე. ამიტომ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ავტორები ესთეტიკის ისტორიას ცოტა ადრინდელი დროიდან იწყებენ.

ჩვენი წიგნის შემდგენლებს კარგად ესმით ეს ნაკლი და თუ ესთეტიკური თეორიების შემუშავების საქმე არისტოტელეს პოეტიკის დროისათვის გადააქვთ, ე. ი. IV საუკუნისათვის (ძვ. წელთაღრიცხვით), მაშინ ორასი წლით ადრე პითაგორელებთან ესთეტიკის ისტორიის დაწყება გამართლებული არ არის (დას. ნაშრ. გვ. 16).

ავტორები უდავოდ სწორად მსჯელობენ, როცა დასავლური მეცნიერების „ევროპოცენტრიზმს“ ებრძვიან, რომლის მიხედვით ესთეტიკური თეორიების სამშობლო თითქოს მხოლოდ დასავლეთის კულტურა იყოს (გვ. 12). ტერმინი „ევროპოცენტრიზმი“ მე შემოვიღე 1941 წლიდან და იგი „ესთეტიკის ისტორიაში“ სწორედ ამ გაგებით არის გამოყენებული, იმ განსხვავებით, რომ მე რენესანსზე ვლაპარაკობდი (იხ. ჩემი რუსული წერილი „აღმოსავლეთის რენესანსი და ევროპოცენტრიზმის კრიტიკა“, თბილისი, აკადემიის უწყებანი, № 8 1941 წ.). უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთის ხალხთა შორის არ არის აღნიშნული საქართველო, როგორც ესთეტიკურ შეხედულებათა ერთ-ერთი ადრინდელი სარბიელი.

აქ შეუძლებელია მიახლოებითაც კი კრიტიკული განხილვა „ესთეტიკის ისტორიის“ პირველი ტომისა, რომელიც 680 გვერდს შეიცავს. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია განვიხილოთ ის ჩვენი, ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით ზემოთ აღნიშნული სამი მიდგომით. სრულიად სამართლიანია, თუნდაც მცირე მასშტაბით, აღმოსავლეთის ქვეყნების ესთეტიკურ იდეათა განხილვა, როგორც ეს გაკეთებულია, ვთქვათ ინდოეთის და სხვათა მიმართ. აქვე ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ფართო გაგებით აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არიან მათ შორის მდებარე და ამიტომ ფრიად დამახასიათებელი ეროვნული კულტურები, მაგალითად ირანის, არაბეთის, სირიის, სომხეთის და საქართველოს კულტურები.

ცხადია, შორს წაგვიყვანდა III ათასწლეულიდან მოყოლებული შეხედულებანი სილამაზეზე და მშვენიერებაზე მითოლოგიურ პოემებში „გილგამეშიანი“ და „ამირანიანი“. „ესთეტიკის ისტორიის“ ავტორები სწორად მოიქცნენ, დიდ ქრონოლოგიურ სიშორეს რომ გვერდი აუქციეს და V საუკუნიდან მაინც მოიყვანეს ესთეტიკური ნააზრევის ნიმუშები, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ აზროვნებასთან. წიგნში მიღებული ქრესტომათიული მეთოდის თანახმად აქ მოყვანილია ერთი ფრაგმენტი არეოპაგისტული წიგნების ავტორისა, სახელდობრ თხზულებიდან „საღმრთოთა სახელთათვის“ პეტრე იბერისა ანუ ფსევდო დიონისესი (იხ. „საღმრთოთა სახელთათვის“, თავი IV, § 7).

ეს ადგილი, მოყვანილია, როგორც საუკეთესო ნიმუში ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში, ბიზანტიურ ძეგლებთან ერთად. ამ განყოფილების შესავალში პირველად დასახელებულია პროკოპი კესარიელი, თუმცა ქრონოლოგიურად არეოპაგისტული ავტორი ეკუთვნის V საუკუნეს (411-491) და არა VI საუკუნეს, როგორც პროკოპი კესარიელი. ეს შეცდომაა და უნდა გასწორდეს (იხ. გვ. 334). მიუხედავად ამისა, მოყვანილ შესავალში სწორად არის აღნიშნული, რომ „სულ სხვა იყო ესთეტიკური შეხედულებანი ფსევდო დიონისე არეოპაგელისა“... და, „რომ ისინი იყვნენ ფრიად პოპულარული შუა საუკუნეებში“.

აქვე საკმაოდ ობიექტურად ნათქვამია: „უკანასკნელ წლებში წამოყენებულია ჰიპოთეზა, რომლის თანახმად ფსევდოდიონისურ თხზულებათა ავტორი იყო ქართველი მწერალი პეტრე იბერი“, ხოლო შენიშვნაში დამოწმებულია ჩემი პირველი ნაშრომი ამ საკითხზე — „ფსევდო დიონისეს საიდუმლოება“ (თბილისი, 1942 და 1944 წ. წ. სამეცნიერო აკადემიის გამოცემა).

აღნიშნული გარემოება ადასტურებს „ესთეტიკის ისტორიის“ შემდგენელთა მეცნიერულ სიფხიზლეს და კეთილგანწყობასაც. ფსევდო დიონისესათვის გვერდის ავლა შეუძლებელი იყო, რადგან იგი ცნობილია ანტიკური ფილოსოფიის მიწურულიდან შუა საუკუნეებზე გადასვლამდე და მის გასწვრივ რენესანსამდე (იქვე, გვ. 334). მოხსენიება მისი შესაძლო ქართველობისა, ცხადია, კარგია, მაგრამ არ იძლევა მისი საკმაო გამოყენების გარანტიას.

წიგნში მოყვანილი ფრაგმენტი ადასტურებს, რომ „ესთეტიკის ისტორიის“ შემდგენლები ან ჩქარობდნენ, ან საკმაოდ ვერ ერკვეოდნენ ძნელ არეოპაგისტულ ტექსტში. წიგნში მოყვანილი თავი IV, 7 პარაგრაფი პეტრე იბერის თხზულებიდან „საღმრთოთა სახელთათვის“ არის დასკვნა წინამორბედი ორი პარაგრაფისა—მეხუთისა და მეექვსესი. ეს გარემოება არ ჩანს რუსული ტექსტის დასაწყისიდან: «Это благо воспевается святыми богословами как прекрасное и красота, как любовь и предмет любви»...

ამის მიზეზი გაირკვევა მაშინვე, როგორც კი რუსული ტექსტის გვერდით მოვიყვანთ XI საუკუნის ადრინდელ თარგმანს ბერძნულიდან ქართულად:

„ესრეთ იქების სახიერებაჲ დიდთა (და არა „წმიდათა“ — შ. ნ.) ღმრთისმეტყუელთა მიერ, ვითარცა კეთილ და ვითარცა სიკეთე, ვითარცა სიყვარული და ვითარც საყვარელი და რაოდენნი რა სხუანი არიან კეთილად მშვენიერნი“...

მე ვბედავ მხოლოდ ამ ერთი ფრაზის მოყვანას ყველაზე ადრინდელი სრულყოფილი ქართული თარგმანიდან და ისიც შემოკლებით. ქართული ტექსტის დასაწყისიდან ნათელია, რომ § 7-ს დასაწყისი გაგრძელებაა წინა პარაგრაფებში გამოთქმული აზრებისა: „ესრეთ იქების“. რუსული ЭТО არ არის „ესრეთ“-ის შესატყვისი, ჰკარგავს კავშირს წინამორბედ აზრთან და დასკვნას აღარ წარმოადგენს. ამის გარდა ЭТО უკავშირდება благо-ს — это благо, მაგრამ აქ არავითარ благо-ზე არ არის ლაპარაკი. ნამდვილად გვაქვს „ესრეთ“, რაც ახალ ქართულში ნიშნავს „ამგვარად“, „ამრიგად“, და აზრს ამთავრებს ზმნა — „იქების“, ე. ი. „ამრიგად იქების“ „იგალობების“, ბერძნული „ჰიმნეტაი“.

მთავარი მაინც ის არის, რომ благо არაა ბერძნულ ტექსტში, არამედ „სახიერებაჲ“, რაც „სახედ მოღებიდან“, ბერძნული „ჰიპოტიუპოზისი“-დან იწარმოება. საქმე რომ პირდაპირ იწყებოდეს მშვენიერებისა და სახიერების გაიგივებით, მაშინ მოყვანილი ადგილი სრულიადაც არ იქნებოდა გამოსადეგი ესთე-

აკადემიკოსი
შალვა ნუცუბიძე



# პლაკატები მასწავლებელი ფრთოსნები

დავიცვათ ბუნების სიმდიდრე! — რა ბევრის მეტყველია ეს მოწოდება. მაგრამ მას ყური შეეჩვია და ხშირად ჩვენს ცნობიერებაზე ნაკლებად მოქმედებს. და რომ ამ მოწოდებამ თავისი როლი მთლიანად შეასრულოს, საჭიროა ის შთამბეჭდავად მივაწოდოთ ადამიანებს.

სწორედ ეს დაუსახავს მიზნად საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებას, რომელმაც გამოსცა საქართველოში გავრცელებულ ფრინველთა პლაკატები (მხატვარ-შემდგენლები — გიორგი ქავთარაძე და ვასო კანდელაკი, ტექსტი და რედაქცია — რევაზ ჟორდანიასი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა).

ასეთი პლაკატი შვიდია; თითოზე მოთავსებულია ექვსიდან თორმეტამდე ფრინველის სურათი. სანამ ამ პლაკატების გაცნობას შევუდგებოდეთ, გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ცოტა უფრო მცირე ზომის სიუჟეტიან პლაკატზე, რომელიც წამძღვარებული აქვს ფრინველების პლაკატებს. მისი სიუჟეტი ასეთია:

ვილაცა უსულგულო მონადირეს, ბრაკონიერს, ხელიდან დასხლტომია კავკასიური ხარ-ირემი, რომელიც „ყელგადაგდებით" მირბის. მონადირე არ ჩანს და არც გინდათ, რომ ჩანდეს: ის, ალბათ, ვიღაცა ჩია კაცია, სულით ღატაკი, იარაღის იმედით რომ ვაჟკაცობს; მის მიერ გასროლილი ისრისათვის ფარი შეუგებებია მოკლე ქართულ ჩოხაში გამოწყობილ კუნთმაგარ ჭაბუკს. ერთი სიტყვით, ირემს კარგი და საიმედო დამცველი ჰყავს.

მომდევნო პლაკატები ეხება ჩვენში გავრცელებული ფრთოსნების ერთ ნაწილს.

ფრთოსნები აქ წარმოდგენილია შემდეგ ჯგუფებად: საქართველოს სასარგებლო ფრინველები; წყლის მოყვარული ფრინველები; მთის ფრინველები; ტყისა და კულტურული ლანდშაფტის ფრინველები; მგალობელი ფრინველები; სანადირო-სარეწაო ფრინველები.

როგორც ვხედავთ, პლაკატებში მასალა მოცემულია არა უთავბოლოდ, ამორფულად, არამედ დალაგებულია გარკვეული პრინციპის მიხედვით; მაგრამ საჭიროა, რომ ჯგუფები არ ემთხვეოდნენ ერთიმეორეს თუნდაც ნაწილობრივ. აქ კი, მაგალითად, კაკაბი წარმოდგენილია ორჯერ, პირველად საქართველოს მთის ფრინველების ჯგუფში, და მეორედ — საქართველოს სანადირო-სარეწაო ფრინველების ჯგუფში. შემდგენლებს ეს უთუოდ თავიდან უნდა აეცდინათ. ამ გზას რომ გავყვეთ, მაშინ დედალ-მამალი როჭოცა და შურთხიც ორ პლაკატში უნდა ყოფილიყო, რადგან ისინი, გარდა იმისა, რომ მთის ფრინველებია, სპორტული ნადირობის ობიექტებიც არიან.

პლაკატებს შემეცნებით თვისებებს მატებს ის, რომ ფრინველები ნაჩვენები არიან მათთვის დამახასიათებელი გარემოს პირობებში. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბურუსში გახვეული თოვლით დაფენილი ძთის მწვერვალი, რომელიც წარმოდგენილია როგორც ფონი მეთოვლიის (ალპიური მთიულას) სურათისათვის.

პლაკატი არ უნდა გადაიტვირთოს სიტყვიერი მასალით. სწორედ ასეა გადაწყვეტილი ზემოხსენებული პლაკატები: ტექსტი არათუ არ არღვევს პლაკატის კომპოზიციურ მთლიანობას, პირიქით, მისი გრაფიკული მხარე შესულია პლაკატში, როგორც განუყრელი კომპონენტი. რაც შეეხება ბიო-ეკოლოგიურ ცნობებს ფრინველების შესახებ, ისინი გადმოცემულია ლაპიდარულად, დროისა და ადგილის მაქსიმალური დაზოგვით. ისინი მოფიქრებულია იმისათვის, რომ მოქალაქემ იცოდეს ის ბიო-ეკოლოგიური თვისებები, რომლებითაც ესა თუ ის ფრინველი გამოირჩევა, როგორც მშვენება და სიმდიდრე ჩვენი ბუნებისა. ბიო-ეკოლოგიური ხასიათის ცნობები არც ამაზე მეტი იყო საჭირო და არც ნაკლები.

ერთი კი უნდა აღინიშნოს: სასურველი იყო, რომ პლაკატების სიტყვიერი მასალა წინასწარ „გაჩალხულიყო" ენობრივად და სტილისტურად. ამით ავიცილებდით ასეთ უხერხულ გამოთქმებს: „მამალ-დედალი როჭო". ეს ისევე ეხამუშება ყურს, როგორც, ვთქვათ; „ქმარ-ცოლი" „ცოლ-ქმრის" ნაცვლად. შემდეგ აქვე ვკითხულობთ: „დედალსა და მამალ როჭოებს (თუ როჭოს?) შორის არსებობს სქესობრივი დიმორფიზმი". უკეთესი ხომ არ იქნებოდა, რომ ამის ნაცვლად თქმულიყო: „როჭოებს ახასიათებს სქესობრივი დიმორფიზმი".

„ნამგალას დიდი ხნის ფრენის უნარი აქვს". რა არის „დიდი ხნის ფრენის უნარი?" უკეთესია „ხანგრძლივი ფრენის უნარი".

„იკვებება მცენარეთა მცირე თესლებით". თუ წვრილი თესლით? „იგი იკვებება მწერებით და მათი მატლებით, ჭიანჭველებით და ობობებით". ჭიანჭველაც ხომ მწერია?

ამას გარდა, ზოგან გვხვდება — „მასზე ნადირობა აკრძალულია", ზოგან კი — „მასზედ ნადირობა აკრძალულია", ზოგან ვკითხულობთ: „ჭოვილოს საკვებს ძირითადში უხერხემლო ცხოველები... შეადგენს", ზოგან კი გვხვდება სწორი ფორმა — ძირითადად. ეს, ვთქვათ, ორთოგრაფიის საკითხია და ამაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს, მაგრამ როცა სტილის საკითხი დგება — აქ უფრო მეტი მომთხოვნელობაა საჭირო. აი, მაგალითად, პლაკატში შურთხზე ნათქვამია, რომ ის „ზამთრობით ახდენს ვერტიკალურ გადმოხვეწას". განა არ სჯობდა გვეთქვა, რომ შურთხი ზამთრობით მთიდან დაბლა ჩამოდისო? ასე ოჩოფეხებზე შემდგარი ქართულით რომ ვილაპარაკოთ, მაშინ ცნობილი ფილმის სათაური „ისინი მთიდან ჩამოვიდნენ" ასე უნდა გადავაკეთოთ: „მათ ვერტიკალური გადმოხვეწა მოახდინეს".

აქვე ტარბის შესახებ ნათქვამია, რომ ის „კოლონებით ესხმის თავს" კალიებს და ისე ანადგურებსო. რატომ კოლონებით? აქ ხომ ჯარისკაცებზე ან დემონსტრანტებზე არ არის ლაპარაკი? არა სჯობდა გვეთქვა — ჯგუფურად, გუნდურად ესხმის თავს?

როგორც ვთქვით, ბიო-ეკოლოგიური ცნობები საქმის ცოდნითა და მოფიქრებით არის შედგენილი. და რა კარგი იქნებოდა, რომ ეს მცირე ხარვეზი არ ემჩნეოდეს მას.

საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების მიერ გამოცემულ პლაკატებს — დავიცვათ ბუნების სიმდიდრე! — დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია საშუალო სკოლისათვის. ეს პლაკატები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ როგორც თვალსაჩინო საშუალება ბიოლოგიის სწავლების დროს, მით უფრო დასანანებელია, რომ ეს პლაკატები გამოცემულია მხოლოდ 2000 ტირაჟით. მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული და მშვენიერ ქაღალდზე დაბეჭდილი ეს პლაკატები საუკეთესო საჩუქარი იქნებოდა სკოლისათვის.

ამ პლაკატების გამოცემით საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებამ მეტად კარგი საქმე გააკეთა.

პავლე მეტრეველი

ტიკური მოვლენის აღსანიშნავად. წინა პარაგრაფში ლაპარაკია სინათლეზე, რომელიც „საცნაურ ითქუმის ზეშთა ყოვლისა ნათლისა იგი სახიერება", რომელიც არის, „წყარო შარავანდედთა და ზეშთაალმომდინარე ნათელთა განფენად". სინათლე ანუ სხივი უზენაესი ძალაა (უზესთაესი ნათელი), რომელიც „მოაქცევს მრავალ სახეთაგან მოგონებათა... ვითარმედ ოცნებათა და შემოკრებს ერთისა მიმართ ჭეშმარიტისა" (სალმრ. სახელ. IV, 6).

აი ეს შემოკრება „მოგონებითა თუ ოცნებითა მრავალსახეთაგან ერთ ჭეშმარიტებად" არის შემოქმედებითი ფენომენი, რომელიც ერთ სხეულად აქცევს ხელოვნების საგანს, რომელშიაც ნათელით და სინათლით სახიერდება „საცნაური", ე. ი. შემეცნებითი მიზანიც „ერთგუამ" (იქვე).

მე ვგრძნობ უხერხულობას მკითხველის წინაშე ძნელი ტექსტის დაშიფვრისათვის, მაგრამ „ესთეტიკის ისტორიის" მშვენიერი მასალა ყოველთვის არ არის ისე დამუშავებული, რომ მკითხველის ფართო მასისათვის იყოს მიწოდებული, როგორც ის სინამდვილეშია.

შეიძლება ითქვას, რომ შემოქმედების სიღრმეში, მის ლაბორატორიაში არსად არ არის მოწოდებული ისე ღრმად ჩახედვა, როგორც ეს გვხვდება პეტრე იბერის (ფსევდო დიონისეს) ნაწერებში.

მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გასაგები „ესთეტიკის ისტორიაში" მოყვანილი ადგილი და ამიტომაც იწყება იგი ფრაზით „ესრეთ იქების სახიერება". ამის შემდეგ წარმოსდგება სახიერება როგორც „კეთილად შუენიერი" და ა. შ. „ესთეტიკის ისტორიის" შემდგენლებმა ეს კავშირი ვერ დაინახეს და ამდენად მათი ქრესტომათიული მეთოდი მასალის შეკრებისა უნაკლოდ ვერ ჩაითვლება.

ციტატი შეწყვეტილია ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც მოცემულია არეოპაგისტული ესთეტიკის ორი დამახასიათებელი მომენტი:

1. სახიერებისა და კეთილის გაიგივება არეოპაგისტულ ესთეტიკის ავტორის აზრით იმდენად ნათელი და ძლიერია, რომ იგი ვრცელდება არა მარტო იმაზე, რაც არის, არამედ იმაზედაც, რაც არ არის. „იკადროს იმისაცა თქუმა სიტყვამან, ვითარმედ არა-არსიცა მიიღებს კეთილისა და სახიერებისაგან", და აქედან ავტორი აკეთებს საბოლოო დასკვნას: „ესე ერთი სახიერებაჲ და სიკეთე ერთობითი არს ყოველთა მრავალთა კეთილთა მ ი ზ ე ზ ი ს ა მისი" (იქვე, პეტრე იბერის თხზულება. ს. ენუქაშვილის გამოცემა, გვ. 36). ეს ადგილი არ მოჰყავთ „ესთეტიკის ისტორიაში".

2. სიყვარულსა და შთაგონებას იწვევს პლატონისა და არისტოტელეს გადამუშავების ნიადაგზე მიღწეული სიკეთისა და სახიერების საფეხური. აქ „კეთილისა მიერ შეიერთა ყოველი —... ვითარცა მიზეზი და მძვრელი შემოქმედებითი" და „ვითარცა სრულებითი მიზეზი". ეს ადგილი მოჰყავთ „ესთეტიკის ისტორიაში", მაგრამ ვერ ამჩნევენ, რომ „სრულებითი მიზეზის" თარგმნა არ შეიძლება რუსულად როგორც **конечной причины**, რადგან აქ არისტოტელეს „მიზნობრივ მიზეზზე" კი არ არის ლაპარაკი, არამედ უსასრულობაზე (ე. ი. დაუსაბამზე და დაუსრულებელზე), რაც ძირითადი განსხვავებაა ანტიკურსა და არეოპაგისტულ ესთეტიკის შორის.

ამის განმარტებას ფსევდო დიონისე (პეტრე იბერი) იძლევა იმავე IV თავის მერვე პარაგრაფის დასაწყისში, სადაც ნათქვამია შემოქმედების მიზეზზე, რომელშიც „შეერთებულ არიან დაუსაბამოთა მათ და დაუსრულებელთა გამობრწყინვებათა კეთილისა და სახიერებისათა".

ეს ყველაზე დამახასიათებელი ადგილი არ მოჰყავთ „ესთეტიკის ისტორიის" შემდგენელთ.

შეიძლება არ მოვთხოვოთ ესთეტიკური აზროვნების ისეთი მომენტების მოხსენიება როგორიც გვხვდება „გილგამეშიანის" და „ამირანიანის" ტექსტებში, რომლებიც ათასეული წლებით წინ უსწრებენ „ესთეტიკის ისტორიის" მასალებს, მაგრამ იმის გაუთვალისწინებლობა, რაც აკავშირებს პეტრე იბერს (ფსევდო დიონისეს) ქართულ კულტურის შემდგომ ისტორიასთან — ასეთებია იოანე მოსხი და მისი „სიბრძნე ბალავარისა" (VII საუკუნე), ექვთიმე ივერი და მისი ბერძნული ვერსია იოანეს ვარიანტისა (X საუკუნე), იოანე პეტრიწი და მისი „განმარტებაი" (XI-XII ს.), როგორც რესტავრაცია არეოპაგიტიკისა და მასთან დაკავშირებული, რუსთაველის პოეტიკა, სადაც არეოპაგიტიკის ნიადაგზე დამუშავებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის გამაერთიანებელი ესთეტიკა, არ არის სწორი და მართებული.

„ესთეტიკის ისტორია" თვალსაჩინო და სასარგებლო წამოწყებაა, მაგრამ მისი შექმნა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

Ერაყის ქურთების მამაცურმა ბრძოლამ თავისუფლებისათვის უკვე კარგა ხანია მთელი მსოფლიოს ხალხების ყურადღება მიიქცია და ყველა პატიოსანი ადამიანის მხურვალე თანაგრძნობა დაიმსახურა. ეს ბრძოლა გუშინ როდი დაიწყო — მას უკვე თავისი ხანგრძლივი ისტორია აქვს.

XVI-XVII საუკუნეებში ქურთისტანი, ანუ როგორც თვითონ ქურთები უწოდებენ, კუხისტანი მუდმივი ცილობისა და დავის საგანი იყო ირანსა და ოსმალეთს შორის. უკანასკნელად ქურთისტანი მათ გაიყვეს 1639 წელს. მას შემდეგ როგორც ერთი, ისე მეორე დამპყრობელი ზედიზედ ჰგზავნიდა დამსჯელ ექსპედიციებს მეამბოხე სულის მქონე ქურთების დასაშოშმინებლად. ეს დამსჯელი რაზმები ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც კი ქურთებს ეკუთვნოდა.

და მაინც, საუკუნეთა მანძილზე ვერაფერმა გატეხა ქურთები. ისინი არა ერთხელ გამოსულან იარაღით ხელში მჩაგვრელთა წინააღმდეგ. შემდგომი დროის შეიარაღებული გამოსვლებიდან აქ უნდა მოვიხსენიოთ რევანდუზელ ქურთთა აჯანყება (1830-1832 წ. წ.); შემდეგ, აღსანიშნავია სამხრეთ ქურთისტანში მომხდარი აჯანყება (1854-1855 წ. წ.), რომელსაც სათავეში ედგა ქურთთა ცნობილი შეიხი იეზდენშირი, და ბოლოს, 1878 წელს ვანის, ბითლისისა და მოსულის ქურთების აჯანყება შეიხ ობეიდულას მეთაურობით.

ეს აჯანყებები თურქებმა სისხლში ჩაახრჩეს. ბევრი ქურთი იძულებული იყო დაეტოვებინა სამშობლო და უცხოეთში გადახვეწილიყო.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქურთებით დასახლებული ტერიტორია გაიყო ახლო აღმოსავლეთის ოთხმა სახელმწიფომ: თურქეთმა, ირანმა, ერაყმა და სირიამ. ამ ქვეყნებს შორის საზღვრების გაყვანისას ანტანტის სახელმწიფოთა მთავრობებმა არავითარი ანგარიში არ გაუწიეს მომთაბარე ქურთების ინტერესებს. გაყოფილ იქნენ ერთი და იგივე ტომები, საზამთრო და საზაფხულო საძოვრები და სადგომები. ასე მაგალითად: ჯაფის, ჰარკისა და ზოგიერთი სხვა ქურთული ტომი ზამთარში ცხოვრობდა ერაყში, ხოლო ზაფხულში გადადიოდა ირანში. ამგვარმა გაყოფამ, ცხადია, უფრო გააუარესა ქურთების მდგომარეობა და დამღუპველი გავლენა მოახდინა მათ შემდგომ ისტორიულ განვითარებაზე.

ამჟამად ქურთები ცხოვრობენ თურქეთში, ირანში, ერაყში, სირიაში, ავღანეთში, პაკისტანში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, საბჭოთა კავშირში და ჩინეთში. ქურთების საერთო რიცხვის ზუსტი განსაზღვრა მეტად ძნელია, რადგანაც თურქეთის, ირანისა და ერაყის მთავრობები არასოდეს სრულ ცნობებს არ იძლევიან ამ ქვეყნებში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობაზე. თურქეთის მთავრობა საერთოდ უარყოფს თურქეთში ხუთ მილიონიანი ქურთი მოსახლეობის არსებობას. თურქეთის ენციკლოპედიაში პირდაპირ ნათქვამია: „ქურთები — ეს ის თურქებია, რომლებიც ცხოვრობენ მთებში და დაივიწყეს თავიანთი მშობლიური ენა“. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში არ არის ქურთული სკოლები, ქურთებს არ დაუვიწყებიათ თავიანთი მშობლიური ენა. საერთოდ კი ამჟამად ქურთების რიცხვი დაახლოებით 12 მილიონამდე აღწევს. აქედან ერთ-ნახევარი მილიონი ერაყში ცხოვრობს.

1920 წლის გაზაფხულზე ხანგრძლივი დიპლომატიური ვაჭრობის შემდეგ ანტანტის ქვეყნებმა როგორც იქნა გაიყვეს ნადავლი. ერაყი ერგო ინგლისს. ახალ სახელმწიფოში ინგლისელებმა სამანდატო წყობილება დაამყარეს. ქვეყანას ფორმალურად ჰაშიმელთა დინასტიის წარმომადგენელი მეფე ფაისალი მართავდა, ფაქტიურად კი ინგლისის უმაღლესი კომისარი. ამრიგად, თურქთა მძიმე უღელი შეცვალა არა ნაკლებ მძიმე ინგლისის კოლონიურმა უღელმა. ქურთი მშრომელი მასები ერაყში განიცდიდნენ სამმაგ ჩაგვრას: მათ ჩაგრავდნენ ინგლისელი იმპერიალისტები, არაბი და ქურთი ფეოდალური ზედა ფენის წარმომადგენლები. ინგლისის მიერ ერაყის დაპყრობის პირველ დღეებიდანვე ქურთებმა გააჩაღეს აქტიური ბრძოლა ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის ბოლო წლებში ერაყის ქურთისტანი კვლავ აჯანყების ალით იყო მოცული. ქურთთა აჯანყებას მეთაურობდნენ ძმები აჰმედ და მუსტაფა ბარზანები. მათ მოითხოვეს ერაყის მთავრობისაგან ავტონომია ერაყის ქურთისტანისათვის. ქურთთა ტომების დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირეს ამ აჯანყებას. მთავრობის მიერ გაგზავნილმა დამსჯელმა ჯარებმა, რომლებსაც მეთაურობდნენ ინგლისელი გენერლები, მარცხი განიცადეს და უკან დაიხიეს.

ინგლისელების მითითებით ერაყის მთავრობა ჯერ დათანხმდა ქურთთა მოთხოვნებს, მაგრამ მალე ძალები მოიკრიფა და კვლავ განაახლა ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ინგლისელთა თვითმფრინავები თავს ესხმოდნენ აჯანყებულთა ტერიტორიას, რის შედეგად დაახლოებით 50 სოფელი ნანგრევებად იქცა. ბარზანელმა ქურთებმა მთებისაკენ დაიხიეს, ხოლო შემდეგ გადავიდნენ ირანის ქურთისტანში და აღმოუჩინეს სამხედრო დახმარება მეჰაბადის პირველ ქურთულ რესპუბლიკას.

მეორე მსოფლიო ომის დროს ცნობილმა ქურთმა მოღვაწემ მუჰამედ ღაზიმ, რომელსაც იმ დროს ირანის სასამართლო უწყების მოხელის თანამდებობა ეკავა, გააერთიანა ქურთთა დაქსაქსული პოლიტიკური ჯგუფები და 1945 წელს შექმნა ქურთისტანის დემოკრატიული პარტია. ირანის შაჰი შეპირდა ქურთებს ავტონომიას. ისარგებლა რა შექმნილი პოლიტიკური ვითარებით, მუჰამედ ღაზიმ გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის პრინციპების საფუძველზე ერაყის ქურთისტანი გამოაცხადა ქურთულ რესპუბლიკად.

ახალგაზრდა ქურთულმა რესპუბლიკამ სულ ცოტა ხანს იარსება. ირანის აზერბაიჯანიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის შემდეგ ირანის მთავრობის ჯარები შევიდნენ ქურთულ პროვინციებში; ქურთული რესპუბლიკის დედაქალაქ მეჰაბადში მათ დააპატიმრეს ქურთისტანის პრეზიდენტი და ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ჩამოახრჩეს თავის ორ ძმასთან ერთად.

ამის შემდეგ ქურთულმა რესპუბლიკამ მალე შესწყვიტა თავისი არსებობა. ეს მოხდა 1947 წლის 31 მარტს.

1958 წლის 14 ივლისს ერაყში მონარქიული წყობილების მოსპობისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლტოლვილი ბარზანელები დაუბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ კერას. რევოლუციის პირველ წელს ქვეყანაში მომხდარი დემოკრატიული გარდაქმნები შეეხო ერაყის ქურთისტანსაც. ერაყის დროებითი კონსტიტუციით ქურთები თავიანთი უფლებებით გაათანაბრეს არაბებთან. ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიამ განაახლა თავისი მოღვაწეობა ლეგალურ პირობებში. ბაღდადში და სულეიმანიაში დაიწყო ქურთულ ენაზე ჟურნალ-გაზეთების გამოცემა.

მაგრამ მალე მდგომარეობა სრულიად შეიცვალა.

1960 წლის ბოლოს ერაყში თავი წამოყო რეაქციამ. ყასემის მთავრობამ თანდათან დაიწყო ქურთების შევიწროება. მთავრობის ბრძანებით ბაღდადში აკრძალეს ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ორგანოს გაზეთ „ხაბათის“ გამოცემა. ამავე დროს, დაიწყეს ქურთი დემოკრატების დევნა და მათ მიმართ რეპრესიული ზომების მიღება. მდგომარეობა გამწვავდა მაშინ, როდესაც დააპატიმრეს ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე წევრი. მისი თავმჯდომარე მუსტაფა ბარზანი კი აიძულეს მთებში გახიზნულიყო. ერთდროულად ქურთულ სკოლებში ქურთ ბავშვებს აუკრძალეს მშობლიურ ენაზე სწავლა, ადგილობრივი ქურთი მოხელეები თანდათან შეცვალეს არაბებით.

ქურთებმა მუსტაფა ბარზანის მეთაურობით მოითხოვეს თვითმმართველობის უფლება ერაყის რესპუბლიკის ფარგლებში. მაგრამ ქურთების ეს სამართლიანი მოთხოვნა განხილულ იქნა როგორც „მისწრაფება სეპარატიზმისაკენ“ და ისევე როგორც მონარქიული წყობილების დროს, ქურთების წინააღმდეგ გაგზავნილ იქნა დამსჯელი ჯარები.

1963 წლის 8 თებერვალს ერაყის მმართველობის სადავეები ხელთ იგდეს უკიდურესი რეაქციული წრეების წარმომადგენლებმა და მოფაშისტო ელემენტებმა. ყასემის მწარე ხვედრმა მათ ვერაფერი ასწავლა. ახალი რეჟიმის დამცველებმა არა მარტო განაახლეს ომი ქურთების წინააღმდეგ, არამედ აწარმოებენ მას უფრო სასტიკ ფორმებში და უფრო ფართო მასშტაბით. ერაყელთა თვითმფრინავები და ტანკები ფერფლად და ნაცრად აქცევენ ქურთთა სოფლებსა და ქალაქებს, ჟლეტენ ბავშვებსა და ქალებს, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ქურთების დათრგუნვის ეს ბარბაროსული პოლიტიკა არაფერს კარგს არ მოუტანს მის მესვეურებს. თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ერაყის ქურთი მოსახლეობა აუცილებლად მიაღწევს თავის საწადელს.

ალ. მენთეშაშვილი



მათი ისტორიული ბედი.



ახალგაზრდა ქურთი ქალი.

ქურთი მეომარი.



დღეიდან ჩვენს ჟურნალში დაგეგმულია კაკანათი. ადვილი მისახვედრია ვინ მოხვდება შიგ. დარწმუნებული ვართ, მკითხველები არ მოაკლებენ ჩვენს კაკანათს სიგნალებს, ფელეტონებს, ფოტო-გრალდებს და სხვა მამხილებელ მასალებს.



## «დიდი მადლობა, ჩემო ბატონო!»

ჯონ რიდი თავის ცნობილ წიგნში „ათი დღე, რომელმაც შეძრა ქვეყნიერება“ მოგვითხრობს, თუ როგორ მოაწყეს ოფიციანტებმა ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე დღეებში პეტროგრადის ქუჩებში დემონსტრაცია, რომელზედაც, სხვა ლოზუნგებთან ერთად, მოჰქონდათ ტრანსპარანტი წარწერით:

„თუ ადამიანი იძულებულია ლუკმა პურისთვის სხვას მოემსახუროს მაგიდაზე, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეიძლება მისი შეურაცხყოფა გალეხული მოწყალებით“.

მათვე რესტორნებსა და კაფეებში გააკრეს პლაკატები წარწერით: „აქ მოწყალებას არ იღებენ“.

ე. წ. „ჩაევიე“ ანუ ფეხის ქირა მართლაც ძველი ყოფის ნიშანი იყო, ეს იყო მოწყალება, რომელსაც გადაუგდებდნენ ხოლმე მსახურს, ხელქვეითს.

და აი, ამ გადმონაშთმა საოცარი სიცოცხლისუნარიანობა გამოიჩინა. რამდენი წელი გავიდა ზემოთ აღნიშნული შესანიშნავი დემონსტრაციის შემდეგ და ამ საძაგელ ჩვეულებას ვერა და ვერ მოეღო ბოლო.

ვთქვათ პირდაპირ: ჩვენში ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც ერთგვარ ხარკს უხდიან ამ უწესო ადათსა თუ ჩვევას. ამის დამადასტურებელ ფაქტებს დღესაც შეხვდებით რესტორნებში, კაფეებში, საპარიკმახეროებში ტაქსებში, აბანოებში, ატელიეებში, და, ასე გასინჯეთ, მონტიორებისა და მექანიკოსების შინ გამოძახების დროსაც კი.

გავიხსენოთ, მკითხველო, რამდენს ვაძლევთ ხოლმე ჩვენც ოფიციანტს, როცა იგი ანგარიშს წარმოგვიდგენს, რამდენს ვაძლევთ ხოლმე თუნდაც ტაქსის შოფერს, როცა მანქანის მრიცხველი, ვთქვათ, 70-80 კაპიკს აღნიშნავს? რა თქმა უნდა, მანეთს, და, როგორც წესი, არ ვთხოულობთ ხურდას. ხურდის მოთხოვნა საძრახისად მიგვაჩნია.

კაცმა რომ გვკითხოს, ალბათ ამაყად და საკუთარი ღირსების გრძნობით მივუგებთ, რომ არ გვაკლია პატიოსნება და, როგორც ყველა ღირსეული საბჭოთა მოქალაქე, ჩვენც საკუთარი შრომით ვცხოვრობთ. ეს მართლაც საქები და საამაყოა. მაშ რატომ არ ვინდობთ ჩვენსავით მშრომელი ადამიანის თავმოყვარეობასა და ღირსებას?

იმიტომ, გვიპასუხებთ ალბათ თქვენ, მკითხველო, რომ ასე იქცევიან ბევრნი, რომ არ გინდათ ძუნწ და უგულო კაცად ჩაგთვალონ, თუმცა თვითონვე კარგად იცით, რომ ასეთ ადამიანად ჩაგთვლიან მხოლოდ ისინი, ვინც არ იცის საკუთარი შრომის ფასი და ამ ქვეყნად საეჭვო მაქინაციებით გააქვს თავი ან ისინი, ვის ხასიათშიც დღემდე შემორჩენილია ლაქიის პაწაწინა, უბადრუკი სული.

დიახ, სამწუხაროდ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთები, რომლებიც წელში ოთხად მოკეცილნი იღებენ ჩვენგან მოწყალებას.

თბილისის ერთ რესტორანში ასეთი სურათის მნახველნი გავხდით: მაგიდას უჯდა გვარიანად შეზარხოშებული ახალგაზრდა კაცი, უფრო სწორედ ბიჭი, და მასავით წამოყვინჩილებული თანამეინახეების მხიარულ სიცილში „ანგარიშს ასწორებდა“ ოფიციანტთან. ოფიციანტი, დარბაისელი, თმაგათეთრებული კაცი, რომელიც ამ უმწიფარ ვაჟბატონს პაპად ერგებოდა, წელში ოდნავ მოხრილიყო და პირმოთნე ღიმილით შეჰყურებდა ხელებში. ახალგაზრდამ ცალ-ცალკე, მძიმე-მძიმედ ჩაუთვალა მას ფული, მერე ოდნავ შეყოვნდა, მედიდური სახით ჯიბიდან დაჭმუჭნული სამმანეთიანი ამოიღო და დარდიმანდულად გადაუგდო:

— აჰა!.. წადი ახლა!..

— დიდი მადლობა, ჩემო ბატონო, დიდი მადლობა!—თავის დაკვრითა და იმავე ლაქიური ღიმილით წარმოთქვა ოფიციანტმა და უკან-უკან წასული ისე გავიდა დარბაზიდან, არც გამართულა წელში.

ის, რაზედაც ახლა აქ ვლაპარაკობთ, ახალი არ არის და დიდმა თუ პატარამ ჩვენზე უკეთ იცის, მაგრამ აბა თუ ვინმეს უფიქრია მასზე სერიოზულად? თუ უფიქრია, ან უმსჯელია ამ მახინჯი, ადამიანის შეურაცხმყოფელი ჩვევის ერთხელ და სამუდამოდ ამოკვეთაზე? იმავე რესტორნებში, საპარიკმახეროებსა და ავტოსატრანსპორტო კანტორებში ხომ შესანიშნავი ადამიანები მუშაობენ? მაშ რატომ სდუმან? რატომ არ აღიმაღლებენ ხმას იმათ წინააღმდეგ, ვინც თავისი მოწყალებით ჩირქს სცხებს მათ ადამიანურ ღირსებას?

**ნ. ნადიბაიძე**

## ეს წვრილმანები არ არის

### მგზავრი და ავტობუსი

რა თქმა უნდა, სჯობს იჯდე, ვიდრე ფეხზე დგომით ჩამოწყდე კაცი, სჯობს მანქანით იმგზავრო, ვიდრე ქვეითად. მაგრამ ამ ცნობილ ჭეშმარიტებაშიც კი შეიძლება ეჭვი შეიტანოს მან, ვინც რუსთავში, პიკი-საათის დროს ერთხელ მაინც მოხვედრილა 48-ე კვარტალის ბოლო გაჩერებაზე; იქ რომ ავტობუსში შესვლა მოახერხო, საჭიროა კუნთების ისეთი მოქნილობა, რომ ცირკის მსახიობებსაც კი შეშურდეთ. ამიტომ ბევრს ურჩევნია ისევ ფეხით გაუყვეს გზას.

მაგრამ არა, კაცი იმედით ცხოვრობსო, ნათქვამია და აი, მგზავრი მოთმინებით უცდის მორიგ ავტობუსს.

აჰა, როგორც იქნა, გამოჩნდა მანქანა, რომელიც უკვე ხალხითაა გატენილი. რა უნდა ქნათ? კიდევ ნახევარ საათს ხომ არ დაელოდებით ახალ ავტობუსს? და თქვენც, სხვებთან ერთად, გააფთრებით უტევთ მის კარს. უზომოდ გადატვირთული ავტობუსი ძლივს იძვრება ადგილიდან. და უცებ გაოცებით შენიშნავთ, რომ თქვენს უკან, სულ ახლოს აუჩქარებლად მოჩანჩალებს მეორე, სრულიად ცარიელი ავტობუსი. დიახ, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია. ასე მიდიან ისინი უკანასკნელ გაჩერებამდე: წინ ხალხით გაჭედილი მანქანა, უკან, მის „კუდში“ კი — სრულიად თავისუფალი. სწორედ ამას ჰქვია „რეზინის გაწელვა“. ჰო, მაგრამ, ვის რა ხელს აძლევს მგზავრების ასე აბუჩად აგდებაო, — შეიძლება იკითხოს კაცმა. საქმეც იმაშია, რომ ხელს აძლევს და მერე როგორ!

რუსთაველ შოფრებს საკმაოდ გვარიანი ხელფასი აქვთ. მაგრამ არიან შოფრები, რომლებიც ამას არ ჯერდებიან და თავიანთი კონდუქტორებისაგან ყოველდღიურ „დოტაციად“ 3-5 მანეთს მოითხოვენ. ჰოდა, ბიჭია და სცადოს რომელიმე კონდუქტორმა ამ დაუწერელი კანონის დარღვევა. შავ დღეს დააყრიან საცოდავს. ილაჯს გაუწყვეტენ, მაშინვე მოუწყობენ „კუდს“ და რამდენიც არ უნდა იცეს თავში ხელი კონდუქტორმა, რამდენიც არ უნდა არწმუნოს თავის სიმართლეში სხვები, არაფერი არ გამოუვა. ასე შეიძლება გაგრძელდეს ერთი დღე, მეორე, მესამე... „მერეზინე“ შოფერს გუნებაში ეცინება, კონდუქტორი კი ტირის, წელებზე ფეხს იდგამს, მაგრამ გეგმას მაინც ვერ ასრულებს. ზარალდება სახელმწიფო, უფრო მეტად კი ზარალდებიან გაწვალებული მგზავრები.

### არც ანათებს, არც ხმას იღებს

რას იტყოდით საავადმყოფოს ისეთ გამგეზე, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა უბედური შემთხვევების სიმრავლით?

— წარმოუდგენელია, დაუჯერებელია!—წამოიძახებთ თქვენ.

მიუხედავად ამისა, ასეთი შედარება ძალაუნებურად მოგივათ თავში, როცა გაეცნობით რუსთავის სატელევიზიო ატელიეს მუშაობას.

თვითონ განსაჯეთ:

ატელიეში ექვსი კაცი მუშაობს. ყოველთვიურად ისინი იღებენ განსაზღვრულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ფასიანი და საგარანტიო შეკეთებების მკაცრად განსაზღვრულ რაოდენობას. როგორც ცნობილია, გეგმის შეუსრულებლობისათვის არავის მადლობას არეუბნებიან, პირიქით, უხსნიან პრემიებს. იქმნება კურიოზული სიტუაცია: წინდაწინ გეგმავენ ტელევიზორების ნამტვრევებს, რომლებიც უეჭველად უნდა არსებობდეს. ე. ი. გინდა თუ არ გინდა, უნდა ინატრო, რომ ტელევიზორები რაც შეიძლება ხშირად გამოდიოდნენ წყობილებიდან.

რაც უფრო ნაკლებია შესაკეთებელი ტელევიზორი, მით უფრო ცუდად არის გეგმის შესრულების საქმეც. და აი, ისე ხდება, რომ პატარა ატელიე ყოველთვის სავსეა ხალხით. ტელევიზორების პატრონები დილიდან საღამომდე უცდიან ოსტატებს. ეს ოსტატები განსაკუთრებით უხალისოდ ემსახურებიან იმათ, ვისაც დებულების მიხედვით მოვალენი არიან საგარანტიო ვადით უფასოდ შეუკეთონ ტელევიზორი.

კარგა დიდი დრო უნდა გავიდეს, რომ ეღირსოთ ასეთი ოსტატის შინ მოსვლას. მოვა, რაღაცას შეუ-ლოცავს ტელევიზორს და თავს დაგიკრავთ, საქმეს კი მაინც არაფერი შველის. იძულებული ხარ ისევ დაწერო განცხადება, ისევ ეხვეწო ატელიეს, უშველეთ რამე ჩვენს ტელევიზორსო.

— ეკრანი ანათებს, ხმა კი არ ისმის, — შემომჩივლა მეზობელმა, — გამოვუძახეთ მექანიკოსს, რაღაცა წაუჩხირკედელავა, მაგრამ როცა წავიდა, ეკრანზე შუქი ჩაქრა, სამაგიეროდ ენა ამოიდგა და ალაპარაკდა.

ერთმა ჩემმა ნაცნობმა ამას წინათ იყიდა ტელევიზორი „ვერხოვინა“. არსებული დებულების თანახმად, მასთან ერთი დღის განმავლობაში ატელიედან უნდა მოსულიყვნენ ტელევიზორის დასადგმელად. მაგრამ ამაოდ ეხვეწა იგი ატელიეს მუშაკებს, გამოგზავნეთ ოსტატიო, კარგა ხანს ყური არავინ მიუგდო. ბოლოს იკადრეს და პასუხი გასცეს:

— თქვენ გარე ანტენის დაყენება გნებავთ?

— დიახ, ანტენა უკვე ნაყიდი მაქვს, თქვენ გელით.

— მაშინ მოგიხდებათ კიდევ ორიოდე დღით მოცდა, — განუცხადა მას ატელიეს გამგემ, — თვის ბოლოა, ჩვენ კი გეგმა შესასრულებელი გვაქვს და უფრო ფასიან გამოძახებებს ვაწვებით...

რომ იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.



**ე. ლისიანსკი**

ქ. რუსთავი.

# ფოტოობიექტივის ყურს ნაკვესები



## ყველაზე დიდი ფოტოსურათი

მსოფლიოში ყველაზე დიდი ფერადი ფოტოსურათი, რომლის სიგრძე 24 მეტრია, დაცულია ქალაქ ცინცინატში (აშშ). მასზე აღბეჭდილია ჰავაის პეიზაჟი. სურათის ნაწილებად გამომჟღავნება და დამონტაჟება წარმოებდა თვითმფრინავების სახელოსნოში. მასზე დახარჯული გამოსავლინებელი ხსნარი ერთი წლის განმავლობაში ეყოფოდა 100.000 ფოტომოყვარულს.



## ვითომ ესეც პრივილეგიაა

ტონი აძსტრონგ ჯონსი პროფესიით უბრალო ფოტოგრაფი იყო, მაგრამ უცებ ინგლისის დედოფლის სიძე გახდა. გავლენიანმა სიდედრმა, ცხადია, თავის სიძეს წყალობის თვალით გადახედა და ლორდის წოდება მისცა. ინგლისის გაზეთებმა ჩამოთვალეს ყველა ის უპირატესობა, რაც ამიერიდან ტონის ენიჭებოდა; მათ შორის იყო ასეთი პირობაც: თუ ახალ ლორდს ჩამოხრჩობას მიუსჯიან, ჩვეულებრივი თოკის მაგიერ მისთვის გამოიყენებენ აბრეშუმის ნაზ თოკს.



## ქურდი და საიდუმლო ფოტოაპარატი

ინგლისში, ერთ-ერთი უდიდესი ბანკის სეიფებში, დამონტაჟებულია ფოტოაპარატი ულტრაწითელი ნათურით და ფირით, რომელიც სიბნელეში შეუმჩნევლად იღებს სურათს. როდესაც ერთ ქურდს აჩვენეს მისივე სურათი, მან ითხოვა, ეჩუქებიათ იგი, რადგან სურათში ასე კარგად არასოდეს არ გამოვსულვარო. ქურდს თხოვნა შეუსრულეს და სურათი ციხეში საწოლთან ჩამოუკიდეს.



## აი რამდენი შეუძლია ფოტოს

ოსლოში მოწყობილმა ფოტოგამოფენამ, რომელზეც ექსპონირებული იყო ავტოავარიის ამსახველი სურათები, იმდენად შემაძრწუნებელი გავლენა მოახდინა მნახველებზე, რომ გალერეიდან გამოსვლის შემდეგ 73 კაცმა მანქანები მიატოვა და ფეხით დაბრუნდა სახლში.



## რამდენ ხანს სძლებს ფირი

სახელგანთქმული კაპიტანი სკოტის ექსპედიციის დაღუპვის შემდეგ, ანტარქტიდაში, მის ნივთებს შორის დარჩა უხმარი ფირი, რომლის გამოყენების უკანასკნელი ვადა 1911 წლის 1 მაისი იყო. ეს ფირი იპოვეს 1958 წელს და მასზე გადაღებული სურათები მოათავსეს ჟურნალ-გაზეთებში. ნახევარმა საუკუნემ ვერ დააზიანა ფირი, რადგან წესდების თანახმად, იგი შენახული უნდა ყოფილიყო გრილ ადგილას. და ანტარქტიდაზე უფრო გრილ ადგილს აბა სად მოძებნით?!



## აგჟარი თუნდა ხისაო

რუდიიმპურის მაჰარაჯამ დაამზადებინა ოქროს ფოტოაპარატი, რომლის მექანიზმი და დიაფრაგმა პლატინისა იყო, ობიექტივის ლინზები კი უძვირფასესი ბრილიანტისაგან გამოათლევინა.

მაგრამ თურმე მაჰარაჯას მიერ გადაღებული სურათები არ იყო მაინცდამაინც მაღალი ხარისხისა და მას უკვირდა რატომ ხდებოდა ეს. ახლობლები კი მიზეზს არ უმხელდნენ — არ უნდოდათ ეწყენინებინათ.



## სტუმა აპარატის წინ

ამერიკელმა ფოტოგრაფმა პ. გალსმანმა არა ერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ ფოტოსურათზე არ ხერხდება ადამიანის სახის ნამდვილი, ბუნებრივი გამომეტყველების აღბეჭდვა, ყველანი ცდილობენ გაიბღინძნენ და უფრო სხვაგვარად მოგვაჩვენონ თავი, ვიდრე სინამდვილეში არიანო. ამის თავიდან ასაცდენად ფოტოგრაფმა შემოიღო „ახალი მეთოდი", რომელსაც უწოდა „ფოტოგრაფირება ჰაერში". გალსმანი სურათის გადაღების დროს, აპარატის წინ, რაც შეიძლება მაღლა ახტუნავებდა მინისტრებს, ბიზნესმენებს, კინოვარსკვლავებს, იურისტებს და ა. შ. მისი აზრით, ხტომის დროს არავის არ შესწევს უნარი ერთდროულად დაჭიმოს ფეხისა და სახის კუნთები. წიგნი, რომელშიც მან მოათავსა 178 ფოტოსურათი, კლიენტების პროფესიის მიხედვით, რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი. მასში, სხვათა შორის, მოთავსებულია პრეზიდენტობის კანდიდატების — ნიკსონისა და სტივენსონის პორტრეტები. ბურჟუაზიულმა პრესამ წიგნი არ მოიწონა, მას აბსურდული წიგნი უწოდეს.



## დაკარგული ფოტოაპარატი

შვეიცარიაში, სენ-გოტარდის უღელტეხილზე მგზავრებმა ძვირფასი ფოტოაპარატი იპოვეს. თითქოს შეუძლებელი იყო იმისი დადგენა, თუ ვის ეკუთვნოდა იგი. მაგრამ როცა ფირი გამოამჟღავნეს, ნახეს, რომ ერთ სურათზე აღბეჭდილი იყო მანქანა და მისი ნომერიც კარგად ჩანდა. მიიკითხ-მოიკითხეს და აპარატის პატრონიც იპოვეს. იგი აღმოჩნდა ინგლისელი ავტოტურისტი.

გურამ თიკანაძე

ბელგიის პატარა, წყნარი და უხმაურო ქალაქი გენტი იმ დღეებში ერთბაშად გამოცოცხლდა. ქუჩები გაივსო სპორტის მოყვარულებით. გულშემატკივართა რიცხვმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რეკლამებზე გაჩნდა ახალგაზრდა მოფარიკავეთა — მსოფლიო პირველობისათვის მებრძოლთა გვარები. გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ამ დიდი ასპარეზობის მთავარი ფიგურა შეუდარებელი ფრანგი მოფარიკავე კურტილია იქნებაო.

მოხდა კი სულ სხვა რამ...

დაიწყო ფინალური ბრძოლები. კურტილიას პირისპირ ქართველი ჭაბუკი მოფარიკავე გივი ანდრიაძე დგას. ერთმანეთის თვალებით მოზომვა და ელვისებური იერიშის დაწყება ერთია. მრისხანე ფრანგი მეტოქე შემცბარია და შემდრკალი. ქართველი სპორტსმენი უტევს. სულ მალე თბილისელი ჭაბუკის გამარჯვება აშკარა გახდა.

რაღაც ერთი წუთი გაგრძელდა ეს ბრძოლა. მოღლილი კურტილია საფარიკაო მოედნიდან შეცბუნებული გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭაბუკი მოფარიკავე



გივი ანდრიაძე თავის უმცროს დასთან ერთად.

ფოტო ლ. ვაშაკიძისა.

ამით როდი მთავრდებოდა ყველაფერი. ორწუთიანი შესვენების შემდეგ ახალგაზრდა ქართველი მოფარიკავე ახლა რუმინელ დრიმბას უნდა შეხვედროდა. ქართველმა მოფარიკავემ აქაც გაიმარჯვა.

ფინალში მან დაამარცხა ავსტრიელი ლოზერტი და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. ოქროს მედალთან ერთად ქართველ სპორტსმენს გადაეცა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ნასერის გარდამავალი თასიც.

ეს მოხდა მიმდინარე წლის აპრილში.

თავისი სპორტული ბიოგრაფია გივი ანდრიაძემ თბილისის პიონერთა სასახლის მოფარიკავეთა დარბაზში დაიწყო.

მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკ მოფარიკავეთა შორის, ყველაზე ახალგაზრდა „მუშკეტერი" გივი ანდრიაძე მრავალი დიპლომითა და სიგელითაა დაჯილდოებული. ეს სიგელები ამშვენებს მის ბინას გოგებაშვილის ქუჩაზე. ოთახში, ამ სიგელების გვერდით, კედელზე ხედავთ გამოჩენილი ქართველი პოეტის ტიციან ტაბიძის პორტრეტებს... დიახ, ტიციანი ჭაბუკი ჩემპიონის პაპა იყო.

გოგებაშვილის ქუჩაზე, ამ სახლში მწერლები ცხოვრობენ. უყვართ მათ გივი, დაუვიწყარი ტიციანის შვილიშვილი. ყოველთვის სიხარულით ადევნებენ თვალს მის ვარჯიშს. გათენებისას გამოდის ეზოში გივი, სულ ერთია დარია თუ ცუდი ამინდი. გამოდის სხარტი და მოქნილი. ხელში რაპირი უპრიალებს და ნახტომს განსაცვიფრებელი სიზუსტით ზომავს.

ახალგაზრდა ქართველი მოფარიკავის სპორტული ბიოგრაფია ყოველწლიურად მდიდრდება. წინ არის საინტერესო ცხოვრების გზა და კიდევ ბევრი ხალისიანი, მოუსვენარი და შფოთიანი დღე.

ა. ენუქიძე



# სპორტული ქვეყანა №1

ჩვენი სამშობლოს მდიდარ სპორტულ ცხოვრებაში მიმდინარე წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საბჭოთა კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადა იყო. მთელი სპორტული მსოფლიო დაძაბული ყურადღებით უსმენდა მოსკოვს, სადაც იბადებოდა მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდები.

სპარტაკიადის დღეებში მოსკოვს უამრავი სტუმარი ჰყავდა. აქ სპეციალურად ჩამოვიდნენ უცხოეთის მრავალი ქვეყნის სპორტული კომენტატორები, სპეციალისტები, მეთვალყურენი. ისინი აღტაცებას ვეღარ მალავდნენ, როცა გაეცვნენ იმ უზარმაზარ პროგრამას, რასაც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა ითვალისწინებდა. როცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა გაიგო, რომ სპარტაკიადის შეჯიბრებებში მონაწილეობა უკვე მიიღო 66 მილიონმა სპორტსმენმა, გაოცებულმა თქვა: „ეს მართლაც ფანტასტიკურია, ჯერჯერობით არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია თუნდაც იოცნებოს ამაზე".

და აი, უკვე კარგა ხანია, უკან დარჩა სპარტაკიადის მღელვარე დღეები. უკან დარჩა დრამატული სიტუაციებით აღსავსე სპორტული პაექრობანი. მაგრამ დარჩა ფაქტები, დარჩა რეკორდები, დარჩნენ სპარტაკიადის გმირები, რომლებმაც მარტო საუკეთესო შედეგებით როდი მოიპოვეს სპორტის მოყვარულთა სიყვარული და აღიარება, არამედ ყველაზე კრიტიკულ მომენტში გამოიჩინეს უდიდესი ნებისყოფა, გამარჯვებისადმი დაუოკებელი სწრაფვა და ისე ავიდნენ დიდების კვარცხლბეკზე.

გამარჯვება მით უფრო სასიხარულოა, რაც უფრო ძნელადაა იგი მოპოვებული. სპორტსმენის ნებისყოფა, ძალა და ბრძოლის უნარი სწორედ მაშინ მჟღავნდება, როცა მას პაექრობა უხდება ტოლფასოვან და ღირსეულ მოწინააღმდეგესთან.

სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სახეობებში მოპოვებული მიღწევების მაჩვენებელი ცხრილები კარგა ხანია შევსებულია, ხოლო ქულები დაჯამებული. ეს მშრალი ციფრები, რომლებიც სათანადო გრაფებშია ჩასმული, ერთი შეხედვით თითქოს ცივი სტატისტიკური ცნობარია. მაგრამ ყოველი ასეთი ციფრი სპარტაკიადის ისტორიის წარმტაცი ეპიზოდია; იგი მოპოვებულია დაძაბულ და დრამატული მომენტებით აღსავსე ასპარეზობებსა და ორთაბრძოლებში.

ამ უმაღლეს მაჩვენებელთა გრაფებში ბევრმა ქართველმა სპორტსმენმა ჩაწერა თავისი გამარჯვება.

ამ ციფრებიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს აღვადგენთ.

ფინალური ბრძოლის დღეს ველოსპრინტერ ომარ ფხაკაძეს ცხრამეტი წელი შეუსრულდა. მეგობრებმა ომარს დილით დაბადების დღე მიულოცეს, საჩუქრები უძღვნეს და შეჯიბრში გამარჯვება უსურვეს.

დაიწყო ფინალური ორთაბრძოლა. ომარის მოწინააღმდეგე იყო საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი იმანტ ბოდნიეკსი. პირველი ორი სერიის ანგარიში საყაიმო იყო — 1:1; მიდიოდა მესამე, გადამწყვეტი სერიის უკანასკნელი წამები. ბოდნიეკსმა წინ გაუსწრო თავის ახალგაზრდა კოლეგას და ჩემპიონის ტიტულიც თითქოს განაღდებული ჰქონდა. სწორედ ამ მომენტში ომარმა „ჩართო რეაქტიული" სისწრაფე და ფინიშიც პირველმა გადაკვეთა. თავისი დაბადების დღეს ყველაზე საუკეთესო ჯილდო — სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი, თვით მიუძღვნა თავის თავს.

რომან რურუას სახელს დიდი ხანია იცნობენ სპორტის გულშემატკივრები. მისი ტემპიანი, ვაჟკაცური ჭიდაობა ყოველთვის უდიდეს ინტერესს იწვევდა. ეს ახალგაზრდა სპორტსმენი სპარტაკიადის ფინალში, მსოფლიოს ჩემპიონ საპუნოვთან ერთად, 4 საჯარიმო ქულით გავიდა. გაცილებით უკეთესი შედეგი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭიდავეს უკრაინელ ი. გრიგორიევს. მას მხოლოდ ერთი საჯარიმო ქულა ჰქონდა. ფინალში რურუა სწორედ გრიგორიევს შეხვდა. უკრაინელს პირველი ადგილის მოსაპოვებლად საყაიმო ანგარიშიც ყოფნიდა. რურუას კი წმინდა გამარჯვება უნდა მოეპოვებინა, უკიდურეს შემთხვევაში ორთაბრძოლა შვიდი ქულით უნდა მოეგო. გაისმა გონგის ხმა. მოჭიდავეები ერთმანეთს შეებნენ. რურუამ თავიდანვე თავბრუდამხვევი ტემპით შეუტია მოწინააღმდეგეს. იგი ქულას ქულაზე აგროვებდა.

დრო ამოიწურა. რურუას ვაჟკაცური ჭიდაობით მოხიბლულმა მაყურებლებმა მქუხარე ოვაცია გაუმართეს ახალგაზრდა ჩემპიონს. გამარჯვებულთა დაჯილდოების დროს რომან რურუას ოქროს მედალი გადასცა და დიდი წარმატება მიულოცა სპარტაკიადის საპატიო სტუმარმა, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, მ. ერცეგანმა, რომელიც რურუას არც ერთ ბრძოლას არ დაკლებია.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადაზე ქართველმა სპორტსმენებმა მეხუთე საპატიო ადგილი დაიკავეს და ქართულ სპორტს 7 ოქროს, 11 ვერცხლისა და 24 ბრინჯაოს მედალი შემატეს. კვლავ გვასახელეს ვლადიმერ რუბაშვილმა, ზაურ ბერიაშვილმა, ომარ ეგაძემ, ნონა გაფრინდაშვილმა, ალექსანდრე მეტრეველმა, ნუგზარ მძინარიშვილმა, ლ. ქურულმა, ქართველმა წყალბურთელებმა, მოჭიდავეებმა, ფეხბურთელებმა.

ქართველმა სპორტსმენებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. თუმცა შეიძლებოდა ერთი საფეხურით კიდევ უკეთესი ადგილი დაგვეჭირა, ცალკეულ სპორტსმენებსა და კოლექტივებს რომ თავიანთ შესაძლებლობებზე გაცილებით დაბალი შეფასება არ მიეღოთ.

სპარტაკიადის სპორტულ მაჩვენებელთა ციფრები მარტო წარმატებებზე როდი მოგვითხრობენ. იგი სარკეს ჰგავს, სადაც ყველაზე კარგად ჩანს მიღწევებიც და ნაკლოვანებებიც. ჩვენმა სპორტულმა ორგანიზაციებმა ამ სარკეში დროულად უნდა ჩაიხედონ.

წარმტაცი და დიდებული იყო ლუჟნიკები სპარტაკიადის დახურვის დღეს. სპორტის უცხოელი სპეციალისტები აღტაცებას ვეღარ მალავდნენ. მათ ერთხმად აღიარეს, რომ საბჭოთა კავშირი არის „სპორტული ქვეყანა № 1".

წინ ტოკიოს XVIII ოლიმპიადაა. საბჭოთა სპორტის გულშემატკივრები დარწმუნებულნი არიან, რომ ჩვენი ფალავნები თავს ისახელებენ იაპონიის ოლიმპიურ მოედნებზეც.

გ. ფანჯიკიძე

## და გაცოცხლდება ნაზი ღიმილი...

ოთარ ქუპრაევა

...Хорошая заграница,
Болгарская ты земля...

ვლადიმერ სოკოლოვი

ვლადიმერ, ძმაო, როდის დაღამდა,
სად დაჰკრა ზარმა უეცარ ელდის!
სად დაიფერფლა ნაზი ღიმილი
შენი შვილების ბულგარელ დედის!

ცალუღლად ყოფნა გემძიმა, ხარო,
და ქარში მხუის ცხოვრების შოლტი...
ვერ გაგისწორე გლოვის ჟამს მხარი,
როგორ დაგტოვე, როგორ დაგშორდი!...

გახსოვს? ვეწვიეთ მცხეთას და ხერთვისს,
ვპეცეთ სხვა გზებიც ალაზანს იქით...
თითქოს უკვირდათ ფრესკებში ღმერთებს,
რომ დავივიწყეთ სიკვდილზე ფიქრიც.

ხანაც მწყემსების კარავი თბილი
მთებში გვიხმობდა ცეცხლის გიზგიზით,
აღმართს მივსდევდით და ასკინკილით
წინ მიგვიძღოდა მიხო კისკისი...

როგორ დავკარგეთ თვალ და ხელშუა
მშვენიერება ვარდებს მითვლილი!
მაგრამ რას გვარგებს უნუგეშობა
და ცრემლიანი ლექსის ქვითინი!

კარგახანია წარსულს ჩაჰბარდა
უმაწვილკაცობა — ლივლივი ზვირთის...
მკაცრი დუმილით ვდგავართ საფლავთან
და ქარი შუბლზე ნაოჭებს გვითვლის.

უკვე იმდენი დელგმა გვინახავს,
იმდენი მძიმე გავლიეთ წელი, —
თვალდათვალ ვიცნობთ შემართულ ჩახმახს,
ჩვენსკენ მომართულს ბოროტი ხელით....

განა ჩუმად და ბავშვურ ჟიალით
გავთეთრებულვართ სატრფოსგან წბილნი?!
თითო თეთრი თმა თითო ტყვიაა
ჩვენთვის დახლილი და დაცდენილი.

მაინც სიძნელემ როდი დაგვლალა
ბრძოლების, წინხვლის და წვის თაობა!
ამ დიდი გლოვის წილი ჰადარაც
ნუ შეგიშფოთებს გამბედაობას!

დადუმებული გვერდს ნუ ამივლი, —
პირში მახსოვხარ გულკაფიანი.
შემომაყარე სიტყვის მარილი,
ჯანში გამიჯდეს რითმის ჟრიალი;

მთიდან მახმინე ირმის ყვირილი,
გული ხომ მაინც მომავალს უმღერს!
და გაცოცხლდება ნაზი ღიმილი
და კვლავ გაგიწევს ცხოვრების უღელს!

ვლადიმერ, ძმაო, როდის იგრგვინა!...
იმ წამთა წყევლით მწამს არ დაშვრები...
დადიხარ ცალად და უგვირგვინოდ
და ბულგარეთში
ლექსებივით
დაგრჩა ბავშვები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლედ ყველაფერზე



### სარწმუნო ფაქტი

ვილი შინ ისე მთვრალი დაბრუნდა, რომ ძაღლი თავის ლოგინში დააწვინა და თვითონ კი ძაღლის ბუნაგში შეძვრა. მხოლოდ დილით მოვიდა გონზე, როდესაც მეზობლის კატა წაეჩხუბა და დარწმუნდა, რომ ყეფა არ შეეძლო.

### მაქსის სიხარული

ცოლმა ქმარს მოდების ახალი ჟურნალი უჩვენა და უთხრა:

— შეხედე, მაქს, წელს მამაკაცები ულილო პერანგებით ივლიან.

— ჩინებულია! — წამოიძახა სიხარულით მაქსმა, — მე უკვე თხუთმეტი წელიწადია, რაც უკანასკნელ მოდაზე ვიცვამ.



### კეთილი რჩევა

გიდმა ტურისტებს მიმართა: ეს უფსკრული ძალიან სახიფათო ადგილია, ფრთხილად იყავით, ფეხი არ დაგიცდეთ, მაგრამ, თუ ვინიცობაა დაბლა ჩაცვივდით, არ დაგავიწყდეთ მარჯვნივ გახედვა, ზღაპრული სილამაზის ხედია.



### ყველაზე უფრო უცხო

მ დ ი დ ა რ ი  ქ ა ლ ი: მე მინდა, რომ თქვენ ჩემს ვაჟიშვილს უცხო ენა შეასწავლოთ.

პ რ ო ფ ე ს ო რ ი: დიდი სიამოვნებით, ქალბატონო, მხოლოდ მითხარით რომელი გნებავთ: ფრანგული, ინგლისური, იტალიური თუ ესპანური ენა?

მ დ ი დ ა რ ი  ქ ა ლ ი: მაგათში ყველაზე უფრო უცხო რომელიც არის, — სთხოვა ქალმა.



### სასარგებლო გამოცდილება

—აი, ხედავთ, სერ, ათი წელი დამჭირდა გამეგო, რომ მე აბსოლუტურად არავითარი ლიტერატურული ნიჭი არ გამაჩნია.

— და მერე წერას თავი მიანებეთ?

— ო, არა, იმ დროისათვის მე უკვე ცნობილი მწერალი ვიყავი.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა



* * *

პეტერბურგის სამხედრო სამედიცინო აკადემიის პროფესორმა, ცნობილმა რუსმა ექიმმა სერგეი ბოტკინმა გამოცდაზე მესამედ ჩაჭრა რომელიღაც უვიცი სტუდენტი.

— თავს აღარ ვიცოცხლებ! — შესძახა გამწარებულმა სტუდენტმა, — ახლავე დანას ჩავიცემ გულში!

— ეს შეუძლებელია, — მშვიდად მიუგო მეცნიერმა, — თქვენ ისე ცუდად იცით ადამიანის სხეულის აღნაგობა, რომ დარწმუნებული ვარ საკუთარ გულს ვერ მიაგნებთ.



* * *

ინგლისელი ოფიცერი მოხალისე ჯარისკაცებს აგროვებდა მტრის ზურგში გადასასხმელად. იგი ახალგაზრდებს არწმუნებდა, რომ თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტომა უფრო ადვილია, ვიდრე ლონდონის ცენტრალურ ქუჩაზე გადასვლა.

მეორე დღეს ოფიცერმა უცნობის წერილი მიიღო. წერილში ეწერა: „დიდი სურვილი მაქვს მოხალისედ შევიდე ბრიტანეთის არმიაში, მაგრამ, საუბედუროდ სამხედრო პუნქტი ჩემი საცხოვრებელი სახლის პირდაპირ მდებარეობს. ვინაიდან თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტომა უფრო ადვილია, ვიდრე ცენტრალურ ქუჩაზე გადასვლა, საშუალება არ მაქვს განვახორციელო ჩემი ოცნება".



### უბედურების მაცნე

იავის კუნძულზე იზრდება ერთგვარი ჯუჯა ყვავილი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „მიწისძვრის მაცნეს" ეძახის. ეს მცენარე, როგორც წესი, ყვავილობას იწყებს ვულკანის ამოფრქვევიდან რამდენიმე დღით ადრე.

როგორც კი მცენარე აყვავდება, შეშინებული ხალხი ტოვებს საცხოვრებელ სახლებს და უშიშარი ადგილისაკენ მიეშურება.

### შეღებილი გაზონები

როგორც ცნობილია, მზის სხივებისა და სხვადასხვა ატმოსფერული მოვლენების შედეგად გაზონები უვითლდება და სილამაზეს ჰკარგავს.

მეცნიერები ამჟამად გულმოდგინედ მუშაობენ სპეციალური საღებავის დასამზადებლად, რომელიც ზიანს არ მოუტანს მცენარეებს, ამ საღებავით შეღებილ გაზონებს მუდამ მწვანე ფერი ექნება.

### მეტრო პარიზი-ლონდონი

სპეციალისტები ამუშავებენ პროექტს გვირაბისას, რომელიც ლა მანშის სრუტის ქვეშ გაივლის და პარიზს ლონდონთან შეაერთებს.

მატარებელი გვირაბში საათში საშუალოდ ას სამოცი კილომეტრის სისწრაფით ივლის. მთელ მანძილს იგი ორ საათსა და ოც წუთში დაფარავს.

### იშვიათი შემთხვევა

ავსტრალიელ მეცხვარეს ვინსენტ ბაზოს ოთხმოცდათორმეტი წლის ასაკში მესამედ ამოუვიდა... კბილები.

— ყველა კბილი საღია, — განაცხადა მწყემსმა, — ახლა მე კარგად ვღეჭავ საჭმელს, რაც მთავარია, კბილებში თავისუფლად მიჭირავს ყალიონი.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს შემთხვევა მხოლოდ ბუნების „ცუღლუტობით" უნდა აიხსნას.

### ოთხასი წლის კუ



საფრანგეთში დაიჭირეს უზარმაზარი კუ, რომელიც 430 კილოს იწონიდა, მეთევზეებმა კუ ერთ-ერთ პარიზელ თევზით მოვაჭრეს მიჰყიდეს. ჟოზეფინა — ასე დაარქვეს საოცარ კუს; მან დიდი სიამოვნება მიანიჭა კუს ხორცით შემზადებული კერძების მოყვარულებს.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ჟოზეფინა ოთხასი წლისა იყო.

### ქვის თავის საიდუმლო



პეტერგოფის ცნობილი ბაღიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ხელოვნების გასაოცარი ნიმუში — მიწაში ჩაფლულია უზარმაზარი გრანიტის ლოდი. ლოდის ზედა მხარეზე ადამიანის თავია გამოთლილი.

ეს ორიგინალური ძეგლი მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. გულმოდგინე ძებნის მიუხედავად, ჯერჯერობით ვერ დადგინდა თუ ვინ არის ამ ძეგლის ავტორი და როდის არის შესრულებული ქანდაკება.

გარეკანის პირველ, მესამე და მეოთხე გვერდებზე დაბეჭდილია გ. თიკანაძის ფოტოები.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/X-63 წ. გამომც. № 78, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22.500. შეკვ. № 2083, უე 07299

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. №14.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა



